WWW.SAERTOGAZETI.GE

# საერთო გაზეთი

№28 (262) • 16 ოქტომბერი, 2013 წელი • გამოდის ოთხშაბათს • E-mail: saertogazeti@yahoo.com • ფასი 1 ლარი



„როგორც კი ქართველი ხალხი ირწმუნებს, რომ ბიძინა ივანიშვილმა ზურგი შეაქცია საქართველოს და ქართველ ხალხს, იმ დღეს დაიწყება **საქართველოს რღვევა...**“

## ნინო ბურჯანაძე ცრუობს — თუ ის პრეზიდენტი გახდება, არავითარ შემთხვევაში არ დანიშნავს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს



დაინტერესდით, **ბატონო ირაკლი**, ვინ არიან შსს-ს ის მაღალჩინოსნები, რომლებიც თანამშრომლებს მოუწოდებენ ხმა ნინო ბურჯანაძეს მისცენ

**რის სანაცვლოდ გადასცემს დავით კეზერაშვილი თავისი მეგობრის ხელით ნინო ბურჯანაძეს სოლიდურ თანხებს?**



## ჩვენ დღეს სიცილიური მაფიის კანონებით ვცხოვრობთ — ერთ დონ-ს გადავაგდებთ, მეორე დონ-ს ვირჩევთ, მერე მესამე დონ-ს ჩავუვარდებით ფეხებში... აი, ასეთი დონ-ის საზოგადოება ვართ...

## პლასტელინის ქვეყანა



რამდენად სწორია ინფორმაცია, რომ საქართველომ, შეიძლება, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს, ბიძინა ივანიშვილს კი არ სურს მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში და სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც იგი პოლიტიკიდან მიდის

## ასეთი საშინელი წინათგრძნობა არასდროს მქონია...



მარგველაშვილი და ბაქრაძე იმით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ **ბაქრაძემ ქსოვა არ იცის...**

საერთო გაზეთი — გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# „ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ბატონი ბიძინა სულგრძელი ადამიანია, იცის ოჯახის ფასი, დედა უყვარს, შვილები უყვარს და ასე არ მიგვატოვებს...“



***ქუთაისში, პარლამენტთან და თბილისში პარლამენტის ყოფილ შენობასთან რამდენიმე დღე აქციას მართავდნენ ადამიანები, იპოთეკარები, რომელთაც, თუ სახელმწიფომ სასწრაფოდ არ იღონა რამე, მცირე ხანში, ღია ცის ქვეშ მოუწევთ ყოფნა. „საერთო გაზეთი“ დაზარალებულ იპოთეკართა ქუთაისის წარმომადგენელს ესაუბრა.***

**დარეჯან სულაქველიძე (ქუთაისის ორგანიზაცია, პროფესიით მუსიკოსი):** — „ჩვენთან დაკავშირებული საკითხი პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა. მორატორიუმის გამოცხადება იყო საჭირო რათა არ გამოვესახლებინეთ. მოგეხსენებათ, მხოლოდ პროცენტი კი არა, პროცენტის პროცენტებზეცაა საუბარი, საურავებზე, ჯარიმებზე — ეს ხელეწიფებათ, რადგან კანონით აქვთ ამის უფლება მინიჭებული წინა ხელისუფლებისგან. ცხადია, კანონი შესაცვლელია, მაგრამ ხელშეკრულებებია გადასახედი, სხვაგვარად სრულად ვნადგურდებით. სერიოზული თანხები, რომელიც აღებული გვაქვს, ძირი ორმაგად და სამმაგად დაფარულია, თუნდაც პროცენტიც, მაგრამ ვალს არ აკლდება არაფერი. ჩვენ გვჭირდება სერიოზული სახელმწიფოებრივი დახმარება, სხვანაირად ამ ლაბირინთიდან ვერ გამოვდივართ. მეორე მოსმენაზე უნდა გასულიყო აღსრულების შეჩერება — თუ სამ მოსმენაზე გავიდოდა, 6-თვიანი მორატორიუმი გამოცხადდებოდა (ჩვენ ერთწლიანი გვინდოდა, მაგრამ მთავრობა 6-თვიანზე მოდიოდა). პარლამეტში ეს საკითხი პირველად გედეონ ფოფხაძემ დააყენა და 49 პარლამენტარი პროექტის თანაავტორად გადიოდა. პირველ მოსმენაზე 70 პარლამენტარიდან 69-მ მისცა ხმა, მაგრამ შემდეგ, მოსმენა როდესაც უნდა ყოფილიყო, პარლამენტში ბომბიაო და გამოგვიშვეს ყველანი. მეორე დღეს უკვე ბატონმა ივანიშვილმა გააჩერა ეს პროექტი, „სიყმაწვილის განაცხადიაო“, დაუწუნა ფოფხაძეს ახალგაზრდული სისწრაფე. მართლაც ასეა, იმიტომ, რომ ამას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა შემდეგი ნაბიჯი, თორემ 6 თვის შემდეგ იმავეს წინაშე აღმოვჩნდებოდით. უნდა გათვლილიყო, შექმნილიყო კომისია, რომელიც აღრიცხვას გააკეთებდა, საქმეს გაეცნობოდა და გასარკვევად გააიოლებდა. ამის აუცილებლობა იმან გამოიწვია, რომ რამდენიმე პარლამენტარმა ამოიჩემა, თითქოს ეს თანხები ცუდი საქმისთვის არის გამოტანილი ბანკებიდან.

**— „ცუდი საქმე“ რას ნიშნავს?**

— ვთქვათ, ნარკომანობისთვის, პროსტიტუციისთვის ბუნაგის მოსაწყობად — გასაკვირი ამბავია! სამსახურები გვაქვს, აწყობილი ცხოვრება, შემოსავალი და უარს ვამბობ გადასახადის გადახდაზე? — ხომ გეუბნებით, გადახდილი აქვს უმეტესობას ძირიც და პროცენტებიც და კიდევ სახლს უყიდიან. იცით, რამხელა უფლებები აქვთ, სახლები ისე გაუყიდეს უკვე რამდენიმეს რომ შეტყობინება არ მისვლია, თქვენი სახლი ამა და ამ რიცხვში უნდა გაიყიდოსო? აღსრულებიდან მისდით შეტყობინება რომ თქვენი სახლი უკვე აღსრულებაშია და აუქციონზე იდებაო — ზოგმა საკუთარი სახლის აუქციონზე გატანის შესახებაც ვერ გაიგო. ბანკის უფლებები რომ დაცულია, ჩვენი უფლებები სადაა?

**— ასე რა მექანიზმით ხდება.**

— კერძო აღმასრულებელი ისე დებს აღსრულებაში სახლს, მეპატრონე ვერ იგებს. ქუთაისში, კარგ ადგილას ჰქონდა სამოთახიანი ბინა საწყალს, ორჯერ გაუტანიათ აუქციონზე და რომ გაუყიდეს 2500 დოლარად 12 აპრილს, 18 აპრილს გაიგო მეპატრონემ, ისიც, აღმასრულებელმა რომ დაურეკა მაშინ.

**— 2500 დოლარად მოკეთე-გულშემატკივარი გამოუხსნიდა ბოლო-ბოლო...**

— გენაცვალე, არსებობენ ადვოკატები, იურისტები, რომლებსაც შექმნილი აქვთ კერძო ბიურო *(თუ რა ვიცი რა ჰქვია)*, რაც რეალურად მაფიაა, რომლებიც აუქციონზე სხვებს არ უშვებენ, თვითონ დებენ ბიჯს აუქციონზე, დაბალ თანხებში ყიდულობენ სახლებს და მერე სურვილისამებრ განკარგავენ, ან ძვირად გაყიდიან, ან დაიტოვებენ.

**— ეს ჭორად იცით?**

— ჭორად რატომ! მაგალითად, ის 2500-დოლარიანი სახლი იყიდა ერთ-ერთი ფირმის ერთ-ერთმა იურისტმა და შემდეგ მეპატრონის ახლობელს „რივა-კრედიტიდან“ გამოატანინა და 13100 დოლარი გადაახდევინა რომ უკანვე შეესყიდა, მაგრამ ჯერ არ გადაუფორმებია, რა ვიცი, როგორ დაფარავ ამ სესხსო. არის მეორე ქალი, რომელსაც ისე გაუყიდეს სახლი, მანაც ვერ გაიგო და მის შემთხვევაშიც იგივე პირებმა შეისყიდეს ისეთი დარღვევებით შეისყიდეს, რომ ახლა გამოძიება მიმდინარეობს. ხუთშვილიან დედას შვილი უკვდებოდა (ვერ უშველა, მაინც გარდაეცვალა) მის გამო 3000 დოლარი აიღო სესხად, სანაცვლოდ სახლი ჩადო და გუშინ გაიგო, რომ გაუყიდეს 8500 დოლარად *(სხვათაშორის, ის სახლი, როგორც მრავალშვილიან დედას, წინა ხელისუფლებამ აჩუქა და მისი ჩადება არც შეიძლებოდა კანონით)*, „ნაციონალების“ დაჭერილი უდანაშაულო შვილები საპროცესოთი არ გამოეყვანათ და სასიკვდილოდ გაეწირათ დედებს? შახელმწიფო არ დამხმარებია არაფერში, ულუკმაპუროდ დარჩენის საფრთხის წინაშე დამდგარმა სესხი ავიღე, ვიფიქრე, ფულს ვაბრუნებ-მეთქი, დედამთილი, დედა და მეუღლე გავასვენე ამ ხუთ წელში, ამას დაერთო 2008 წლის ომი და გავიჭედე... რომელი ერთი ისტორია ვთქვა, საზღვარგარეთ რომ ვერ გავედი, რა ვქნა...

**— ბატონმა პრემიერმა კი, თქვა, „ყმაწვილური განაცხადი“ იყოო, მაგრამ...**

— კი, ასე თქვა, მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ბატონი ბიძინა სულგრძელი ადამიანია, იცის ოჯახის ფასი, დედა უყვარს, შვილები უყვარს და ასე არ მიგვატოვებს, ქუჩაში არ დაგვაგდებს.

**— კონკრეტულად რას სთხოვთ ხელისუფლებას.**

— ჩვენ არ ვითხოვთ ვალის ანულირებას და აღებული თანხების ჩუქებას, ჩვენ ვითხოვთ პროცენტის დაწევას და გრძელვადიან სესხს, მითუმეტეს, რომ როგორც გითხარით, ძირები და პროცენტები გადახდილი გვაქვს. ახლა ხომ აღარ არის ის მტაცებელი ხელისუფლება, სხვა ქვეყნებში როგორც ხდება, ხომ შეიძლება ისე გაკეთდეს აქაც. შორს რომ არ წავიდე, მაგალითად, აქვე, თურქეთში, დაბალპროცენტიანი 50-წლიანი სესხებია. ოცი წლის, აქ რომ აფხაზეთის ომი იყო, რა დონეზე იყო თურქეთი, მოგეხსენებათ, მაგრამ თურქეთის ხელისუფლებამ გადარჩენის საშუალება მისცა თავის ხალხს ამ გზით. გერმანიაში, ინგლისში, ამერიკაში და ა.შ ხალხი მთელი სიცოცხლე გადასახადს იხდის ასე ცხოვრობენ... ჩვენი შეცდომის გამო ვართ ამ დღეში, სახელმწიფომ ჩაგვაგდო თუ ფორსმაჟორულმა სიტუაციამ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ეკონომიკის სტაგნაციამ, უმუშევრობის მასიურ სახემ თუ კიდევ სხვა რამემ, სახელმწიფო რომ გვქვია, ხომ უნდა გამონახოს გზა, ხომ უნდა გადაგვარჩინოს იმ სახელმწიფომ.

9-წლიანმა ნაციონალურმა რეჟიმმა ისეთი კანონები და არეული სიტუაცია დაუტოვა ყველა სფეროში ახალ ხელისუფლებას, გვესმის, ასე უცბად ვერ იცლიან ჩვენთვის, მაგრამ არასწორი ინფორმაცია რომ აქვთ ჩვენს რიცხოვნობაზე, ესეც დიდწილად მოქმედებს, ვგულისხმობ ჩვენს სიმრავლეს.

**— პირადად მე ასე ვიცი, რომ იპოთეკით დაზარალებულთა რიცხვი ჯამში 70 000-მდე ოჯახია...**

— არა, ბატონო, 1500-მდე ოჯახია. სულაც რომ 5000 ოჯახი იყოს და საშუალოდ 50000 დოლარზე გავამრავლოთ (საშუალოდ, იმიტომ, რომ ზოგს 3 ათასი აქვს აღებული, ზოგს 5 და ზოგს 20 ათასი) 250 მლნ გამოდის და არ არის ბატონო ამდენ ოჯახზე და ამხელა თანხაზეც საუბარი — ჩვენი გადარჩენის ნება უნდა ამას, სხვა არაფერი.

**— 1500 ოჯახი სულადობით საშუალოდ ოთხჯერ მეტი რაოდენობაა, 6000 ადამიანი ქუჩაში...**

— პირადად მე ქუთაისს ვხელმძღვანელობ, სიები მე შევადგინე და გეუბნებით, რომ 200 ოჯახია. დაგვემატა 10-15 ოჯახი გორიდან, 10-15 — ფოთიდან, ყველაზე მეტი აჭარიდან, აგერ, თბილისიდან — გუშინ 200 ოჯახი წარმოადგინეს... იქნებ არის კიდევ და ჩემამდე არ მოსულა სრული ინფორმაცია, ამიტომ გავბერე 5000-მდე, მაგრამ გავბერე, თორემ მართლა ხომ არ არის 5000... იცით, რა სტრესში ვართ? არ ვიცით როდის მოგვადგბიან და გვეტყვიან, დატოვეთ სახლებიო...

თვეების წინ გვითხრეს, პარლამენტში თითოეული ფრაქციიდან თქვენი საქმის შემსწავლელი კომისია შეიქმნაო; შევხვდით ბატონ პაატა კიკნაველიძეს, რომელმაც გვითხრა, რომ ეს საკითხი მუშავდება და პროექტიც წარმოადგინა, მაგრამ ეს არის ახალი სახელშეკრულებო პროექტი, რომელსაც მომავალში დაუდებენ ბანკები მოქალაქეებს. ეს არის მომავლის ძალიან აუცილებელი და კარგი პროექტი, მაგრამ ჩვენ, წარსულიდან მომავლებს, არ უნდა გვეშველოს?

**ნოდარ ლომჯარია**

## შეცდომის გასწორება

„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში (№27) გამოქვეყნებულ წერილში („ვინ გააუქმებს საქართველოში „ნაციონალების“ მიერ დამყარებულ ახალი ტიპის ბატონყმობას?“) ტექნიკური მიზეზებით ამოვარდა წერილის პირველივე წინადადება: „ტაქსის მძღოლმა მიამბო“, რის გამოც ეს სხვის მიერ მონათხრობი ამბავი მე, წერილის ავტორს „მომეწერა“.

მე არასოდეს არ ვყოფილვარ კლუბ „ჯაზუში“ და, აქედან გამომდინარე, ვერც იმ ამბავს შევესწრებოდი, რაზეც ამ წერილის დასაწყისში იყო საუბარი.

სამწუხაროდ, ერთ ჩემთვის უაღრესად საყვარელ პიროვნებას (ამჟამად პარლამენტარს) ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს პირადად მე ვყვები მის შესახებ რაღაც გამოგონილ ჭორს, რადგან მისი განცხადებით, მას დაცვა არ ემსახურება და კლუბ „ჯაზუში“ ყოველგვარი დაცვის გარეშე მივიდა.

დარწმუნებული ვარ, პარლამენტარი სრულ სიმართლეს ამბობს.

დასანანია, რომ რედაქციის ტექნიკური მუშაკის დაუდევრობის გამო ადამიანს, რომელსაც მეც და „საერთო გაზეთის“ მთელი რედაქციაც თავის მეგობრად მიიჩნევს, უნებლიედ უხერხული სიტუაცია შევუქმენით.

კიდევ ერთხელ გამოვხატავთ ჩვენს ღრმა პატივისცემას მის მიმართ და მომხდარის გამო ბოდიშს ვუხდით.

**ვახტანგ ხარჩილავა**
„საერთო გაზეთის“ რედაქტორი

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# კოაბიტაცია — სადამსჯელო ოპერაცია საქართველოს და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ

ვახტანგ ხარჩილავა

ბევრს ჰგონია, რომ კოაბიტაციის თემა საერთაშორისო თანამეგობრობისგან „მიხეილ სააკაშვილის და „ნაციონალური მოძრაობის“ დასაცავად და დასახსნელად არის შემოგდებული.

ეს მოსაზრება მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი.

უფრო ზუსტად, ეს არის ის სურათი, რაც მედლის წინა მხარეს ჩანს, მედლის უკანა მხარეს კი სულ სხვა მოხაზულობის სქემა იკვეთება.

როგორც ჩანს, კობიტაციური მარაზმის ავტორებს სამუდამოდ სახელშერცხვენილი და სახედაკარგული სააკაშვილის სახის შენარჩუნება კი არა, ბიძინა ივანიშვილის სახის შელახვა, მისი ავტორიტეტის და იმიჯის შებღალვა აინტერესებთ.

ეტყობა, მათთვის მიუღებელია საქართველოს ჰყავდეს ისეთი პოლიტიკური ლიდერი, როგორიც ბიძინა ივანიშვილია, რომელიც ლამის ეროვნულ გმირად არის შერაცხული საქართველოს მოსახლეობის მიერ.

დიდი ავტორიტეტის, მაღალი რეიტინგის პოლიტიკური ფიგურის გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე, როგორც ჩანს, საერთაშორისო ძალების გარკვეული წრეებისთვის რისკების შემცველი ფაქტორია — ხომ შეიძლება ასეთმა ფიგურამ დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშები წამოიწყოს და არ დაემორჩილოს „ცენტრის“ მითითებებს?

ამიტომაც აუცილებელია მისი „პროკრუსტეს საწოლში“ ჩაწვენა და „ზედმეტი“ რაღაცეების ამპუტირება.

ეს ზედმეტი რაღაცეები კი სხვა არაფერია, თუ არა ავტორიტეტი, მაღალი რეიტინგი, ხალხის ნდობა და სიყვარული.

**„ნაცმოძრაობასთან“ კოაბიტაცია სპეციალურად ბიძინა ივანიშვილისთვის გამოჩორკნილი „პროკრუსტეს საწოლია“, თუმცა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ არ არის მიმართული ეს ქირურგიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება.**

**ივანიშვილთან ერთად ამ მზაკვრული ღონისძიების სამიზნე, რა თქმა უნდა, საქართველოცაა, რომელიც ოცწლიანი მუდმივი წნეხის მიუხედავად, მაინც არ გატყდა და — მამული, ენა, სარწმუნოებაო, — იმეორებს დღესაც.**

ახლა კი ამ კოაბიტაციით უნდათ ხერხემალში გადაგვამტვრიონ, სულში ჩაგვაფურთხონ, აბუჩად აგვიგდონ და ცინიკური ღიმილით გვითხრან: — **თქვენი მხსნელი, თქვენი გადამრჩენელი, თქვენ რომ ეროვნული გმირი გეგონათ, ნახეთ, როგორ კოაბიტაციობს თქვენს შეურაცხმყოფელებთან? თქვე გულუბრყვილო და მიამიტო ქართველებო, თქვენ ვერ ხვდებოდით, თორემ შეკრულები და გარიგებულები არიან ეგენი... აქამდეც ასე იყო, მაგრამ თქვენ ვერ ხვდებოდით, თქვე უბედურებოო...**

**აი, ეს უნდათ, რომ დავიჯეროთ! აი, ეს უნდათ, რომ ვირწმუნოთ, რომ მერე გაბრაზებულები და გამწარებულები ბიძინა ივანიშვილს მივადგეთ კარზე და ჩვენი მოტყუებისთვის პასუხი მოვთხოვოთ.**

რაც უფრო დიდი იქნება დაწოლა ხალხისგან, მით უფრო იძულებული გახდება ახალი ხელისუფლება, კიდევ უფრო დაჰყვეს კოაბიტაციის ავტორების ნებას და კიდევ უფრო ახლოს მივიდეს წინა ხელისუფლებასთან, რაც დროთა განმავლობაში მათ შორის განსხვავებას და წინააღმდეგობრივ შტრიხებს თანდათან მოშლის.

„ქართული ოცნების“ ეტაპობრივი „ნაციონალიზაცია“ ანუ განაციონალება — აი, სპექტაკლ „კოაბიტაციის“ დრამატურგთა და რეჟისორთა მთავარი ამოცანა.



**როგორც კი ქართველი ხალხი ირწმუნებს, რომ ბიძინა ივანიშვილმა, ადამიანმა, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული ქართველი ხალხისთვის, ზურგი შეაქცია საქართველოს და ქართველ ხალხს, აი, იმ დღეს დაიწყება საქართველოს რღვევა და უფსკრულში ვარდნა, საიდანაც მისი ამოყვანა შეუძლებელი იქნება.**

ჩვენ, უბრალოდ, ამის ძალა არ გვეყოფა. ჩვენ სისხლისგან დავიცალეთ და დავიღალეთ ამ ოცწლიანი ომით, რომელიც 1991-92 წლებში დაიწყო და ჯერაც არ დამთავრებულა.

მაშინაც, იმ ოცი წლის წინათ, საქართველოს მტრებმა დემოკრატიული მსოფლიო დაარწმუნეს, რომ ის, რაც საქართველოში დამოუკიდებლობის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში ხდებოდა, პროვინციული ფაშიზმი იყო, ხოლო ზვიად გამსახურდია — დიქტატორი და უზურპატორი.

2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებით ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ გააკეთა განაცხადი იმისა, რომ ის არ დათმობს თავისუფლებას და არ შეეგუება მარიონეტული ხელისუფლების თვითნებობას.

სწორედ ამ ურჩობისა და გაუტეხლობის გამო ისჯება დღეს საქართველო იძულებითი კოაბიტაციით, რაც სხვა არაფერია, თუ არა ქართველი ხალხის აბუჩად აგდება და დაცინვა.

არარეალური მეჩვენება მოსაზრება, თითქოს კოაბიტაციის ავტორებს კეთილშობილური მიზნები ამოძრავებთ, როცა სააკაშვილის რეჟიმთან თანაცხოვრებისკენ მოგვიწოდებენ, რითაც სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხის განეიტრალებას ცდილობენ.

მე მგონი, პირიქითაა ყველაფერი — კოაბიტაციის დროში გაწელილი პროცესი ისეთ უკიდურესად ნერვიულ ატმოსფეროს ქმნის, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდეს.

**საქართველო დღეს ჰგავს ხომალდს, რომელიც მეკობრეებმა ჩაიგდეს ხელში და მგზავრებს ხომალდის აფეთქებით ემუქრებიან, თუ მგზავრები მათთან მშვიდობიან თანაარსებობაზე არ დათანხმდებიან.**

* * *

კოაბიტაცია ჩიხია, სადაც იძულების წესით შეგვრეკეს.

არსებობს თუ არა გამოსავალი ამ ჩიხიდან?

რა თქმა უნდა, არსებობს და ეს გამოსავალი ქართველი ხალხისა და ბიძინა ივანიშვილის მჭიდრო თანამშრომლობასა და პარტნიორულ ურთიერთობაშია.

**ქართველ ხალხს უფრო დიდი მოკავშირე, ვიდრე ბიძინა ივანიშვილია, არ ჰყავს, ისე, როგორც ბიძინა ივანიშვილს არ ჰყავს უფრო დიდი მოკავშირე, ვიდრე ქართველი ხალხია.**

ქვეყნის გადარჩენის ფორმულა ამ ორი ძალის ერთობაში და მათ ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებაშია...

№12, აპრილი, 2013 წელი

**მინაწერი:** ეს წერილი შვიდი თვის წინათ გამოქვეყნდა...

აღსრულდა ჩემი „წინასწარმეტყველება“ — ამ შვიდი თვის განმავლობაში კოაბიტაციამ მართლაც უმძიმესი შედეგები მოუტანა ქვეყანას.

კოაბიტაციის მსახვრალი ხელი ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტსაც შეეხო და ადამინების გარკვეულ ნაწილში უიმედობის და ნიჰილიზმის გრძნობა გაალვივა.

შვიდი თვის შემდეგაც იგივე შემიძლია გავიმეორო, რაც შვიდი თვის წინათ ვთქვი: „როგორც კი ქართველი ხალხი ირწმუნებს, რომ ბიძინა ივანიშვილმა, ადამიანმა, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული ქართველი ხალხისთვის, ზურგი შეაქცია საქართველოს და ქართველ ხალხს, აი, იმ დღეს დაიწყება საქართველოს რღვევა და უფსკრულში ვარდნა, საიდანაც მისი ამოყვანა შეუძლებელი იქნება.“

ვ. ხ.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# ნინო ბურჯანაძე ცრუობს – თუ ის პრეზიდენტი გახდება, არავითარ შემთხვევაში არ დანიშნავს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს, რადგან ეს მის ინტერესებში არ შედის

**მოძრაობა „ივერიელების“ ხელმძღვანელის, ლევან კოჭლოშვილის განცხადებით, ნინო ბურჯანაძე და ნაციონალები საარჩევნოდ ერთ თამაშს თამაშობენ და ის დაპირებებიც, რომ ბურჯანაძე გაპრეზიდენტების შემთხვევაში სამართლიანობას აღადგენს, ან „კოჰაბიტაციურ“ პარლამენტს დაითხოვს და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავს, მორიგი ტყუილია.**

**ლევან კოჭლოშვილი:** ნინო ბურჯანაძე ცრუობს – ის თუ პრეზიდენტი გახდება, არავითარ შემთხვევაში არ დანიშნავს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს, რადგან ეს მის ინტერესებში არ შედის. არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში ის პრეზიდენტის რანგში წარუმატებელ პოლიტიკოსად წარმოჩინდება და რატომ - საპარლამენტო არჩევნებამდე ის მთავრობას ვერ გააკონტროლებს, პარლამენტი დათხოვნილია (ანუ ჩნდება გარკვეული ლუფტი მომავალ არჩევნებამდე), თვითონ უუნარო პრეზიდენტი იქნება, რადგან ძალზე შეზღუდულია პრეზიდენტის უფლებები. კარგად გვახსოვს, რომ ბურჯანაძე გაცილებით მეტი უფლებამოსილებით იყო წარმოდგენილი მმართველ ელიტაში, მაგრამ სერიოზული არაფერი გაუკეთებია, ფაქტობრივად უმოქმედო იყო. აქედან გამომდინარე, შეიქმნება პოლიტიკური კრიზისი, რაც ავტომატურად ბურჯანაძეს დაბრალდება. პოლიტიკური კრიზისი თავისთავად გამოიწვევს ეკონომიკურ კრიზისს, ეთნიკურ და რელიგიურ დაპირისპირებებს, ამის მცდელობა ხომ უკვე ვნახეთ, რაც დიდი ალბათობით ნაციონალების მიერ იყო ინსპირირებული. პოლიტიკური კრიზისი ყველაფერს შეეხება, განსაკუთრებით იმ გარდამავალ ფონზე, როცა თბილისს გიგი უგულავა აკონტროლებს, პრეზიდენტის სავარძელს ბურჯანაძე იკავებს, ხოლო პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილია. პარლამენტი დათხოვნამდე, მხოლოდ კოალიციისა და ნაცმოძრაობის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული, უმრავლესობამ ხალხის სასიკეთო გადაწყვეტილება რომ მიიღოს, ცხადია, ეს მათ რეიტინგს გაზრდის, რაც ბურჯანაძეს არ აწყობს. მან, თავისი ამბიციებიდან გამომდინარე, შეიძლება ამ სასიკეთო ინიციატივას ვეტო დაადოს, როგორც ამას სააკაშვილი აკეთებდა და სახეზე გვექნება პოლიტიკური კრიზისი, რითაც სერიოზულ ჩიხში შევა ქვეყანა. ამას კარგად აცნობიერებს ბურჯანაძე, რომელიც საკმაო ინტელექტის მქონე პოლიტიკოსია, ამიტომაც არ მიიღებს არჩევნების დანიშვნის გადაწყვეტილებას. უბრალოდ, ისიც შევა კოჰაბიტაციურ რეჟიმში ხელისუფლებასთან, მოითხოვს თავისი ხალხის დასაქმებას და 2-3 წელს ასე „გაათრევენ“, მერე რა მოხდება, ეს ძნელი სავარაუდოა. ბურჯანაძე თუ ვერ გახდა პრეზიდენტი, მხოლოდ იმ შემთხვევაში იბრძოლებს ყველანაირი ხერხით, რომ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს, რაც მას პარლამენტში მოხვედრის გარკვეულ შანსებს მისცემს.



## ვინ მიაწოდა ჟურნალისტს მასალები „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილი აგენტურის შესახებ, როცა ამ მასალებს გრიფი — საიდუმლო ადევს და მის გახსნას და გასაჯაროებას სპეციალური განკარგულება სჭირდება?

**- აქტიურად ვრცელდება ხმები, რომ „ეროვნული ფორუმი“ პარლამენტში დამოუკიდებელ ფრაქციას შექმნის გუბას სანიკიძის ხელმძღვანელობით, რომელიც ბურჯანაძის მხარდამჭერი იქნება, სხვათა შორის, ეს კერძო საუბრებში ზოგიერთმა ფორუმელმაც დაადასტურა. მოვლენების ასეთ განვითარებას გამორიცხავთ?**

- არ არის გამორიცხული, მითუმეტეს, რომ თუ არ ვცდები, „სახალხო კრების“ წევრებმა დააანონსეს, რომ პარლამენტში თავიანთი წარმომადგენლები ეყოლებათ პარტიული სახით. ჩემი აზრით, ეს უფრო მიზანმიმართული პოლიტიკური შანტაჟია, რათა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შიდა არეულობა გამოწვიონ, რადგან კოალიციის სუბიექტები ერთმანეთის მიმართ პოლიტიკურად „საომარ“ ვითარებაში არიან. ვფიქრობ, ეს მათი სტრატეგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რადგან კონკრეტიკა არ გაუკეთებიათ „სახალხო კრების“ წევრებს, თუ ვინ გადმოდის კოალიციიდან მათთან. გავიხსენოთ ბატონი ბიძინას განცხადებაც, რომ კოალიციაში რამდენიმე ადამიანია, რომლებიც შიდა წესრიგს არღვევენ, სწორედ ამის მერე გაკეთდა ხსენებული განცხადება. ამ შემთხვევაში შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ კოალიციაში არიან ადამიანები, რომლებიც ნაციონალების ინტერესებს ატარებენ, თუმცა მაინც მგონია, რომ ეს „ეროვნული ფორუმის“ წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანიაა, რადგან ვიღაც-ვიღაცეები ძალიან არიან დაინტერესებული კოალიცია რომ დაიშალოს, განსაკუთრებით ბიძინა ივანიშვილის პარტია. რამდენად სუფევს კოალიციაში პოლიტიკური „იდილია“ ეს სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი შეთანხმებას აღწევენ თუნდაც ვეტოების გადასალახად.

**მე არანაირად არ ვუპირისპირდები ჟურნალისტ ელისო კილაძეს აგენტურის საკითხთან მიმართებაში, მან სენსაციური მასალა მოიპოვა და სრული უფლება ჰქონდა გამოექვეყნებინა, მაგრამ ეს გარკვეულ ეჭვებს მაინც იწვევს. პირველად გამოქვეყნდა ალი ბაბაევის და მამედოვის საუბრის აუდიო ჩანაწერი, ერთი დეპუტატია, მეორე კი „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წევრი და რაც მთავარია, ორივე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია, ასე რომ, აქაც პროვოკაციის სუნი ტრიალებს, რადგან ეთნიკური დაპირისპირების საკითხი დღეს ძალზე აქტუალურია. შემდეგი ქმედება იყო ივანიშვილის პარტიის ბირთვის „მხილება“, ირინა იმერლიშვილი ხსენებული პარტიის პოლიტსაბჭოს მდივანია, ზაქარია ქუცნაშვილი ამავე პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელი, ხოლო დავით საგანელიძე უმრავლესობის ლიდერი და საარჩევნო შტაბების უფროსი, ანუ ამით სერიოზული დარტყმა მიაყენეს ბიძინა ივანიშვილის პარტიას.**

გამოძიების პრეროგატივაა და ალბათ ის იტყვის, ვინ იყო „მხილებულთა“ შორის კონფიდენტი და ვინ არა. სიმართლე გითხრათ, მე ამ ინფორმაციის ნამდვილობაში ეჭვი მეპარება, განსაკუთრებით ირინა იმერლიშვილის შემთხვევაში, რადგან ის წოდებით იუსტიციის გენერალია და ძნელი წარმოსადგენია, რომ მეგის ქარდავასთან თანამშრომლობის ხელშეკრულება გაეფორმებინა, თუმცა ეს ჩემი სუბიექტური აზრია. მიმაჩნია, რომ ეს იყო მიზანმიმართული ტერორის მცდელობა ბიძინა ივანიშვილის პარტიის წინააღმდეგ, „სახალხო კრების“ წევრების განცხადებასაც პოლიტიკური დაძაბულობის, შიდა არეულობის შექმნის მცდელობად შევაფასებდი. მე ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ, რომ ნინო ბურჯანაძესა და „ეროვნულ ფორუმს“ შორის რაიმე გარიგება არსებობდეს, ფაქტია, რომ მათ შორის იყო თანამშრომლობის მცდელობა, თუნდაც 2010 წლის ნოემბერში.

ისევ „ჩანერგილების“ საკითხს მინდა დავუბრუნდე, ამ მასალების გამოქვეყნების შემდეგ ხელოვნურად მართული პროცესი დაიწყო იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს „ქართული ოცნება“ ცდილობს საკუთარი საარჩევნო შტაბების დასუსტებას, ნაცმოძრაობის ყოფილი აქ-



## ვინ არიან ის „ამრევები“, რომლებიც უმრავლესობის დატოვებას და ცალკე ფრაქციის შექმნას აპირებენ?



## დაინტერესდით, ბატონო ირაკლი, ვინ არიან შსს-ს ის მაღალჩინოსნები, რომლებიც თანამშრომლებს მოუწოდებენ, ხმა ნინო ბურჯანაძეს მისცენ

ტივისტების იქ ჩართვას და დასაქმებას, რაც რა თქმა უნდა, უნდა უარყოფითად მოქმედებს გიორგი მარგველაშვილის ამომრჩევლებზე. ვისთვისაც „ნაცმოძრაობა“ კატეგორიულად მიუღებელია, ის რა თქმა უნდა, მათ გარდა ყველას მისცემს ხმას, აქედან გამომდინარე,

**ეს შავი პიარი მხოლოდ და მხოლოდ იქითკენ იყო მიმართული, რომ „ქართულ ოცნების“ და მისი საპრეზიდენტო კანდიდატის რეიტინგი შემცირებულიყო. ერთადერთი კანდიდატი, რომელიც დღევანდელ პოლიტიკურ სივრცეში რადიკალურობით გამოირჩევა და რეიტინგულია, ნინო ბურჯანაძე და ამ შავი პიარის მეშვეობით, სწორედ მისი რეიტინგი იზრდება ხელოვნურად.**

მე არ გამოვრიცხავ, რომ ბიძინა ივანიშვილის პარტიის პოლიტსაბჭოს წევრების წინააღმდეგ კიდევ გამოქვეყნდეს მასალები (ამას ისედაც გვპირდება ელისო კილაძე – მ.ს.), მე მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს, საიდან ჩაუვარდა ხელში, ვინ მიაწოდა ეს საბუთები ელისო კილაძეს. რა თქმა უნდა, ჟურნალისტს წყაროს ანონიმურობის დაცვის უფლება აქვს, მაგრამ

**აქ საუბარია იმაზე, რომ გრიფით საიდუმლო მასალები გაიხსნა, რომელიც სპეციალური განკარგულების გარეშე არ იხსნება. შესაბამისად, გარკვეული პოლიტიკური ნება და პოლიტიკური ძალების ზეგავლენა რომ არ ყოფილიყო, ეს საბუთები დღის სინათლეს ვერ იხილავდა. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ მასალების გამოქვეყნების შემდეგაც ნაციონალების რეიტინგი არ გაზრდილა, მხოლოდ ბურჯანაძის რეიტინგი იზრდება, რაც ლოგიკური ვარაუდების გამოთქმის საშუალებას გვაძლევს. ვის მიუწვდებოდა ამ მასალების ქსეროასლებზე ხელი? სავარაუდოდ მხოლოდ ნაციონალებს და იმ ადამიანებს, რომლებსაც სკანდალურ ვიდეოკადრებზეც მიუწვდებოდათ ხელი, ანუ უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსნებს.**

მე არ მგონია, ღარიბაშვილის უწყებაში ვინმეს ინტერესებში შედიოდეს, რომ წინასაარჩევნოდ ვინმესთვის მმართველი პარტიის წარმომადგენლებზე ასეთი მასალები მიეწოდებინათ, არ აქვს მნიშვნელობა პრეზიდენტი ბაქრაძე გახდება თუ ბურჯანაძე, რადგან ორივე მათგანი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, მინისტრთა კაბინეტს დაითხოვს და წავა მერე პოლიტიკური ვაჭრობა, რომ ნაწილი მინისტრებისა მათი ხალხი იყოს, ყოველ შემთხვევაში მათ გავლენის სფეროში მოხვედრილი პერსონა მაინც. ყველაზე მეტად ამ საიდუმლო მასალებზე ხელი მიუწვდებათ, თავის დროზე ნაციონალების მიერ დანიშნულ შსს-ს მაღალჩინოსნებს, რომლებიც, როგორც ჩანს სახელისუფლებო პარტიის კანდიდატის მთავარი კონკურენტის, ამ შემთხვევაში ნინო ბურჯანაძის სასარგებლოდ მოქმედებენ. ასე რომ, ამ მასალების გამოქვეყნებაში ნაციონალებთან ერთად, ნინო ბურჯანაძის ინტერესებსაც ვხედავ.

მე ჩემს წინა ინტერვიუში გითხარით, რომ **საქართველოში სერიოზულად მუშაობენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამ სპეცსამსახურებს დღევანდელ ძალოვან სტრუქტურებში ჩანერგილი ჰყავდეთ თავიანთი აგენტურა, რომელიც კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას გადასცემს ინფორმაციას, ხოლო ეს უკანასკნელი კი, მას ჟურნალისტების ხელით ახმაურებს. კარგი იქნება თუ ამ საკითხით დაინტერესდება ირაკლი ღარიბაშვილი და სათანადო ღონისძიებებსაც გაატარებს.**

**- თქვენ ადრე განაცხადეთ, რომ შსს-ს ზოგიერთი მაღალჩინოსანი თანამშრომლებში აგიტაციას ეწევა, საპრეზიდენტო არჩევნებში ხმა ნინო ბურჯანაძეს მიეცითო. ამ თემაზე მოდით, უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ.**

- ეს აგიტაცია დღემდე გრძელდება. **ბადრი ბიწაძეს ძალიან დიდი სამეგობრო წრე ჰყავს საზღვრის დაცვის პოლიციაში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტში, იქ მრავლად არიან მისი ახლობლები, რომლებიც მაღალ თანამდებობებს იკავებენ. ზუსტად ვიცი იმ მაღალჩინოსნების ვინაობა, რომლებიც ამ აგიტაციას ეწევიან, მაგრამ ამ ეტაპზე მათი ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებ, თავად მიხვდებიან ვისაც ვგულისხმობ. ჩემი ინფორმაციით, ეს ხალხი წინასაარჩევნოდ ღია და ფარულ აგიტაციას ეწევიან ნინო ბურჯანაძის სასარგებლოდ.**



## რის სანაცვლოდ გადასცემს დავით კეზერაშვილი თავისი მეგობრის ხელით ნინო ბურჯანაძეს სოლიდურ თანხებს?

დააკვირდით, საარჩევნოდ სამთავრობო გუნდი კი არ იყენებს სახელისუფლებო რესურსს, როგორც ეს ნაციონალური რეჟიმის დროს ხდებოდა, არამედ ოპოზიცია, რაც მართლა კურიოზია. ერთი სიტყვით, მიდგომა და ვითარება რადიკალურად არის შეცვლილი. ბადრი ბიწაძის სამეგობრო, რომელიც მასთან და ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად დადიოდა სათევზაოდ, სანადიროდ და საქეიფოდ, დღეს სერიოზულ უკანონო მუშაობას ეწევიან ბურჯანაძის სასარგებლოდ, იბარებენ თავიანთ სამსახურეობრივ დაქვემდებარებაში მყოფ ადამიანებს და მოითხოვენ, თქვენ და თქვენი ოჯახის წევრებმა ბურჯანაძეს მიეცით ხმა, ისეც გაწიეთ ხალხში აგიტაცია, ოღონდ ამას უნიფორმაში გამოწყობილები ნუ გააკეთებთ, სამუშაო საათების მერე იმოქმედეთო. ეს არის პირდაპირი დავალდებულების ფორმა, რადგან მოგეხსენებათ, პოლიცია ნახევრად გასამხედროებული სამსახურია და სიტყვიერი მითითებაც ბრძანებად ითვლება, ვალდებულების სახე აქვს.

აქვე მინდა იმის დამადასტურებელი დამატებითი ფაქტებიც მოვიყვანო, ნაცმოძრაობა ნინო ბურჯანაძის სასარგებლოდ რომ მუშაობს. ერთი ასეთი ფაქტი კახეთს, კერძოდ, თელავის რაიონის სოფელ წინანდალს შეეხება, რამდენადაც ვიცი ნინო ბურჯანაძე აქ ერთხელ უკვე იყო ჩასული ამომრჩეველთან შესახვედრად. ჩვენი ორგანიზაცია დაინტერესებული იყო წინანდლის ღვინის ქარხანასთან დაკავშირებული საკითხებით, რომელშიც კახეთის ყოფილი გუბერნატორი და 2004 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი, ნაციონალი თამაზ ხიდაშელი იყო გარეული. მას ამ ქარხნიდან ათობით მილიონი აქვს მიტაცებული, ქარხანას თანამშრომლების მიმართ სერიოზული სახელფასო დავალიანება აქვს, რაც დღემდე არ გადაუხდია.

**ხიდაშელს ამ ფინანსების გარდა კიდევ ბევრი სხვა რამ აქვს მიტაცებული და დღეს ეს ადამიანი ნინო ბურჯანაძის თელავის საარჩევნო შტაბის ძალიან აქტიური წარმომადგენელია. როდესაც ამ ისტორიული ქარხნის საბოლოო დაღუპვა და გაჩანაგება ხდებოდა, ხიდაშელი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე იყო, ხოლო ნინო ბურჯანაძე პარლამენტის სპიკერი გახლდათ,** რომელიც თვალს ხუჭავდა ამ ყველაფერზე.

რამდენადაც ვიცი, ქალბატონი ბურჯანაძე 20 ოქტომბერს ისევ აპირებს წინანდალში ჩასვლას. წინა შეხვედრაზე იქაურებს პირდებოდა, რომ მათ ყველა პრობლემას მოუგვარებდა და ყველა დამნაშავეს საკადრისად დასჯიდა, საინტერესოა ამას როგორ აპირებს ეს ქალბატონი, რომელსაც ხიდაშელი ჰყავს თელავის რაიონში წარმომადგენლად. დარწმუნებული ვარ, ბურჯანაძე 20 ოქტომბერსაც აქტიური მოტყუების რეჟიმში შესთავაზებს საკუთარ საპრეზიდენტო კანდიდატურას კახელებს. ბურჯანაძეს და ხიდაშელს კიდევ ერთი საინტერესო ფაქტიც აერთიანებთ, როგორც ბურჯანაძეს ერთ ლარად ჰქონდა გადაცემული წყნეთის აგარაკი, ასევე ერთ ლარად აქვთ გადაცემული ხიდაშელს, მის ძმას და საახლობლოს თელავის რაიონში საბავშვო ბაღების შენობები. წინანდალში და ნაფარეულში ხიდაშელმა ბავშვებს საბავშვო ბაღები წაართვა და ერთ ლარად მიისაკუთრა.

ადრეც გითხარით და ვიმეორებ, რომ ხელისუფლება აუცილებლად უნდა დაინტერესდეს ბურჯანაძისა და დავით ბაქრაძის საარჩევნო კამპანიების დაფინანსების წყაროების წარმომავლობით.

**ბურჯანაძის დამფინანსებელთა შორისაა დავით ბერიძე, რომელსაც წლების განმავლობაში ეკავა კეზერაშვილის კუთვნილი ტელევიზიის, „საქართველოს“ გენერალური დირექტორის პოსტი.**

ბერიძის განცხადებით, მას გადაუწყვეტია, რომ საკუთარი, ხუთი წლის განმავლობაში დაზოგილი თანხა ბურჯანაძის საარჩევნო ფონდს შესწიროს. აქედანაც ხომ ნათლად ჩანს, რომ ნაციონალების ფინანსური რესურსები და პოლიტიკური ინტერესები ნინო ბურჯანაძისკენ არის მიმართული. ბერიძის დამფინანსებელთა შორის მოხვედრა არის პირდაპირი გზავნილი, რომ ბურჯანაძის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, დავით კეზერაშვილის ბიზნესინტერესები, რომელიც დღეს მრავლად არის წარმოდგენილი, საიმედოდ უნდა იყოს დაცული. ისეთ მსხვილ ბიზნესკომპანიებს, როგორიცაა ბენზინგასამართი სადგურების ქსელი „გალფი“, სარეკლამო კომპანია „აუთდორჯი“ და ა.შ. პოლიტიკური „ზედამხედველობა“ და მოფრთხილება უნდა, **რის სანაცვლოდაც გადასცემს ასე ოფიციალურად კეზერაშვილი თავისი მეგობრის ხელით ნინო ბურჯანაძეს სოლიდურ თანხებს.** ეს რაც ღიად ჩანს, თორემ „შავი ფული“, რომ ისედაც დიდი დოზით ტრიალებს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, ყველას კარგად მოეხსენება.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

*1614-17 წლებში ირანის შაჰმა აბას I ათასობით ქართული ოჯახი ირანში გადაასახლა. მას შემდეგ ქართველები ფერეიდანში ქართულ ტრადიციას და ენას სასოებით ინახავენ.*

*ჩვენი დღევანდელი სტუმარი ფერეიდნელი ქართველი, 68 წლის* ***მუჰამედ მოლიანი (მოლაშვილი)*** *რამდენიმეჯერ არის საქართველოში, ანუ, როგორც ამბობს, „დედის კალთაჩი“ ნამყოფი. ახლანდელი სტუმრობა ყველაზე ხანგრძლივი გამოუვიდა. ის საქართველოში დაგეგმილზე უფრო დიდხანს, ერთ თვეს დარჩა. მომჭრის ჩემი ცოლი თავს, მაგრამ, აქედან წასვლა არ მინდაო, — ამბობს და იცინის.*

*ბოლო წლებში დაახლოებით მილიონნახევარმა ქართველმა საკუთარი ნებით დატოვა საქართველო, თითქმის ყველა ქვეყანაში არიან და დაბრუნებას, სავარაუდოდ, არც აპირებენ.*

*მუჰამედ მოლიანი და ფერეიდნელი ქართველები დღესაც საქართველოზე, როგორც აღთქმულ ქვეყანაზე, ისე საუბრობენ და შთამომავლობას ანდერძად საქართველოში დაბრუნებას უტოვებენ.*

**— მუჰამედ, წერა-კითხვა იცით ქართულად?**

— ბატონო ნოდარი გადმოიდა ორმოცდაათი წლის წინ ირანჩი. გვარი არ მახსოვს. საბჭოთა კავშირის დროს. ათი წლის წინათ ვნახევი და მერმე ველარ მომინახია. მივედით მე და ჩემ მეგობარი. ვლაპარაკობდით, მამხედა და მითხრა: შენ ქართველი ხარ?

— კი, როგორ, ქართველი არა ვარ?

ძაან გოუხარდა ეს რომ უთხარ.

**— რა ენაზე უპასუხეთ?**

— ქართულად *(გაბრაზებული მპასუხობს—ი.კ.)*.

**— იცოდით ქართული?**

— დედისგან ვიცოდი და ვიცოდი. მე დედის სიტყვასა პატივსა ვცემა, არანაირად არვის არ გავცვლი, არაფერად.

**— მერე რაო ნოდარმა?**

— გადავეხვიე და დავკოცნე, გამიხარდა და მერე ვთქვი: ერთი შაკითხება მაქ თქვენთვის.

**— რა გაქ შაკითხებაო?**

— შაიძლება ქართულ ანბანი მე ჩამიწეროო?

მოიდა, ანბანი ჩამიწერა, უჯრედი ესე სწერა — ანი, ბანი, ელე ეგრე მიწერა, მიწერა. მივიტანე ჩინა. ერთი მეგობარი მყვანდა, შავერთდით, დავსხედით და რა ვჰქმნათ, გავამრავლოთ, გავშალოთ ხალხჩი? გავამრავლოთ ფორცლებზე? დავსწერეთ ეს ანბანი. ცალკე ა დავადეით ბ-ზე შავჰქენით სიტყვა, მუამეტეთ, მუამეტეთ, ოცდაათ ფორცოლი დავსწერეთ, დავბეჭდეთ და გავამრავლეთ ხალხჩი. იკითხეს, იკითხეს, მიეჩვიეს და ამან დასწავლეს.



**— ირანში ფერეიდნელთა ოჯახებში ქართული რა არის შემორჩენილი?**

— ჩემ ქალი რომ მოიყვანე ოჯახჩი, პარსულად ლაპარაკობდა, მე უთხარ რო: ჩემ ბინაჩი მე პარსული არ ვიცი, ჩემ დედამ არ მასწავლა, ქართულად უნდა ილაპარაკო.

**— სპარსული არ იციო?**

— არა-მეთქი.

**— თქვენი ცოლი ირანელია?**

— არა, არა *(ხელებს ასავსავებს)*, ქართველ იყო, მაგრამ იყო დედაქალაქჩი, თეირანჩი, ძმასთან და პარსულად ლაპარაკობდა. რომ შამოვიდა ჩონ სახჩი, მე უთხარ — პარსულ არ მითხრა, არ მესმის-მეთქი. მერელა დაიწყეს ქართული, ბავში დავაბადეთ და ქართული ვუთხარით და ვასწავლეთ. სახხჩი ქართულს ლაპარაკობს, წავიდის სკოლაჩი, პარსულს ლაპარაკობს.

**— ოჯახში ყველა ქართულად ლაპარაკობთ?**

— ყოლა. ყოლა.

**— არ მჯერა.**

— ღმერთს გეფიცები. დედას გეფიცები. ვეტყვი: გოგონა, მარიამ *(შვილი—ი.კ.)* მაიტა, წაიღე, მაიტა, ოჯახჩი ყოლა ქართულს ვლაპარაკობთ.

ყოლა წესები მივდევავთ, რაც რო დედას ჩემთვინ უსწავლებია, რაც რო მამას ჩემთვინ უსწავლებია.

**— დედა რა გვარის იყო?**

— ჩემ დედა? იოსელიანი. იმის ბიძამ გადმოვიდა საქართველოჩი, ჯერ საბჭოთა კავშირი აშენებული არ იყო, სეიფოლა ხანი ერქვა. 85 წლის წინათ გადმოიდა აქა. ორ წელს აქ დარჩა. მერე დაბრუნდა, იმდენ წიგნი გადმაიტანა, სკოლა დაიწყო, მარამ რას აკეთებს? ოჯანყდეს *(აუჯანყდა ირანის ხელისუფლებაო—ი.კ.)*. გასინჯულ კაცი *(კარგი კაცი, ვაჟკაცი—ი.კ.)*, დიახ, გონიერი და დიახ, მართალ კაცი იყო.

**— თქვენი ცოლი რა გვარია, მუჰამედ?**

— ყაფლანაშვილი.

**— როგორი ქალია თქვენი მეუღლე?**

— ჰაჯი ბიბი? დიახ, ქალია *(კარგი ქალიაო - ი.კ.)*. მე რო შინ არა ვარ, უფროსია.

**— მუჰამედ, თქვენ კახელი ხართ, არა?**

— კი, კი, მარტყოფიდან ვარ. იმიტომაა იქაურ სოფელს ფერეიდანჩი დოურქმოვენ-ყე მარტყოფი.

პაპასგან ვიცი, 90 წლის წინათა ქართველი, ამბაკო, მოიდა ისპაჰანსა, იკითხა — ქართველი სად არიანო. მიდი დასავლეთჩიო, მიდიო 100 კილომეტრზეო. ამოიდა. ზაფხულობა იყო. იარა, იარა, ვერ ენახვა და ეგრე რომ დადიოდა, ერთმა დაიკივლა: ჰოი, კაცო, ჩემ კაკალ ვერაი ნახეო? — მეორეს დაუკივლა-ყე. ამბაკომ ადგა და მიწა დაკოცნა — ჩემი ნათესავი მოვნახეო. გოუხარდა, ძაან.

სახლებს აშენებდნენ ქვაითა და ტალახითა, დიიდ თავსახლები გააკეთებიან *(სახურავები—ი.კ.)* თოვლი მოიდის-ყე სამი მეტრია.

# „არ უნდა საქართველოს ჩონ თავი? მაშინ ხელზე ვაკოცებ და მემრე დავბრუნდები იმ ჩემ უბედურობაჩი...“

**— სამხედრო სამსახურში დღესაც მიდიან ფერეიდნელები?**

— კი, კი, ყოლა მიდის, შაიქნან 18 წლისა, წავა ჯარჩი. მეც ვმსახურობდი. კაპიტანი ვიყავ. მოიდიან, სუქან, კაი ბიჭები აირჩევიან, წაიყვანენ-ყე.

სურათებს გაჩენებ ფერეიდანჩი რო გადმოხოლ — რა ტანსაცმელ მაცვია და რა მიმხედავ, იტყვი — ეს მოლიანია? *(იცინის)*.

**— ქართველები ერთმანეთში ქორწინდებიან, არა?**

— კი, ჩემი აზრი ეგეთი იყო: გოგოები ქართველებზე გათხოვდნენ, მაგრამ სხო ადამიანთა ვერ ვენდობოდი.

**— ირანელს რატომ არ ენდობოდი?**

— ის ღირსობა, ის კაცობა, რო ქართველს იქა აქვს, სხვა ხალხს არა აქ იქა. მართლა გებნები. ღირსობა აქ ქართველს იქა.

ვიცოდი, ქართველი ჩემ გოგოს შაინახავს. ღირსობა აქ.

პირველად ორი გავათხოვე ქართველჩი. მესამე სტუდენტი იყო, წაიდა უნივერსიტეტჩი. მეგობარი ჰყვანდა პარსელი, დიახ ურთიერთობა ჰქონდა. ემან წაიდა, მოიდა ჩონთა და ჩონ ოჯახი და ესევი რო გასინჯა და გაფიქრა, თქო, რო რა კარგი ხალხი ხართ თქვენე, კარგი სანდობი ხართ. დეიდაშვილი ჰყვანდა, ბიჭი იყო, იმას უთხრა: თუ მე დამიყურებ, ეს გოგო ითხოე. ოჯახს გაჩენებ, რა ხალხები არიან. მოიდეს, ითხოონ. მე უთხარ: არა, არ შეიძლება. არ გიცნობ შენა, რა მნიშვნელობა მაქ შენთან, არ გიცნობ.




ფერეიდნელი ქართველები

რაც ნათესავი ჰყონ, მოგზანა, მოიდეს, წაიდეს. ვერ მოგცემ გოგოს-მეთქი. არ ვიცი, რა გაქ ტინჩი *(ტვინში—ი.კ.)* რაი გაქ, რას ფიქრობ? გოგომ აიღო, წერილი დამიწერა, პირზე ვერ მითხრა: მამაჩემო, გზა მამე, წავიდე, დავლაგდე, მიყვარსო...

ეს ამბავი არა ბავშსათი არ მითქომს *(ასეთი რამე არც ერთი შვილისთვის არ მითქვამს—ი.კ.)*: თუ გაჰყიდე-ღა, აემ სახჩი დაბრუნება არა არი რა, არა დაბრუნდები-ღა? *(ირანელს თუ გაჰყვები, ამ სახლში აღარ დაბრუნდეო—ი.კ.)*.

მერე ქორწილი დაიჭირე-ღა და სიძეს პირველ უთხარ: თუ ქართულ დაისწავლი, გოგოს მოქცემ, თუ არა და, არა-მეთქი.

ახლა დამირაკუნებს-ყე *(დამირეკავს—ი.კ.)* გამარჯობა, — მეტყის.

მე ვეტყი: შენ და შენ სიდედრ კარგა დამკარგეთ საქართველოჩი *(ირანიდან რომ მირეკავს ვეუბნები: შენ და შენმა სიდედრმა დამკარგეთ საქართველოში და მომძებნეთო—ი.კ.)*.

კაი ბიჭია *(იცინის და აქებს ირანელ სიძეს)*.

შვილიშვილს უფროსს ამირანა ჰქიან.

**— რამდენი შვილი გყავთ?**

— შვიდი. გოგოები ტყუპები მყავ — მეჰრანგი და რუჰანგი. ვერ გაცნობ, რომელი რუჰანგი, რომელი მეჰრანგი.

**— ქართულ საჭმელებს აკეთებთ?**

— ხაჭაპურს ვაკეთებთ. აზამ *(რძალი აზამ ასფანანი, რომელიც ასევე ქართველის შვილია — იგი გავიცანი ხუთი წლის წინ ბათუმში და ჩემი და არამარტო ჩემი ყურადღება სილამაზით მიიპყრო, ირგვლივ ყველა თვალს აყოლებდა—ი.კ.)* იცის ხაჭაპურის გაკეთება. გააკეთებს-ყე ჩურჩხელასა, გააკეთებს-ყე ხაჭაპურსა, ლობიოსა, ხინკალსა.

როგორც დედაჩემი აკეთებდა: ხორცი მაიტანოს-ყე, ჩადგის-ყე პატარა ქვაბი, ტალახით გაკეთებული-ყე *(თიხა—ი.კ.)*, ქოთანი-ყე, იმას ვეძახოდით-ყე კოჭობასა. ქოთანჩი აკეთებდა-ყე დედაჩემი საჭმელებს.

**— გინდათ, რომ თქვენი შვილები საქართველოს მოქალაქეები გახდნენ?**

— დიახ. კაია. ქართველი გახდენ. კურსები დაამთავრონ *(ანუ საქართველში ისწავლონო—ი.კ.)* წინაპრების ქვეყანა გაიცნონ. გაიგონ ჯიში ქართველების და მიხდენ. საჭმელი, ტერიტორია, ბუნება, ნახონ ისევი. იმათაც უნდათ, მარა ჯერ ვერ ჩამოსულან, ფასპორტი, ისა, ახლა მოადგილესთან ვიყავ, საგარეო მოადგილესთან. ვილაპარაკეთ. ბანკები დოულუქავთ. ძაან მიგვიღო და თქო არჩევნას დავამთავრებთ, გაგიკეთებთ.

ფერეიდნელი ქართველი 440 წელია ტინით *(ტვინით—ი.კ.)* და ენით და გულისპირით ქართული ანბანი და ქართულ სიტყვა მაიდეს და შოუნახიან, ძან პატივსა სცემს. როგორც დედის კალთას დეეკაგოს და კალთასთან დედა არ უშებს *(უშვებს—ი.კ.)*, არ მიიღებსა.

ჩემი თოლითა ნახე, რო არაბსა და ერაყელსა ვიზა მუქთად ჩოურტყა, საზღვარზე შამოვიდა. მე ფერეიდნელ ქართველს, ვიზას ართუმს, აჯარიმევებს და, სტუდენტს და რაღაცეებს ფრობლემა მუუტანა *(პრობლემას უქმნის — ი.კ.)*.

რამდენი განცხადება შამიტა-

ნია რომელ სამსახურჩი, ჯერ არ უპასუხიან ჩემთინა. სხო ქოყანა გოხეწების: მოდით, მოდით. არ მივდივართ, არ გვინდა. ჩონ ქოყანა მერჩივის, არ მინდა წავიდე იქი და ბიზნესობა ვყო.

ბავში რო დაბადებულა აქა, ორი წლის ბავში, რომელ ქოყანაში უნდა მოქალაქეობა მისცენ? ვინ უნდა უპატრონოს, სახენწიფოს შეკითხე, მითხრას, აბა?! *(მთავრობას ჰკითხე, მიპასუხოსო–ი.კ.)* ფასპორტს არ აძლევენ. ჟვანიის პერიოდში კანონი გამოიცვალა და რა ხდება დღეს რატომ არ მიღებს კანონსა *(მას აქვს საქართველოს მოქალაქეობა, მის შვილებს კი არ აძლევენ. ჟვანიას პარლამენტის თავმჯდომარეობისას მიიღეს კანონი, მშობლები რომელი ქვეყნის მოქალაქეებიც არიან, შვილებიც იმ ქვეყნის მოქალაქეები უნდა იყვნენ ავტომატურადო. მისი ორი შვილის თხოვნა საქართველოს მოქალაქეობაზე მუჰამედ მოლიანს უკვე რამდენიმე თვეა ამაოდ აქვს შეტანილი პრეზიდენტის სახელზე, მაგრამ სააკაშვილი მოქალაქეობას უანგაროდ, როგორც ჩანს, არ იძლევა. თორემ ასობით თურქს რომ ჩამოურიგა მოქალაქეობა, ფერეიდნელ ქართველებს რას ერჩის? მაგრამ მოვუსმინოთ მუჰამედს):*

ჩონი ამბავი არ უნდა? მაშინ ხელზე ან ფეხზე ვაკოცებ, მერმე დავბრუნდები იმ ჩემ უბედურობაჩი, მივალ, მოვფიქრავ, წავალ იმ ირანის მთავრობას ვეტყვი მადლობასა. ქართული სკოლა გახსნა ჩემთვინ, საქმე გოუკეთებინ, ენა შაიტანა უნივერსიტეტჩი, რო ახალგაზრდამ იკითხოს.

**ქართული სახელები მარტყოფისა და მარტყოფის მიდამოსი ფერეიდანში**

| | | | |
|---|---|---|---|
| მარტყოფი | დიდრუვი | ხუციანთ წყარო | სათავე |
| საცურველა | თამზიას ცხენი | ქალების ქობი | სასკლინტო |
| ბაბუას ქობი | დიდ წერი | სასახლე | ხირხატი |
| პირიქითი | ჩუგულია | ნაქერალი | ნასერალი |
| ვარდის ყელი | ალუნის გორა | მემელეს გორა | თათაშვილის გორა |
| მელას გორა | ლამაზის გორა | გოსთუგანი | ზუდაყი |
| ამოღლობა | თათარა | ქოთანი | სუნიან ყიშლაღი |
| გუგუნანთ მაზრა | ასპანიანთ აბონე | ლაჩინანთ ბაღჩა | პაპას ბაღი |
| ყუდრო | ქუვაყრილი | გადრესილი | ცივ წყარო |
| ჩქრიალა | ჩაჩასქედი | სასთოვლა | ასკილი |
| ციხე | ჩუღრუთი | ჩუღრუთის ყელი | სიღნაღი |
| სიღანა | ნაქცევი | ონიკა | დევლათას ღელე |
| ყარავლის ღელე | კაკბის წყარო | დიდ ჰავრობი | ზანდარჩას ღელე |
| ცხრის გზა | თამზია | | |

საქართველოჩი ხალხი გცემენ პატივსა, მაგრამ სახელმწიფო – არა. ამერიკა ზიან აქ და ფრობლემები მე შამექნას? რატომ, მე რა ბრალი მაქ?

დიდი მადლობა საქართველოს. მე სიტყვა არა მაქ, მაგრამ ველოდები-ღა, რომ მთავრობამ მიპასუხოს. რათ არ მაძლევს-ყე საშვალებას ბიზნესობა ვქნა და შვილებმა მოქალაქობა მიღონ? გავაკეთებ ბიზნესსა, თუ მავიგებ, კარგი, თუ მამატყუებს, ჩემი ძმა, ქართველი მამატყუებს, ალალ იყოს. სხოგან რათ უნდა წავიდე?

**– ირანში სად ცხოვრობთ?**

– თეირანჩი. დიიდ ქალაქია, 14 მილიონი ადამიანი შიგა ცხოვრობს. არაა კაი ბუნება. სუფთა ჰაერი არაა. აქა რომ ჩამოვსულვარ, დამისვენია აქა.




ფერეიდანი დიდი რაიონი იყო. შიგა ქართველიც ცხორობდა, თურქი, პარსელი, სომეხი. ფერეიდუნ შაჰრი ქართველებს დარჩა, სოფელი ქვიან, მარა სოფელზე გათქმულია (განთქმული – ი.კ.).

**– რითია განთქმული?**

– იქ ყოლა ქართულად ლაპარაკობს, ყოლა. თურქი, პარსი, ვინც იქ შამოსულა, ყოლა ქართული შაქნილა.

ჩავდივარ-ყე და გაუმარჯოს, გაუმარჯოს. ენა პირში ვერ ჩამიგდია.

**– საქართველოში ცხოვრება მოგწონთ?**

– გაჭირვებულია ხალხი, გულსაწყლობით წუხდება. მამწონს საქართველოჩი, მარა ხალხზე რო ვფიქრავ, საქმე არა აქ, საჭმელი არა აქ. ვწუხდები.

**– რომ დაბრუნდეთ საქართველოში, გინდათ?**

– თუ იტყვის სახემწიფო *(თუ ნებას დამრთავსო-ი.კ.)*, გადმუალთ. თუ ისეთი ამბავი იყოს, დავბრუნდები, შვილებიც წამოვლენ, სად წაივლენ, ოჯახი თუ დაბრუნდა წამოვლენ, იტყვის სახელმწიფო – წამუალთ, რატომ არა?!

**ირანდა კალანდაძე**

593 56 11 18

# საქართველოს ისევე სჭირდება მეფე, როგორც არწივს მეორე ფრთა

## საქართველოს აწყურის ხატი დაიცავს!



***ცნობილ კინო და თეატრის მსახიობს დავით გიორგობიანს მაყურებელი იცნობს ფილმებიდან „დიმიტრი მეორე“, „წიგნი ფიცისა“, „ქართლოსიანთა საკურთხეველი“, „ვამეხი მოდის“, „მონანიება“ სადაც სანდრო ბარათელის როლის განასახიერა. 20 წელზე მეტია დავით გიორგობიანი იღებს დოკუმენტურ ფილმებს ღვთის სასწაულებზე, ამ ხნის განმავლობაში მან უამრავი წმინდა ადგილი მოილოცა.***

– „მონანიების“ შემდეგ თითქმის 30 წელი გავიდა, არავის მოუწვევიარ არც ტელევიზიაში, არც რადიოში, არადა დღე და ღამე ენაზე ეკერათ "მონანიება". ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ამ ფილმს უყურებდნენ არა იმ სიღრმით, როგორითაც ჩვენ ეს ფილმი მაყურებელს წარვუდგინეთ, არამედ უყურებდნენ ზედაპირულად. დღემდე ბოლომდე ვერ გაგვიგია როგორ ვიცხოვროთ 10 მცნებით, უფლისა და მოყვასის სიყვარულით, ავმაღლდეთ მტრის სიყვარულამდე, დავამარცხოთ მტერი ამ სიყვარულით და დამარცხება მისთვის გამარჯვება აღმოჩნდეს, რადგან მტე-




რი ჩვენი სიყვარულით მივიყვანეთ ტაძრამდე. მამა გაბრიელიც ამას გვასწავლიდა, ამბობდა საქართველოს სიყვარული გადაარჩენს.

**–მხოლოდ საქართველოს, თუ საერთოდ ყველა ერს?**

– ყველას გადაარჩენდა სიყვარული,მაგრამ ყველამ ეს გზა ვერ გაითავისა. ვინაიდან ღმერთისგან სიყვარულის ტალანტი გვაქვს ჩანასახშივე მოცემული, ჩვენ, მცირე ერს ერთადერთი გზა დაგვრჩენია მსოფლიო გლობალიზაციის ოკეანეში მხოლოდ სიყვარულით ისეთი დიდი წინააღმდეგობა გავწიოთ, რომ ბოროტმა სულმა და მისმა მსახურებმა ვერაფერი დაგვაკლონ.

სამჯერ მეტი უბედურებაც რომ დაგვატყდეს ქართველებს ვიდრე დღეს ვიმყოფებით, მაშინ მაინც დავფიქრდეთ სად არის გამოსავალი? მოდით, წინდაწინ რომ დავსვათ ეს კითხვა არ ჯობია?!

**– ამ კითხვას ძალიან ბევრი ადამიანი სვამს, მაგრამ პასუხს ვერ პოულობს.**

– დავიჯერო ამის პასუხი არ გააჩნია ქართველ ერს? ჯერ მარტო ბუმბერაზი მამა გაბრიელის წიგნები რომ წავიკითხოთ, ათასჯერ არის სხვადასხვა ასპექტით ეს პასუხი გაცემული.

**– შეგვახსენეთ...**

– მამა გაბრიელი ამბობს: საქართველოს მანამ არაფერი ეშველება, სანამ მეფე არ ეყოლება. თუ ვინმე ამის წინააღმდეგ წავა ან ფიქრით, ან სხვა კონცეფციით, ეს ჩემი აზრით ნიშნავს, ის ამბობს გაჩუმდეს გაბრიელი, მე მასზე წმინდანი ვარ, მასზე მეტად მესმის რაშია საქართველოს შველა. დღემდე ვერცერთმა პოლიტიკოსმა ვერ დაგვანახა, რომ რაიმე სხვა გზით იყო შესაძლებელი საქართველოს ფეხზე წამოყენება. პრეზიდენტობის ინსტიტუტმა განიცადა საშინელი კრახი. საქართველოს ისევე სჭირდება მეფე, როგორც არწივს მეორე ფრთა. მოგეხსენებათ ერთი ფრთა არის პატრიარქი, მეორე მეფე. მეფეს და პატრიარქს ღვთისგან 10-10 ტალანტი, ძალიან დიდი მადლები ეძლევა, რომ წარმართონ ერის ცხოვრება. ახლა პატრიარქი მარტოა დარჩენილი და მეფის ჯვარსაც თვითონ მიეზიდება. რამდენად დიდი ძალა იქნება, როდესაც ცხებული მეფე გვეყოლება,რომელიც საქართველოსთვის მავნე არანაირ კანონს ხელს არ მოაწერს.

მამა გაბრიელი ამბობდა, იმდენად ბოლო ჟამია, რომ მე თუ არ წავედი ანტიქრისტე ისე ვერ მოვაო. მე ვაკავებო, ბერ-მონაზვნებს ეუბნებოდა, თქვენ ანტიქრისტეს მოსვლას მოესწრებითო.

**– საქართველოში?**

– საერთოდ ქვეყანაზე.

**– და მოვესწარით?**

– როგორც ჩანს ყველაფერი აქეთკენ მიდის.დღეს მსოფლიოში ვის ხელშიც არის საბანკო სისტემა, ის მართავს მსოფლიოს. მსოფლიოს არ მართავს არც ობამა, არც პუტინი, არც საქართველოს მართავს სააკაშვილი, ან ივანიშვილი.

**– უფალმა დაუშვა ანტიქრისტეს ზეიმი?**

– ალბათ გაგიგიათ რა თქვა უფალმა ამასთან დაკავშირებით. მეო რატომ დავუშვებ ამ ყველაფერს? რადგან ჩემი გამოწვდილი ხელები, ჩემი სიყვარული არ მიიღესო, მათ თავზე დაუშვებ უმართლო მოქმედებასო,როდესაც თეთრზე დასდებენ შავსო და შავზე დასდებენ თეთრს. ეს არის სასჯელი კაცობრიობის თავზე. ბოლო ჟამს აღდგება ერი ერის წინააღმდეგ. ამას ვხედავთ გარშემო, ხომ? ჩვენ უნდა აღვუდგეთ ეშმაკს, რწმენით, ლოცვით . რაც ახლა ქართველებს აბრმავებს, ID ბარათების თემა, ძალიან მძიმე შედეგებით დაგვიმთავრდება.

როგორც კომუნისტები გვა-



ტყუებდნენ კომუნიზმში შეგვიყვანთო, კომუნისტები განუდგნენ ქრისტეს, უარყვეს რწმენა, ანგრიეს ეკლესიები..

**– იგივე ძალაა ახლაც?**

– იგივე ძალაა, ოღონდ უფრო ძლერი, უფრო ცბიერად მოსული, ვერ იგებ რომ ამით განდგომილებაში შედიხარ, რომ ანტიქრისტეს მსოფლიო ბატონობას ემსახურები ნებსით თუ უნებლიეთ.

დღეს, როდესაც სვანეთს ემუქრება ასეთი დიდი უბედურება,დადგა დრო აიმაღლოს ქართველმა ერმა ხმა. ამბობენ, ჰუდონ ჰესის მშენებლობის შემთხვევაში სვანეთის რამდენიმე ათეული სოფელი და 20 ტაძარი უნდა დაიძიროსო. რამდენიმე კაცის გასამდიდრებლად გვეუბნებიან, დავძიროთ ეკლესიები. ვინც ამას ამბობს, ეს ხალხი არის სამკურნალო. არ აღირსებს უფალი არავის ამის გაკეთებას. არ იციან მათ არც ღმერთის ძალა, არც ღვთისმშობლის მადლი,რა შეუძლია დედა ღვთისმშობელს თავისი ქვეყნის დასაცავად. ქრისტემ იწინასწარმეტყველა, რომ აწყურის ხატი დაიცავს საქარათველოს ბოლო ჟამამდე. როგორ გგონიათ, ვინმეს ხრიკები და მსოფლიო მთავრობა თუ მილლიარდერების შეთქმულებანი აჯობებს ჯვართცმული და აღდგომილი ქრისტეს დანაბარებს?!

**ელენე ბარათაშვილი**

555 57 49 35



# ირინა სარიშვილი:
# ასეთი საშინელი წინათგრძნობა არასდროს მქონია და არც ასეთი საშინელი პროგნოზი გამიკეთებია ოდესმე...

## მარგველაშვილი და ბაქრაძე იმით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ ბაქრაძემ ქსოვა არ იცის...

*გვესაუბრება პოლიტიკური პარტია „იმედის“ თავმჯდომარე* ***ირინა სარიშვილი***

**— ქალბატონო ირინა, ბიძინა ივანიშვილი, მართლა აღმოჩნდა პრორუსი პოლიტიკოსი, როგორც ამბობდნენ, თუ საქართველო ისევ ამერიკის „სტრატეგიულ პარტნიორობას“ და „მეგობრობას“ გააგრძელებს?**

— ივანიშვილის ბოლო კომენტარის მიხედვით, არათუ გავაგრძელებთ შეერთებულ შტატებთან სტრატეგიულ პარტნიორობას, არამედ უფრო გავაღრმავებთ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთის ჩარევით სირიის პროექტი დროებით გადაიდო, ეს მხოლოდ პუტინის დამსახურება არაა. ამით ვაშინგტონმაც მოიგო დრო. ამასთანავე, დეკემბერ-თებერვალში რუსეთს არაფრისთვის არ ეცლება. თუ დავუმატებთ აშშ-ში თითქოსდა არსებულ ეკონომიკურ კრიზისს, რაც სრული აბსურდია, აქედან გამომდინარეობს რამდენიმე პუნქტობრივი დასკვნა: პირველი — აშშ-ი ემზადება მილიტარისტული ოპერაციებისთვის და ამას გეგმავს წლევანდელი წლის ბოლოს, მეორე — პროცესები დაჩქარდა მისთვის ყველაზე ხელსაყრელ პოლიგონზე საქართველოში, რის გამოც ბიძინა ივანიშვილი 2-3 წლის ნაცვლად წლეულსვე ტოვებს პოსტს.

დღეს, სამწუხაროდ, საკითხი დგას ასე — საქართველომ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა უნდა ცნოს ამა თუ იმ ფორმით.

**— არ მესმის, საკითხის ასე დასმა რა აუცილებლობით არის გამოწვეული ან ნაკარნახევი...**

— ეს გახლავთ ამერიკული გეგმის ერთ-ერთი პუნქტი. საქართველოში ის ნაწილი, რაც აშშ-ის სამხედრო შენაერთებმა უნდა დაიკავოს, სტაბილურად უსაფრთხო მდგომარეობაში უნდა იყოს თვით ამ ქვეყნის ტერიტორიაზე.

რაც არ უნდა მოხდეს, საქართველოში ერთი ან ორი ადამიანი მაინც აღმოჩნდება, რომ მოითხოვოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება. მაგრამ, როდესაც სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობას ხელს მოაწერს საქართველოს ხელისუფლება, მაშინ პროტესტს და მოთხოვნებს არც აზრი ექნება და არც მნიშვნელობა.

არ მინდა სახელების და გვარების დასახელება, ამ დღეებში ისეთი ხალხისგან მოვისმინე — ეგებ, ამის გაკეთება ჯობდესო, რომ ცხადია, **სერიოზული მზადება მიდის, რომ დაჩქარდეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება.**

**— თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი სახის პროვოკაციები დასავლეთიდან არაერთხელ უგემნია საქართველოს, მაშინ ეროვნული მოძრაობაც უნდა გავიხსენოთ, რომელიც, ფაქტობრივად, ჩაკლა დასავლური დემოკრატიის სიოს ქროლვამ...**

— არც ერთი წუთით არ ვაკნინებ ეროვნული მოძრაობის როლს, არც 1989 წლის 9 აპრილს, 26 მაისს და ა.შ. არც ჩემს როლს ეროვნულ მოძრაობაში, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, ყოველივე ამის უკან იდგა არა დემოკრატიული ღირებულებები, არამედ სულ სხვა ინტერესები.

ეროვნული მოძრაობა სწორი მიმართულებით რომ წასულიყო და არა სხვისი, აგენტურის გეგმით, ყველაფერი შეიძლება, დღეს სხვანაირად ყოფილიყო.

შედეგი კი დადგა ის, რომ ჩვენ არ მიგვიღია დამოუკიდებლობა. დამისახელოს ვინმემ, იმ პერიოდიდან მოყოლებული ერთი თვე მაინც, როცა ჩვენ დამოუკიდებელი ვიყავით.

დიახ, არ მიგვიღია დამოუკიდებლობა და არც ახლა ვართ დამოუკიდებელი.

**— მოდით, რამდენიმე სიტყვით შეაფასეთ სირიის კონფლიქტში ამერიკის სტრატეგია.**

— პირველ რიგში, განვმარტოთ, რომ ის ტერმინი, რასაც დღეს „არაბულ შემოდგომას“ უწოდებენ, რეალურად, სიმართლეს არ შეესაბამება. ამ კონფლიქტის ფესვები იგეგმებოდა ათეული წლების წინ. პრაქტიკულად, ეს იყო პენტაგონის სტრატეგია, რათა მთელი რეგიონი ექცია მილიტარისტულ ზონად. ამით ამერიკა ცდილობს მიაღწიოს პოლიტიკური და ეკონომიკური რღვევის და დისბალანსის შეტანას რუსეთში, ჩინეთში და დანარჩენ ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში.

მოდით, გავიხსენოთ ბჟეზინსკის ფრაზა თავისივე წიგნიდან. ის ამბობს: ამერიკის სრულ დომინირებას დედამიწაზე ერთი რამ ემუქრება, ეს არის ევრაზიის შექმნის საშიშროება, რაც ნიშნავს რუსეთის, ჩინეთის, ირანის და მსგავსი ქვეყნების საერთო ძალით გაერთიანება.

„არაბული შემოდგომა“ ზუსტად ჯდება იმ გეგმაში, რაც შეიმუშავეს ამერიკელებმა, რომ მილიტარისტულად ჩაიგდონ ხელში ნავთობპროდუქტები, საშუალება რომ ჰქონდეთ ჩინეთს საარსებო წყარო გადაუკეტონ და ამით შეაკავონ მათი განვითარების პროცესი.

ცხადია, შეერთებული შტატები უკმაყოფილოა იმით, რომ, შესაძლოა, დაკარგოს აზიის ქვეყნების კონტროლის მექანიზმი და ზეწოლა რუსეთზე.

რა მოიტანა ამერიკულმა დემოკრატიამ? შეხედეთ სირიას, ლიბიას ავღანეთს, ერაყს, ყველა ნაბიჯზე სისხლი, ტკივილი და უბედურება.

სირიის კონფლიქტი დაიწყო მას შემდეგ, რაც დადო 2011 წელს ხელშეკრულება ირანთან და ერაყთან, რათა განეხორციელებინა გაზის მოწოდება ევროპაში რუსეთის თანადგომით... ამან გამოიწვია ყატარის ჩარევა, რათა გაზის ტრანსპორტირება მოეხდინათ ევროპაში თურქეთის მიმართულებით.

ეს იყო დაპირისპირების მიზეზი ერთი მხრივ, ყატარი-თურქეთი და ამერიკა, მეორე მხრივ კი სირია-ირანი-რუსეთი.

ჯერჯერობით, რუსეთმა მიაღწია იმას, რომ დაებლოკა ამერიკის აგრესიული პოლიტიკა.

**— რას ფიქრობთ, ქალბატონო ირინა, ნატოში გაწევრიანდება საქართველო?**

— დღის წესრიგში არასდროს არ მდგარა, არ დგას და არც დადგება საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი. ჩვენ კი გავიძახით, რომ ნატოში გავერთიანდებით ხვალ თუ არა ზეგ მაინც, მაგრამ ნატოს ხელმძღვანელობა ასე არ ფიქრობს.

ჩვენთვის ეს ყოველთვის იყო ე.წ. „დაბოლების“ საშუალება. ხან მაპი, ხან მაპზე უკეთესი და ა.შ. მაგრამ არავინ ლაპარაკობს იმაზე, თუ რა გვინდა ნატოში, გაერთიანებაში, რომელმაც სადაც ფეხი შეაბიჯა, ყველა ქვეყანა დაშალა და



დაასუსტა.

**ვაცხადებ, საქართველოს შესვლა ნატოში არ მოხდება და როცა საქართველო მთლიანად დაიშლება და დაქუცმაცდება გუბერნიების დონემდე, ლიმონივით რომ გამოგვწურავენ, მერე მაინც რუსეთისკენ მოგვიწევს წასვლა. ოღონდ არა ისე, ჩვეულებრივად, არამედ მუხლმოდრეკით.**

არც იმ ჟურნალისტს არ ვამართლებ, ვინც დიცში ჩავიდა და არც პრემიერს, რომელმაც თქვა: ჩემნაირი უსუსურის ჩასვლას აზრი არ აქვს, ყველა ოჯახს ვერ ჩამოვივლი და ვერ მივხედავო. ეს კი არა, მას სწორი დიაგნოზი უნდა დაესვა და ეთქვა ხალხისთვის, რა ხდება რეალობაში.

პირადად მე და ჩემი ორგანიზაცია გარკვეული პერიოდის შემდეგ ვაპირებთ **„ზალატაია ტრაპას“** პროექტის ფარგლებში ვიმოქმედოთ. ამ პროექტის მიხედვით, აფხაზურ, ოსურ, ქართულ მხარეებს შორის მოლაპარაკებების დიდი პერსპექტივა იშლება.

**— რა ხდება წინასაარჩევნოდ, როგორ შეაფასებთ ამ პროცესს?**

— ჯერ ერთი, ძალიან არ მომეწონა სააკაშვილის გამოსვლა ყრილობაზე. ის, რომ მაგათი რიტორიკა აშკარად შეიცვალა, კვლავ გააქტიურდა ცრუ ზარები ბომბების არსებობაზე, ის, რომ აცხადებენ, უფრო ადრე დავბრუნდებით, ვიდრე გგონიათო, არ არის გამორიცხული, ყოველივე ეს ერთნაირად შედიოდეს „ნაცების“ და „ქოცების“ ინტერესებში.

ამ უკმაყოფილო ხალხს ვიღაც უნდა ჩაუდგეს სათავეში და დამერწმუნეთ, ჩემგან დაწყებული, ძალიან ბევრი ადამიანით დამთავრებული, ამ მისიას იკისრებს, თუ საჭირო გახდება, მაგრამ ყველა აქტივობა, მათი აზრით, დასაწყისშივე უნდა ჩაკვდეს, რადგან არც ერთმა ჩვენგანმა არ იცის, რა მოხდება ამ არჩევნების შემდეგ, ან რას გაითამაშებენ თუნდაც არჩევნებამდე, თუ დაინახეს, რომ საქმე ისე არ მიდის, როგორც დაგეგმილია.

გასაოცარი ისაა, რომ დღეს ბრძოლა მიდის არა პირველი, არამედ მეორე ადგილის დასაკავებლად, რადგან თუ ბაქრაძე გავა მეორე ადგილზე, მაშინ კოჰაბიტაციის შედეგი დადგება.

თუ ბურჯანაძემ მოახერხა და მეორე ადგილზე გავიდა, მაშინ, შესაძლოა, დასჭირდეთ კვლავ ცრუ ზარები და დაძაბული სიტუაცია.

**ნინო ბურჯანაძე** არეულობის მომწყობი არ არის, ეს ზუსტად ვიცი. თუმცა ფაქტია, რომ თუ ესენი, „ნაცები“ და „ქოცები“, არეულობაზე წავლენ, ხელს აუცილებლად სხვას შეაწმენდენ და ეს, სავარაუდოდ, ნინო ბურჯანაძე შეიძლება იყოს, შეიძლება თავი წამოყოს „ფრანგმა“ პოლიტპატიმარმა **ირაკლი ოქრუაშვილმაც**, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თუ მშვიდად არ ჩაიარა ამ არჩევნებმა, მოხდება არეულობა, რათა ხალხი საბოლოოდ დააშინონ. თუმცა, თუკი დამოუკიდებლად შეიქმნება სერიოზული წინააღმდეგობის ფრონტი, მაშინ, შეიძლება, გადავრჩეთ, მაგრამ გარდა იმ ჩანასახისა, რასაც ვხედავთ კორკოტაშვილ-მამალაძის და სხვათა ჯგუფის სახით, სხვა პერსპექტივა არ ჩანს.

თუ ნინო ბურჯანაძე არ ცრუობს, მაშინ მისი პრეზიდენტობა მისაღები იქნებოდა, თორემ მარგველაშვილი და ბაქრაძე ერთმანეთისგან იმით განსხვავდებიან, რომ ბაქრაძემ ქსოვა არ იცის.

გასათვალისწინებელია „თავისუფალი დემოკრატების“ ინტერესებიც. **ალასანია** მიხვდა, რომ „დასაჯეს“ იმ სატელეფონო საუბრისთვის, რომელიც ყველამ მოვისმინეთ და თავდაცვის მინისტრის პოსტიდან მაქსიმალურად აღრმავებს კავშირებს ნატოსთან და აშშ-თან, რომ შემდგომ საპრეზიდენტო არჩევნებში იყაროს კენჭი.

**— უმრავლესობის წევრებს დროგამოშვებით „წამოსცდებათ“ ხოლმე, რომ კოალიციაში განიხილება ევრაზიული კავშირის პროექტი.**

— საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სახელი და გვარი დღეს არის **მაია ფანჯიკიძე**, რომელიც აგრეთვე არის ბიძინა ივანიშვილის გამონათქვამების კორექტირებით დაკავებული, მან თქვა და შემდეგ იუსტიციის მინისტრმა, ქალბატონმა **წულუკიანმაც** დასძინა ბრიუსელში: ევრაზიულ კავშირში გაერთიანებაზე საუბარიც კი გამორიცხულიაო.

კოალიციაში, სადაც სხვადასხვა იდეოლოგიის პარტიები არ არიან გაერთიანებული, რაც გადაწყდება, ის უნდა თქვას ყველამ, თუმცა აფხაზეთში რკინიგზის აღდგენის საკითხზე ბიძინა ივანიშვილმა ერევანში განაცხადა, რომ თანახმა არის აღდგეს რკინიგზა. მაია ფანჯიკიძე საქართველოში ამბობს, რომ პრემიერს ასე არ უთქვამს; მერე ივანიშვილი დასძენს: ეტყობა, ენა ვერ გაიგეს, ასე არ ყოფილა საუბარიო.

არ მესმის, რა ენაზე საუბრობს ეს ადამიანი და რომელი ენაა, პრობლემები რომ არ ჰქონდეს საუბარში. მერე ამაზე კომენტარი **ბოკერიამაც** გააკეთა და მოიწონა რკინიგზის აღდგენის საკითხი, ოღონდ დეოკუპაციის შემდეგ.

მაგრამ საქმე ისაა, რომ საქართველოს მონაწილეობის გარეშე რუსეთი აფხაზეთში რკინიგზის აღდგენის საკითხს არ წყვეტს.

ამაზე მეტი მინიშნება რა შეიძლება რუსეთმა გაგვიკეთოს, ქვეყანამ, რომელსაც აბსოლუტურად არაფერში არ აწყობდა არც აფხაზეთის და არც ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, აგვისტოს ომის მახე რომ არ ყოფილიყო, რაც ამერიკამ და მიშამ დააგო ცხინვალის მიწაზე.

**რუსეთის სტრუქტურიდან გამომდინარე,**

➤

**აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება არის ბომბი. თუ საქართველოს ხელისუფლება აიძულეს და აღიარებისკენ წაიყვანეს, მთელი რუსეთი აფეთქდება, რადგან 47 თუ 48 ავტონომიაა რუსეთში.**

რუსეთს სახელმწიფოებრივად ძალიან დიდი შეცდომები აქვს დაშვებული საქართველოსთან მიმართებაში. თუნდაც მავთულხლართების, აი, ახლა, არჩევნების წინ გადმოწევა ეს არის ნაციონალების წისქვილზე წყლის დასხმა.

გვინდა თუ არა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისეთი შლეგი ხელისუფლება, როგორიც საქართველოს ჰყავდა ბოლო 9 წლის განმავლობაში, აწყობდა რუსეთს.

**— თქვენ რას ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ნაბიჯები პოლიტიკური თამაშების უცოდინარობით არის გამოწვეული თუ კარგად იცის, რასაც აკეთებს?**

— თუ ყველაფერ ამას, რაც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა, შეცდომებს მივაწერთ, ის უკიდურესად უგუნური ადამიანი უნდა იყოს, რაც ასე არ არის. ვერც იმას ვიტყვით, რომ არ არის პოლიტიკაში ჩახედული.

გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბიძინა ივანიშვილი „ვოლკ ადინოჩკაა", პატარკაციშვილისგან განსხვავებით, ორი-სამი პარტნიორი ჰყავს. ადამიანი, რომელიც ახერხებს რუსეთში ბიზნესის „გაქაჩვას", საფრანგეთში, ამერიკაში, სადაც ყველაზე დიდი წილი და ქონება აქვს, შეუძლებელია პოლიტიკაში არ იყოს გარკვეული.

მართალი რომ გითხრათ, ასეთი საშინელი წინათგრძნობა არასდროს მქონია. ასეთი საშინელი პროგნოზი ცხოვრებაში არ გამიკეთებია, რადგან მე ვერ ვხედავ გამოსავალს. დიახ, არის ჯერჯერობით ეფემერული **„ზალატაია ტრაპა"**, რომელიც საკმაოდ სერიოზული ძალა ჩანს და შეიძლება კავშირების დამყარება.

**— რამდენიმეჯერ ახსენეთ „ზალატაია ტრაპა", რა ორგანიზაციაა ეს?**

— **„ზალატაია ტრაპა"** საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც აგვარებს ჩვენნაირი ტიპის პრობლემებს, ჩვენ, აფხაზები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები და ა.შ. უნდა დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ.

მე, ირინა სარიშვილს, არც პრეზიდენტობა მინდა, არც პარლამენტარობას ვაპირებ, არ მჭირდება ქულები არაფრისთვის. ახლა თუნდაც სახალხო დიპლომატია დაარქვით ამას, პირადად მე, უფრო მეტი ნაცნობობა მაქვს აფხაზებთან, მათ შორის მეომრებთანაც, სერიოზული ადამიანური ურთიერთობები მაქვს ე.წ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებთანაც, რომ შედეგები შეიძლება მივიღოთ. ჩემნაირი ადამიანები არიან ძალიან ბევრნი, უფრო ბევრი, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია.

ასეთი ნაბიჯებით, რუსეთის ჩართვით, შეიძლება წინ აღვუდგეთ ამერიკის გეგმას, რომელიც სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებისკენ გვიბიძგებს.

დრო არის ძალიან ცოტა.

ოქტომბერი ილევა, ნოემბერიღა დარჩა და დეკემბრის თვიდან რუსეთი გადაერთვება ოლიმპიადისკენ და თებერვლის ბოლომდე ყოველგვარ პოლიტიკურ აქტივობებს შეასუსტებს.

ამას წინათ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, ამ ჩვენს ტვინნაღრძობ საზოგადოებას, ზოგიერთებთან ბოდიშს ვიხდი, ძალიან რომ გაეხარდათ, ჩირაღდანი ჩაქრაო, თუ ეს მისტიკაა, ეს ტრაგედია მხოლოდ რუსეთისთვის კი არ არის, არამედ მთელი დედამიწისთვის, რადგან ოლიმპიადა არ არის რუსული ღონისძიება, არ არის მტრების შეკრება. ოლიმპიადა, არსებობის დღიდან, არის ყველაზე მშვიდობიანი ღონისძიება და უცებ ქართველი ჟურნალისტი ორი დღის წინ მისვამს შეკითხვას: უნდა მიიღონ თუ არა ქართველმა სპორტსმენებმა მონაწილეობა ოლიმპიადაში?

იმას არ კითხულობენ, ჩვენი მეგობარი შეერთებული შტატები იღებს თუ არა მონაწილეობას ოლიმპიადაში, რადგან ჩვენ რუსეთმა გავწყენინა?!



ამერიკელების მიერ დასჯილი სირიელი ქრისტიანები

ახლა ამბობენ, რომ ეს არის ერის შეურაცხყოფა და ა.შ.

ის უფრო შეურაცხმყოფელი არ არის, ჩვენი პარტნიორი და მეგობარი ამერიკა ოლიმპიადაზე რომ ჩავა, ოქროს მედლებს რომ წამოიღებს, მერე ჩვენს ტერიტორიებზე სამხედრო ბაზებს რომ განალაგებს და პირველ დარტყმას ჩვენ რომ მივიღებთ ირანისგან?

**— როგორ უნდა მოვიქცეთ?!**

— ბოლო ინციდენტის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი მავთულხლართებთან უნდა დამდგარიყო და გამოეცხადებინა: აქედან ვაცხადებ უარს შეერთებულ შტატებთან პარტნიორობაზე და მსხვერპლიც რომ მოჰყოლოდა ამას, არაფერი იქნებოდა იმასთან შედარებით, რაც გველის წინ.

გამოსავალი ერთია — ჩვენი საგარეო პოლიტიკური კურსის რადიკალური შეცვლა. შემცვლელს კი ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ჯერ ვერ ვხედავ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# განათლების სამინისტრო ქართული განათლების სისტემას პირდაპირ კლავს

*„ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსა დაეტარების,*
*აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შაეკარების"...*
**დავით გურამიშვილი**



**„ნაციონალური მოძრაობის" დამარცხებიდან ერთი წელი გავიდა, მაგრამ განათლების სისტემაში სასიკეთოდ თითქმის არაფერია გაკეთებული. რა უნდა გაკეთდეს განათლების სისტემაში დღეს? ამ თემაზე სასაუბროდ ვესტუმრეთ საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელს, პროფესორ გიორგი გოგოლაშვილს.**

**— ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებთ, ზოგადად, საქართველოში განათლების სისტემას?**

— დავიწყებ იმით, რომ ახლახან ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა თომას ჰამერგერგმა გამოაქვეყნა ჩვენთვის საგანგაშო ინფორმაცია — განათლების დონის მიხედვით ევროპაში საქართველო ბოლო ადგილზეა. ათიოდე წლის წინათ, როდესაც ახალი მოსული იყო განათლების მინისტრად კახა ლომაია, ჩაატარა ბრიფინგი, სადაც განაცხადა, რომ ჩატარებული კვლევების მიხედვით, მეხუთეკლასელ ბავშვთა უმრალესობამ არ იცის წერა-კითხვაო. გავიდა მას შემდეგ თითქმის ათი წელი და შედეგი რა მივიღეთ? ამ სფეროში არაფერი არ გაკეთებულა და პირიქით, ევროპაში ბავშვთა განათლების დონის მიხედვით აღმოვჩნდით უკანასკნელ ადგილზე. პრობლემა, ცხადია, კომპლექსურად უნდა იყოს გააზრებული. ჯერ ერთი, ჩვენდა საბედნიეროდ, ადრეულ პერიოდში საკითხი ასე არ იდგა. საქართველოს განათლების სკოლა საკმაოდ წარმატებულად ითვლებოდა. საბჭოთა პერიოდში ყველაფერი გადასაგდები არ იყო. ერთი მაგალითი მახსენდება: 60-იან წლებში აშშ-ში, იმდროინდელმა პრეზიდენტმა ამოცანად დაუსახა თავის სწავლულებს — რატომ გაგვასწრო საბჭოთა კავშირმა კოსმოსის ათვისების საქმეშიო. ათი თუ თორმეტი ნობელის ლაურეატი აწერდა დასკვნას ხელს, სადაც ეწერა, რომ საბჭოთა განათლების სისტემა გაცილებით უკეთესია, იძლევა იმ შედეგს, რომ გაგვასწრეს კოსმოსის ათვისების საკითხშიო. სწორედ იმ პერიოდში დაიწყო ეგრეთ წოდებული „ტვინების გადაქაჩვა". ამის შემდგომ იყო, რომ მათ ადამიანი დასვეს მთვარეზე და ასე შემდეგ. ეს იმის მაუწყებელია, რომ განათლების ის სისტემა ასე ხელის ერთი მოსმით გადასაგდები არ იყო.

**— გამოდის, განათლების ქართულმა სკოლამ პოზიციები დათმო?**

— ახლახან პირველკურსელებთან ჩავატარე გამოკითხვა. დავურიგე ანკეტები, სადაც საკმაოდ მარტივი კითხვები მქონდა. ამას გეუბნებით იმ ხალხთან, რომლებმაც წარმატებით გადალახეს ეროვნული გამოცდები ყველა საგანში, ჩაირიცხნენ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე. ასეთი კითხვები იყო, მაგალითად, რომელი ნაწარმოებიდან არის „დაჯდად წერად ანდერძისად", დაასრულეთ ფრაზა „...დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ...", რომელი ქვეყნიდან არიან „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟები: შერმადინი, ასმათი, ფატმანი, ფრიდონი. ჩვენდა სამწუხაროდ, თითო-ოროლა ბავშვმა თუ გვიპასუხა სწორად. უფრო მეტიც, ვერავინ გვიპასუხა ამგვარ კითხვაზე — „სად ხდება მოქმედება „სტუმარ-მასპინძელში", რომელ კუთხეში ხდება მოქმედება „ალუდა ქეთელაურში". ეს ლიტერატურული საკითხები, რაც შეეხება ენას — ბრუნვა, სახელის რიცხვი, ზმნის მწკრივი და სერია ვერ გამოიცნეს. ესენი არიან ჩვენი მომავალი ფილოლოგები. ეს სავალალო შედეგია! ის ცოდნა, რომლითაც ბავშვები მოდიან უმაღლეს სასწავლებელში, ძალიან დაბალია. ეს, ალბათ, გასაკვირიც არ არის ცოდნის ასეთი დაბალი დონე, იმიტომ, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებში ბარიერი საკმაოდ დაბალია. გამსვლელ ქულათა მაქსიმუმი 80 მინიმალური — 21 ქულაა. ანუ 21 ქულას ვინც დააგროვებს, აბიტურიენტი 80-იდან, აგრძელებს გამოცდებს და შეუძლია ჩაირიცხოს უმაღლეს სასწავლებელში. ეს ძველი ხუთბალიანი სისტემით რომ ვიანგარიშოთ, ერთნახევარიც კი არ არის. საით მივდივართ, რაც ნიშნავს ეს ყოველივე, რატომ მივედით აქამდე? ალბათ, იმიტომ, რომ, როგორც ამასწინათ გამოქვეყნდა მასწავლებელთა ტესტირების შედეგები, რომელიც სავალალო გამოდგა — 93 პროცენტმა პედაგოგებისა ბარიერი ვერ გადალახა! რას არ უნდა რთული კითხვები ყოფილიყო, ბარიერის



გადასალახი ქულები ხომ მინიმალურია, იმ საგანში, რომელსაც ჩვენი პედაგოგები ასწავლიან. მართალია, სხვადასხვა საგნებში განსხვავებული შედეგებია, მაგალითად, 96 პროცენტი იყო ფიზიკაში, ქიმიაში, შედარებით ნაკლები ქართულ ენაში, მაგრამ, საერთო ჯამში, კატასტროფული შედეგებია. ასეთი პედაგოგები ასწავლიან სკოლაში. ცხადია, აბიტურიენტთა ცოდნის შედეგიც დაბალი იქნება.

**— ბატონო გიორგი, ხომ შეიქმნა განათლების კონცეფცია, სად არის თუნდაც გია დვალის შემუშავებული კონცეფცია?**

— გია დვალის მიერ შემუშავებული კონცეფცია უმაღლესი განათლების შესახებ იყო. რა თქმა უნდა, საშუალო განათლების საკითხებზეც მუშაობენ. იქმნებოდა სხვადასხვა კომისიები, მაგრამ, სამწუხაროდ, არც აზრს ისმენენ. ის კომისია რა დავალებასაც იღებს, ფაქტობრივად, იმას აკეთებს. განათლების ეროვნული ცენტრი იღებს დავალებას რომელიმე ზემდგომისგან და იმას აკეთებს. არანაირ საზოგადოებრივ აზრს არ ითვალისწინებენ. ვერავინ დამისაბუთა ამგვარი მეთოდის აუცილებლობა და მისი დადებითი მხარე.

**— გასაგებია, რომ „ნაციონალური მოძრაობა" არავის არ უსმენდა, ახალი ხელისუფლებაც მათ დაემსგავსა?**

— სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით, სასიკეთოდ ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა. წაყრუება არის ყველაზე მომგებიანი პოზა. ამ პრინციპით მუშაობენ. მე ორი თვის წინ ერთ-ერთ გაზეთში სამი წერილი გამოვაქვეყნე ამ საკითხებთან დაკავშირებით. ვწერდი, რომ ყურადღებას ვთხოვ განათლების მინისტრს. სამწუხაროდ, არავინ გამომხმაურებია. არ აინტერესებთ განათლება, რატომ? ამაზე პასუხი არ მაქვს. უფრო მეტსაც გეტყვით. არსებობს მსოფლიო პრაქტიკა — ბავშვმა ჯერ მშობლიური ენა უნდა ისწავლოს, ხოლო შემდეგ უცხო ენა. მაგალითად, ინგლისში ცხრა წლის ასაკში იწყებენ უცხო ენის სწავლას. ჰოლანდიაში — ათის. ასეა ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ჩვენ 2010 წელს შემოვიტანეთ, რადგან პრეზიდენტს მოუვიდა აზრად, პირველი კლასიდან დაეწყოთ ბავშვებს უცხო ენის სწავლა.

ჩვენმა დიდმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა შოთა ნადირაშვილმა რამდენიმე წლის წინ დაწერა, რომ დავლუპავთ ჩვენს ბავშვებს, ვარღვევთ მათ ფსიქოლოგიასო. ვაქვეითებთ მისი ცოდნის მიღების შესაძლებლობას. მარტივად ნათქვამი არ გახლდათ, ეს ფსიქოლოგების კვლევის შედეგებიდან გამომდინარე დასკვნა გახლდათ. დაიწერა, მაგრამ მერე რა? არაფერი. ეს ხელისუფლება მოვიდა თუ არა სათავეში, მივმართეთ წერილობით, უშუალოდ განათლების სამინისტროში მივაწოდეთ კვლევის შედეგები, სხვადასხვა წინადადებები. ყურადღებას არავინ არ გვაქცევს. შეიძლება ითქვას, რომ დღეს სკოლა განწირულია.

ერთიანი ეროვნული გამოცდები ერთი პრობლემაა. ადრე იყო პრაქტიკაში დანერგილი პედაგოგთა გადამზადების კურსები, იყო მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი. პედაგოგი გადიოდა ერთწლიან კურსს, იმაღლებდა კვალიფიკაციას. ეს უნდა აღდგეს. ახლა ერთ-ორკვირიან ტრენინგებს უტარებენ, ამ მოკლე ვადაში იმ უცოდინარობას ვერ აღმოვფხვრით.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# პლასტელინის ქვეყანა

ვახტანგ ხარჩილავა

## რამდენად სწორია ინფორმაცია, რომ საქართველომ, შეიძლება, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს, ბიძინა ივანიშვილს კი არ სურს მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში და სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც იგი პოლიტიკიდან მიდის

საქართველოს ახალი ხელისუფლებაც სიტყვა-სიტყვით იმეორებს ძველი ხელისუფლების მიერ ათასჯერ გაკეთებულ განცხადებას, რომ საქართველო სულ მალე გაწევრიანდება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში, თუმცა არავინ იწუხებს თავს იმის ახსნა-განმარტებით, როგორ და რანაირად შეიძლება ეს მოახერხოს ქვეყანამ, რომლის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე უცხო სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში რუსეთის, ჯარები დგანან?



**საქართველოს ხელისუფლება არც იმას განმარტავს, როგორ აპირებს ნატოში შესვლას, როცა მის ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი და სუვერენული „სახელმწიფო“ არსებობს — ერთი აფხაზეთის, მეორე სამხრეთ ოსეთის სახით, რომლებსაც კატეგორიულად არ სურთ საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნება.**

მართალია, ამ ორი „სახელმწიფოს“ დამოუკიდებლობა ჯერჯერობით მხოლოდ რუსეთმა და კიდევ ორიოდე სახელმწიფომ აღიარა, თუმცა ესეც სრულიად საკმარისია, რომ მათ აზრს, მათ პოზიციას ანგარიში გაეწიოს.

როცა საქართველო კატეგორიულად აცხადებს, რომ ის არასოდეს აღიარებს ამ ორი სეპარატისტული წარმონაქმნის დამოუკიდებლობას და მათ თავისი ტერიტორიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს, როცა ამ განცხადებას მხარს უჭერს საერთაშორისო თანამეგობრობა და აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ ასევე საქართველოს ტერიტორიის ნაწილად მიიჩნევს, ეს იმის დასტურია, რომ საქართველოს აქვს სერიოზული პრობლემები, რაც მის გაწევრიანებას ნატოში ამ პრობლემის მოგვარებამდე, ფაქტობრივად, გამორიცხავს.

მაშინ რას ეფუძნება საქართველოს ხელისუფალთა ოპტიმიზმი, რომ საქართველო ახლო მომავალში აუცილებლად გახდება ნატოს სრულუფლებიანი წევრი.



ოპტიმიზმის საფუძვლად, ალბათ, ვერ გამოდგება ნატოს ხელმძღვანელთა განცხადებები იმის შესახებ, რომ ნატოს კარები ღიაა.

კარები კი ღიაა, მაგრამ ამ ღია კარებში უამრავი ვალდებულება და მოთხოვნილებაა „ჩაყენებული“ დარაჯად, რომელთა შესრულების გარეშე ამ „ღია“ კარებში შესვლის უფლებას არავინ მოგცემს.

ეს ვალდებულებები და მოთხოვნები, რომლებიც პერმანენტულად იცვლება, დელიკატური უარის თქმის საბაბი და მოტივი უფროა, ვიდრე რეალური მიზეზი.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ უნდა გავაძლიეროთ დემოკრატიული ინსტიტუტები, უნდა ვისწავლოთ არჩევნების სამართლიანად და მიუკერძოებლად ჩატარება, პატივი ვცეთ ადამიანის უფლებებს, სასამართლო გავხადოთ დამოუკიდებელი, განვავითაროთ თავისუფალი მედია, თუმცა **არავინ გვეუბნება მთავარს: — მოვაგვაროთ ტერიტორიული მთლიანობის საკითხი და მხოლოდ ამის შემდეგ გაგვიჩნდება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების შანსი**.

რატომ არ საუბრობენ ნატოს ხელმძღვანელები ამ თემის გარშემო და რატომ არ გვეუბნებიან ღიად და ნათლად, რომ ნატოში გაწევრიანებაზე ფიქრიც კი ზედმეტია, სანამ საქართველო აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ საკითხს არ გადაწყვეტს?

სხვა მრავალ მიზეზთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, რომ ნატო, რომელიც პატივს სცემს დემოკრატიულ ღირებულებებს და ამ ღირებულებებს თავის მთავარ ფუნდამენტურ ფასეულობად მიიჩნევს, თავს უფლებას ვერ მისცემს, პატივი არ სცეს აფხაზი და ოსი ხალხების არჩევანს, რაღაც ფორმით ჩაერიოს ან უკარნახოს, როგორ უნდა მოიქცნენ ისინი და რა გზას უნდა დაადგნენ.

„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში (№26) გამოქვეყნდა უაღრესად საინტერესო წერილი **„ნატოს კანფეტი თბილისისთვის“**, სადაც არგუმენტირებულად არის ასახული საქართველოს ნატოსკენ სწრაფვის მთელი დრამა.

*წერილში მოტანილია ფრაგმენტები* ***დუგ ბანდოუს*** *— (წარსულში რონალდ რეიგანის მრჩეველი, ახლა ანალიტიკურ ცენტრ „თავდაცვითი პოლიტიკის ამერიკული კონსერვატული ალიანსის“ მეცნიერ-მუშაკი), წერილიდან — „ელექტორული შოკი საქართველოსთვის: დროა, თბილისმა თავიდან ამოიგდოს ნატოსკენ მისწრაფება“:*

*„სააკაშვილის საგარეო პოლიტიკის ყველაზე დიდი ჩავარდნა რუსეთთან 2008 წლის ომის დაწყება იყო, რომელშიც დამარცხდა. ზუსტად ისე, როცა საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოვიდა, საქართველოს სახელმწიფოს გამოეყვნენ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი; რასაკვირველია, ეს მოსკოვის ჩაურევლად ვერ მოხდებოდა. ამ რესპუბლიკებს დამოუკიდებლობის ისეთივე უფლება გააჩნდათ, როგორიც საქართველოს, როცა ის სსრკ-ს გამოეყო. სამწუხაროდ, სააკაშვილს მიაჩნდა, რომ თვითგამორკვევის უფლება მხოლოდ ქართველ ხალხს ჰქონდა; მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, სამხრეთ ოსეთში რუსეთის ჯარი (სამშვიდობო კონტინგენტი) იდგა, მაინც შეიჭრა.*

*შესაძლოა, ალიანსი ახლაც მოლოდინის რეჟიმშია, როდის მიხვდება საქართველოს ხელისუფლება, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხებს არ სურთ საქართველოს შემადგენლობაში ცხოვრება და ამას ნატოც კი ვერ აიძულებს მათ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადრე თუ გვიან ამ რესპუბლიკების აღიარების დრო დადგება; ანუ ალიანსი მოქმედებს პრინციპით „თვითონ გაიწოვება“ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტენ ბლოკში საქართველოს მიერთებას.“ მით უმეტეს, რომ არსებობს კოსოვოს აშკარა მაგალითი — სერბეთისგან დამოუკიდებლობა ხომ ნატოს წყალობით მიიღეს. ნატოს მაღალი რანგის მოხელეები ამ პროცესს აჭიანურებენ და საქართველოს ისეთ მოთხოვნებს უყენებენ, რომელთა შესრულებასაც წლები სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, მოხდეს ის, რის შესახებაც წერდა დუგ ბანდოუ თავის მეორე მეორე წერილში „საქართველოს სახიფათო დრეიფი ნატოსკენ“ წერდა:*

*„ნატომ ამერიკის შეერთებული შტატები უფრო მეტად დაცული უნდა გახადოს. თუმცა საქართველოს საზღვრებამდე ნატოს გაფართოება გააძლიერებს ომის წარმოშობის ალბათობას. თუ თბილისი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებს წამოიწყებს, მასში მოსკოვიც ჩაერთვება. ეს კი რუსეთსა და ნატოს შორის კონფრონტაციას წარმოშობს. შედეგად, შესაძლოა, დაიწყოს ომი, რომელსაც დასავლეთმა მოახერხა და „ცივი ომის“ პერიოდში თავი აარიდა. რასაკვირველია, ძირითადად იბრძოლებენ ამერიკელები — არსებობს სახიფათო ალბათობა, რომ ეს კონფლიქტი ბირთვულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს“.*



ძნელია, არ დაეთანხმო დუგ ბანდოუს ამ ანალიზს.

ცხადია, ალიანსში შემავალი 28 სახელმწიფო, იმ მიწის ნაგლეჯისთვის, რომელსაც საქარ-

←

თველო ჰქვია, თუნდაც ეს მიწის ნაგლეჯი თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, უაღრესად მნიშვნელოვანი და ფასეული იყოს, რისკზე წავიდეს და ბირთვული დაპირისპირების საფრთხე შექმნას.

**ეს „მიწის ნაგლეჯი“, სახელად საქართველო, ჩვენთვის, ქართველებისთვის, სამშობლოა და, ამდენად, ძალიან ძვირფასი, მაგრამ დანარჩენი მსოფლიოსთვის, ცხადია, არ წარმოადგენს იმ ღირებულებას, რომლის გამოც შეიძლება პლანეტის უსაფრთხოება დადო სასწორზე.**

იმავე წერილში (**„ნატოს კანფეტი თბილისისთვის“**) გამოქვეყნებულია ფრაგმენტი კონდოლიზა რაისის მოგონებების წიგნიდან „არ არსებობს უფრო დიდი პატივი“.

*„სხდომა მღელვარედ წარიმართა, რუსეთის შესახებ ცხელ გულზე ნათქვამი განცხადებები ისმოდა. გარკვეულ ეტაპზე ჩაერთო სტივ ჰედლი, თეთრი სახლის მრჩეველი უშიშროების საკითხებში, რომელიც იშვიათად იქცევა ასე. ეს მაშინ მოხდა, როცა ცხარე ლაპარაკი მიმდინარეობდა იმის შესახებ, რითი დაემუქრებოდნენ ამერიკას. „შეკითხვის დასმა მინდა, — თქვა მან მისთვის ჩვეული მანერით, — საქართველოს გამო რუსეთთან ომში უნდა ჩავებათ?“ ოთახში სიჩუმემ დაისადგურა, ჩვენც დავმშვიდდით და მსჯელობა დავიწყეთ პროდუქტიულ ღონისძიებებზე, რომელთა გამოყენებაც შეიძლებოდა“.*

დიახ, ცხადია, რომ საქართველოს გამო რუსეთთან ომს არავინ დაიწყებს, ისე, როგორც არავის დაუწყია ომი რუსეთისთვის 2008 წლის აგვისტოს თვეში ან თუნდაც გაცილებით ადრე, 1921 წელს, ან 1992-93 წლებში.

**შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ აფხაზებს ოფიციალურად დამოუკიდებლობა 1999 წლამდე არ გამოუცხადებიათ.**

**მთელი შვიდი წელი ელოდნენ აფხაზები კონკრეტულ შემოთავაზებას საქართველოდან, მთელი შვიდი წელი ჭიმავდნენ დროს, მაგრამ საქართველო ზოგადი ფრაზების იქით არ წასულა.**

ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში დღის სინათლეზე გამოჩნდა, ეს იყო „რესპუბლიკური პარტიის“ მიერ წარმოდგენილი პროექტი საქართველის კონფედერაციული მოწყობის შესახებ.

პროექტის მიხედვით აფხაზებს სთავაზობდნენ საქართველოს კონფედერაციაში დამოუკიდებელ სუბიექტად შესვლას.

„რესპუბლიკელების“ მიერ მომზადებული დოკუმენტი ფართო განხილვის და ცხარე დებატების საგნად იქცა.

საბოლოო ჯამში, დოკუმენტი საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საზიანო, მოღალატურ დოკუმენტად შეფასდა და თაროზე შემოიდო.

სხვა დოკუმენტი ან რაღაც კონკრეტული გეგმის მაგვარი რამ საქართველოს არც აფხაზეთისთვის და არც „სამხრეთ ოსეთისთვის“ არ შეუთავაზებია.



**არსებობდა და დღესაც არსებობს ეჭვი, რომ საქართველოს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში იყვნენ და არიან ისეთი ფრიად გავლენიანი პოლიტიკური ძალები, რომლებიც შეგნებულად უშლიან ხელს ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებას და ამას აკეთებენ ერთ-ერთი ზესახელმწიფოს მოთხოვნით და დავალებით.**

აფხაზებთან და ოსებთან საერთო ენის გამონახვა ავტომატურად ნიშნავს რუსეთთან საერთო ენის გამონახვას და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ახალ კონსტრუქციულ რეჟიმში გადაყვანას.

როგორც ჩანს, სწორედ საქმის ასე შემოტრიალება არ აძლევდა ხელს ზოგიერთ ჩვენს პარტნიორ სახელმწიფოს, არ არის გამორიცხული, სახელმწიფოთა გარკვეულ თანამეგობრობასაც, რადგან რუსეთ-საქართველოს შორის შეთანხმება ნიშნავდა რუსეთის კონტროლის დამყარებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ამ გეოპოლიტიკურად უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ქვეყნიდან მათი ინტერესების ავტომატურად ამოვარდნას.

**კულუარულად გავრცელებულ ინფორმაციებს თუ დავუჯერებთ, 2003 წელს „ვარდების რევოლუცია“ მოხდა არა იმიტომ, რომ არჩევნების შედეგები გაყალბდა (ეს მხოლოდ საბაბი გახლდათ), არამედ იმიტომ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის, ფაქტობრივად, მიღწეული იყო შეთანხმება აფხაზეთთან დაკავშირებით და ეს შეთანხმება პარლამენტის დაკომპლექტების შემდეგ ოფიციალურად უნდა შესულიყო ძალაში.**

არსებობს კადრები, სადაც პარლამენტის კიბეებთან მდგარ შევარდნაძეს „ნაციონალებთან“ შეხლა-შემოხლის დროს დასისხლიანებული ჯემალ გოგიტიძე ეუბნება: — ახლაც არ გჯერათ, რომ ესენი მოღალატეები არიან და მათ აფხაზეთის დაბრუნება არ უნდათ?

შევარდნაძე პასუხს არ სცემს გოგიტიძეს და გამეხებული სახით სადღაც გაურკვეველი მიმართულებით იყურება.

ძნელი სათქმელია, მართლაც არსებობდა თუ არა რუსეთ-საქართველოს შორის რაღაც კონკრეტული შეთანხმება აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ფაქტია, რომ ხელისუფლებაში „ნაციონალების“ მოსვლის შემდეგ ძალიან მალე საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა, ხოლო ის დათბობის მომენტები, რომლებიც ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის ურთიერთობაში გამოიკვეთა, ერთბაშად გაცივდა და კვლავ კონფრონტაციულ რეჟიმში გადავიდა.

**ყველას კარგად გვახსოვს, შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში ოსებსა და ქართველებს შორის ჩატეხილი ხიდი თითქმის აღსდგა, აღსდგა კეთილმეზობლური, მეგობრული, ნათესაური დამოკიდებულება ადამიანებს შორის და ყველაფერი ეს, „ნაციონალების“ უგნური, შეიძლება ითქვას, აშკარად ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებით, ერთბაშად ჩაიყარა წყალში.**

მხედველობაში მაქვს ერგნეთის ბაზრობის დახურვა, რომელიც სწორედ ქართული მხარის ინიციატივით მოხდა.

**ერგნეთის ბაზრობის დახურვით საბოლოოდ თუ არა, დიდი ხნით დაიხურა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შანსი.**



**საბაბი, რომლითაც ეს მავნებლური გადაწყვეტილება იქნა მიღებული, გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება მოქმედებდა რაღაც საიდუმლო ინსტრუქციის მიხედვით, რომლის მიზანი იყო არა ოსებსა და ქართველებს შორის ნორმალური, მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცება და გაღრმავება, არამედ ამ ურთიერთობის ჩაშლა და სიტუაციის ხელახალი ესკალაცია.**

ერგნეთის ბაზრობის დახურვის მთავარ მიზეზად ამ ბაზრობიდან საქართველოს ტერიტორიაზე კონტრაბანდის შემოდინება დასახელდა, თუმცა არავის შეუწუხებია თავი იმის დაანგარიშებით, სახელმწიფოებრივად რა უფრო მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის — ოსების შემორიგება თუ კონტრაბანდის აღკვეთა.

ერგნეთის ბაზრობის გაუქმების შემდეგ კონტრაბანდით დატვირთული ტრაილერების ქარავანი კიდევ დიდხანს მიემართებოდა გორისკენ და ამ ქარავანს, როგორც ამბობენ, **ირაკლი ოქრუაშვილი** აკონტროლებდა.

**ეს ის ოქრუაშვილია, რომლის მიერ დაგეგმილმა „სამხედრო ოპერაციამ“ ერთი უმნიშვნელო გორაკის ასაღებად 15 მებრძოლის სიცოცხლე შეიწირა, ცოცხლად დარჩენილები კი ოსებმა თუ რუსებმა მუხლებზე დაჩოქილები ახოხეს.**

ეს ის ოქრუაშვილია, რომლის პროვოკაციულმა ფრაზებმა — რუსებს ფეკალიებიც რომ გაუგზავნო, იმასაც კი მიიღებენო — კიდევ უფრო გაართულა ისედაც დაძაბული სიტუაცია რუსებთან.

საერთოდ, ამ კაცის, ბატონი ოქრუაშვილის „ღვაწლი“ ქართული სახელმწიფოს წინაშე, სათანადოდ არ არის შესწავლილი და გამოკვლეული, თორემ მას საქართველოში ასე ამაყად და თავაწეულად ვერ უნდა ევლო.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ის ფაქტები, რაც ე.წ. „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებით ხდებოდა, ხდებოდა შემთხვევით, გაუაზრებლად, უნებლიედ.

**ასე იყო თუ ისე, მსოფლიოს პოლიტიკური ძალები საქართველოს წლების განმავლობაში იყენებდნენ და იყენებენ რუსეთის წინააღმდეგ, როგორც მუდმივი დავის საგანს,** როგორც რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების მამხილებელ თემას, რომელიც მუდმივ დისკომფორტს უქმნის რუსეთს საერთაშორისო არენაზე.

როგორც ჩანს, აი, ეს როლი გვაქვს ჩვენ დაკისრებული მსოფლიოს სცენაზე მიმდინარე სპექტაკლში და, აქედან გამომდინარე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალურ კალაპოტში ჩადგომა ამ სპექტაკლის მთავარ რეჟისორებს, ეტყობა, ხელს არ აძლევთ.

* * *

წერილი დასასრულს უახლოვდება და ჯერ არ გაგვიცია პასუხი კითხვაზე — მაინც რას ეფუძნება საქართველოს ხელისუფლების ოპტიმიზმი, რომ საქართველო აუცილებლად შევა ნატოში?

**საქართველოს ნატოში გაწევრიანების ერთადერთი შანსი არსებობს — საქართველომ უნდა აღიაროს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა. მოიშოროს ნატოში შესვლ;ის ხელისშემშლელი ეს ორი უმთავრესი ფაქტორი, მათი მოშორებით „აღიდგინოს“ ტერიტორიული მთლიანობა, რაც მას საშუალებას მისცემს უფრო თამამად და კატეგორიულად დააკაკუნოს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ღია კარებზე.**

აი, ამის აღიარება, ამის ხმამაღლა გაცხადება უჭირთ რო-

12 gv. →

# პლასტელინის ქვეყანა

11 gv.

გორც საქართველოს მხარეს, ასევე ნატოს ხელმძღვანელობასაც, რადგან ამის თქმას შეიძლება ძალიან დიდი პროტესტი და წინააღმდეგობა მოჰყვეს საქართველოს მოსახლეობის მხრიდან.

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები ყველამ ვიცით, თუმცა ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გაშიფრული და შესწავლილი ის ამბები, რაც ამ ომს წინ უძღოდა.

ომის დაწყებამდე თითქმის ორი წლით ადრე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყოველგვარი ეგრეთწოდებულის გარეშე იწყებს სახელწოდება სამხრეთ ოსეთის დამკვიდრებას, ატარებს იქ არჩევნებს, სადაც პრეზიდენტად სანაკოევს ირჩევენ და ყოველივე ამას საქართველოს იმჟამინდელი პარლამენტი პოლიტიკურ და იურიდიულ დასტურს აძლევს.

პარალელურად ხდება კოდორის (დალის) ხეობისთვის სახელის გადარქმევა — კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთს არქმევენ, ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც ხეობას წლების განმავლობაში გმირულად იცავდა, იარაღს ათმევენ, რის შემდეგაც ხეობა აბსოლუტურად დაუცველი რჩება.

**ამ უკიდურესად საეჭვო ფაქტების ანალიზის დროს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს საქართველოს ხელისუფლება ამ ორ სეპარატისტულ რეჟიმთან დაკავშირებული დიდი ცვლილებებისთვის ამზადებს ნიადაგს, რაღაც იურიდიულ-სამართლებრივ წინაპირობებს ქმნის ამ ცვლილებების განსახორციელებლად და სწორედ ამ მიზნით არქმევს კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთს, ხოლო სახელწოდება სამხრეთ ოსეთს ლეგიტიმურობას ანიჭებს.**

2008 წლის აგვისტოს ომამდე ვერც აფხაზეთის და ვერც ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმები სრულად ვერ აკონტროლებდნენ „თავიანთ“ ტერიტორიებს, რის გამოც მათი დამოუკიდებელ „სახელმწიფოებად“ ცნობა შეუძლებელი იყო.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ეს „უხერხულობა“ მოიხსნა — ორივე სეპარატისტულმა რეჟიმმა სრულად აღიდგინა ტერიტორიული მთლიანობა თავიანთ ადმინისტრაციულ საზღვრებში, რის შემდეგაც მათი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობა რუსეთს არ გასჭირვებია.



რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს ეს მოსაზრება, მაინც უნდა ვთქვა: ამ ორი რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადება ქართულ მხარეს იმ ბარიკადებს და ბარიერებს უხსნის, რაც აგვისტოს ომამდე არსებობდა.

**არაფერს არ ვამტკიცებთ, უბრალოდ, გამოვთქვამთ ვარაუდს: — სწორედ ამ მიზნით ხომ არ იქნა 2008 წლის აგვისტოს პროვოკაციული ომი წამოწყებული, რომ ქართულ მხარეს საბოლოოდ ჩამოეხსნა მხრებიდან ეს ორი ხელისშემშლელი ტვირთი, რის გამოც ის ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ღია კარებში ვერ „შეეტია“?**

ისიც საკითხავია, რუსეთმა, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელი ხომ არ შეუწყო საქართველოს იმ ამოცანის დაძლევაში, რომლის გადაჭრის გარეშეც საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა ნულს უტოლდებოდა?

როგორც ჩანს, მოგვიანებით რუსეთი მიხვდა, რომ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით, შემდგომში კი ამ ორი სუბიექტის დამოუკიდებლობის აღიარებით, ხელ-ფეხი გაუხსნა ქართულ მხარეს წარმატებით გაეგრძელებინა სვლა ნატოსკენ და სულ უფრო და უფრო მიახლოვებოდა სანუკვარ მიზანს?

არ არის გამორიცხული, რომ რუსეთმა სწორედ ამიტომ შეანელა, ფაქტობრივად, შეაჩერა სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარების ძალზე ენერგიულად დაწყებული კამპანია.

ვანუატუ რომ ვანუატუა, იმანაც კი „გაბედა“ ეთქვა, რომ გონს მოეგო და უკვე არ ცნობს „მოძმე“ აფხაზეთის და „მოძმე“ „სამხრეთ ოსეთის“ სუვერენიტეტს.

* * *

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ნაცმოძრაობამ“ ვერ გაიმარჯვა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა — ახალი ხელისუფლება აბსოლუტური სიზუსტით აგრძელებს წინა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ კურსს და ამას ისეთი ხაზგასმული ერთგულებით და თავგანწირვით აკეთებს, რომ მის ოპონენტებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერი რუსული პროექტია, ამ თემაზე საუბრის ხალისი დიდი ხანია დაეკარგათ.

როგორც ჩანს, არსებობს საქართველოს ნატოში გაწევრიანების გრძელვადიანი, დროში გაწელილი პროექტი, რომლის ბოლომდე მიყვანა „ნაცმოძრაობამ“ ვერ მოასწრო და ახლა მისი რეალურ შედეგამდე მიყვანა ახალ ხელისუფლებას მოუწევს, ანუ მას მოუწევს საქართველოს სხეულისთვის იმ ნაწილების „ამპუტირება“, რომელიც ამ სხეულს, ზოგიერთების აზრით, განგრენასავით ნელ-ნელა ჭამს და ფიტავს.

**კულუარულ ინფორმაციას თუ ვენდობით, საქართველოს ახალ ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევენ გავლენიანი პოლიტიკური ძალები საერთაშორისო თანამეგობრობიდან, შეეგუოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში სრულუფლებიან წევრად მიღებისთვის გაემზადოს.**

**კონფიდენციალური წყაროს ცნობით, ბიძინა ივანიშვილი კატეგორიული წინააღმდეგია მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში და სწორედ ამით არის განპირობებული მისი გადაწყვეტილება პოლიტიკიდან წასვლის შესახებ.**

* * *

— მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი! — ამ ცნობილი ფრაზის წარმოთქმის შემდეგ მრავალმა წელმა ჩაიარა, თუმცა ჩვენს გაევროპელებას მაინც არ დაადგა საშველი.

ხომ საინტერესოა, რატომ იმეორებდნენ და რატომ იმეორებენ ასე დაჟინებით საქართველოს ხელისუფლების ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები, რომ ქართველები ევროპელები ვართ, რომ საქართველო ევროპაა.

სხვა მრავალ მიზეზთა შორის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ახალი გეოგრაფიული ცნობარი, სადაც მითითებულია, რომ საქართველო განლაგებულია სამხრეთ-დასავლეთ აზიაში და არა ევროპის კონტინენტზე.

„რა გამოდის — საქართველოს ნატოში გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების მე-10 მუხლის, რაც მთავარია, გაეროს წესდების დარღვევას გამოიწვევს?“ — ვკითხულობთ წერილში „ნატოს კანფეტი თბილისისთვის“.



ალბათ, გამოიწვევს, რადგან ჩრდილო-ატლანტიკური შეთანხმების მიხედვით, ნატოს სამოქმედო არეალი მოიცავს ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილს, ჩრდილოეთ ამერიკას და ევროპას და არა სამხრეთ-დასავლეთ აზიას.

აი, რატომ ვიმეორებთ თურმე ასე ხშირ-ხშირად, რომ ევროპელები ვართ.

კეთილი და პატიოსანი, ვართ ევროპელები და ნატოში შესვლასაც დიდი ხანია ვიმსახურებთ, მაგრამ ალიანსში მაინც არ გვიშვებენ.

**— კი, მაგრამ, რატომ უნდა შეგვიშვან ნატოში? ჩვენ ხომ ისედაც ვასრულებთ ნატოს ნებისმიერ მოთხოვნას — ცხელ წერტილებში ვგზავნით ჩვენს სამხედრო კონტინგენტს, ვმონაწილეობთ ნატოს მიერ დაგეგმილ თითქმის ყველა ოპერაციაში ანუ ჩვენ უკვე „ვართ“ ნატოში, ოღონდ ნატო არ არის ჩვენთან — თქვა ერთმა პოლიტიკოსმა.**

ჩვენ მოხალისეებს ვგავართ, რომლებიც სადაც კი ტყვია გავარდება, იქეთკენ გარბიან ხოლმე, ეს იმ დროს, როცა საკუთარი ქვეყანა ვერ დაგვიცავს. ჩვენ ვერ დაგვიცავს, მაგრამ ნატო დაიცავს, თუმცა ვინ დაგვიცავს მერე ნატოსგან, ამაზე არავინ ფიქრობს.

**ირაკლი ალასანიამ გააკეთა განცხადება, რომ 2015 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები ნატოს სწრაფი რეაგირების ძალთა შემადგენლობაში შევლენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო ალიანსის სრულუფლებიანი წევრი უნდა გახდეს, რაც იმასაც ნიშნავს, რომ საქართველო სულ მალე უნდა დაემშვიდობოს აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“...**

* * *

არ ვიცი, რატომ ამეკვიატა წერილის სათაურად ეს უცნაური ფრაზა — პლასტელინის ქვეყანა.

ქვეყანას თუ ქვეყანა ეთქმის, რვალისა და დუღაბისგან უნდა იყოს შეკრული, ჩვენ კი თითქოს პლასტელინისა ვართ — ხან ისე მიგვგრიხ-მოგვგრიხავენ, ხან ასე, ხან ერთ ნაწილს მოგვაგლეჯენ, ხან — მეორეს, ხან გაგვაბრტყელებენ, ხან მუჭში მოგვზელენ და დაგვაპატარავებენ, ჩვენ კი ყოველივე ამას ისე ვეგუებით, თითქოს მართლა პლასტელინისა ვიყოთ და სულიც პლასტელინისა გვედგას...



## თემურ შაშიაშვილი:

# უნდა დავიწყოთ დიდი სახალხო მოძრაობა საქართველოს და ბიძინა ივანიშვილის გადასარჩენად!

*გვესაუბრება „თეთრების“ ლიდერი **თემურ შაშიაშვილი**.*

**— ბატონო თემურ, არჩევნების თარიღი ახლოვდება და საარჩევნო მარათონი ისე იწურება, თითქოს ქვეყანა ასეთი მნიშვნელოვანი რამისთვის — საპრეზიდენტო არჩევნებისთვის არ ემზადება. რა ხდება. საარჩევნო კამპანია ასე მდორედ რატომ მიდის? ან იქნებ მე ვცდები და მეჩვენება?**

— თქვენ არ ცდებით. მდორედ მიდის კი არა, ფაქტობრივად, არც იგრძნობა, რომ ქვეყანაში საარჩევნო კამპანია ზენიტშია. ხალხი სრულ დეპრესიაშია. დაკარგული აქვს ხალხს ყოველგვარი ნდობა და იმედი. დღეს დგას ყველაზე დიდი უიმედობის პერიოდი. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ მე არ ვიცი, როდის ჰქონდა საქართველოს კიდევ ისეთი მდგომარეობა, როგორიც ახლა არის, უმძიმესი სიტუაციაა. არა მხოლოდ სოციალურად, არამედ სულიერადაც დაცემულია ხალხი.

შარშან 1 ოქტომბერს მოსახლეობას რომ ეგონა, თითქოს იმ საშინელი 9 წლის შემდეგ დიდი სინათლე გამოჩნდა, ახლა ეს „სინათლე“ რომ იბჟუტება, ესაა საშინელება.

**— რა ხდება, უფრო სწორად, რა მოხდა ბატონო თემურ?**

— ხდება ის, რომ ავირჩიეთ ადამიანი, რომელსაც არც კი ვიცნობდით.

მაგალითად, ამერიკაში არავინ მისცემს ხმას უცნობ პოლიტიკოსს, საქართველოში ხმას არავინ აძლევს ნაცნობს.

საქართველოში კი, დღეს ასეთი სიტუაციაა, ჩვენი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი, ივანიშვილი იყო მანამდე, ვიდრე არჩევნები ჩატარდებოდა, ივანიშვილობდა ბატონი ბიძინა არჩევნებიდან ორი თვის შემდეგაც, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი, პრაქტიკულად, დიდი ხანია აღარ არის ის კაცი, ხალხი რომ გულში იხუტებდა.

მე მაინც ვფიქრობ, რომ დასავლეთმა დიდი ზეწოლა მოახდინა მასზე. დასავლეთმა ქართველ ხალხს ბიძინა ივანიშვილი ხელიდან გამოსტაცა.

დარწმუნებული ვარ, უთხრეს: შენი მილიარდები ერთი ლარი გახდება, თუ ჩვენს დავალებებს არ შეასრულებ, და ბიძინა ივანიშვილიც გახდა ის, რაც საქართველოსთვის შველა კი არა, პირდაპირ კატასტროფაა.

მას აქვს მიცემული დავალება — უნდა გადაარჩინოს „ნაცმოძრაობა“ და საკუთრივ, კოალიცია „ქართული ოცნება“, სხვა პარტიები გაანადგუროს და ბიძინა ივანიშვილიც წარმატებით უსრულებს ამერიკას ამ დირექტივას.

ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე, მაგრამ მგონია, დავალების ერთ-ერთი პუნქტი ისიცაა — საბოლოო ჯამში, კოალიცია „ქართული ოცნებაც“ გაქრეს და პოლიტიკური პროცესების ღერძი გახდეს „რესპუბლიკური პარტია“.

ახლა ივანიშვილი ბრძანებს, ჩემი ხათრით აირჩიეთ პრეზიდენტიო. გადაბრუნდება ჩემი წინაპარი საფლავში, მე რომ „პლასტელინს“ მივცე ხმა.

ეს ადამიანი იქნება ქართული ცნობიერების დამანგრეველი, რადგან გახლავთ სოროსის ორგანიზაციის დაფუძნების სათავეებთან მდგომი, ენ-დი-აის სათავეებთან მდგომი საქართველოში, ასეთი მეც რომ ვიყო, არ უნდა ამირჩიოთ.

მაგრამ მე მარგველაშვილს კი არ ვებრძვი, მე ვებრძვი იმ იდეოლოგიას, რომელიც ჩადებულია ამა თუ იმ პიროვნებაში.

ამას ვლაპარაკობ მე, თემურ შაშიაშვილი, რომელსაც 1993 წელს აშშ-ში შემომთავაზეს პრემიერ-მინისტრობა. ამის ჩანაწერიც არსებობს და საელჩოს მაშინდელი წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ ამ ამბავს. შეეკითხეთ იმ ხალხს, გვერდით ჰყავს ახლა ახლანდელ ხელისუფლებას.

რასაც მპირდებოდნენ და რის ხარჯზე, რომ დავფიქრდი, მაშინ მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

მე ორმაგი თამაში არ შემიძლია, სისუფთავე პოლიტიკაში მთავარია. ისინი თუ დაგსვამდნენ, მერე მათ თამაშს თუ არ ითამაშებდი, დაგღუპავდნენ და ქვეყანასაც დაღუპავდნენ.

**— ბატონო თემურ, ასე აქტიურად რომ ერევა ქართულ პოლიტიკაში აშშ-ი, არჩევნების შედეგები, ფაქტობრივად, წინასწარ ექნებათ განსაზღვრული.**

— დიახ, შეთანხმება მიღწეულია. გარიგება შედგა. ბატონი ბიძინა ივანიშვილი ამერიკის დავალებას შესანიშნავად ასრულებს. ეს კარგად ჩანს იმაშიც, რომ ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერებიდან გადაბარგებული ხალხი, ბევრი ისეთი პიროვნება, რომელთაც მე დიდ პატივს ვცემ, მაგრამ, ვწუხვარ იმ შეხვედრების გამო, რომელიც მათთან მქონდა, ძმა ძმას რომ დაელაპარაკება, ისე რომ მილაპარაკია და რომ უთქვამთ, ჟვანიასთან რომ ვიყავი, თქვენზე დოსიეები უჯრაში მიწყვია, გვავალებდნენ და რა გვექნაო.

გვარი არ მკითხოთ, ის ბიძინა ივანიშვილთან ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა.

რად გინდათ, ბატონო ბიძინა, ასეთი ხალხი?

10-15 ადამიანი, ვისთანაც ადრე მეგობრობდა ბატონი ბიძინა, ისინი მიაჩნია კორიფეებად და ვინც არ იცნობს, ისინი ჰგონია მტრები. ახლა ამასაც რომ წაიკითხავს, იტყვის: თემურ შაშიაშვილი ჩემი მტერიაო, მაგრამ მტრები გვერდით გყავთ, ბატონო ბიძინა!

დავით აღმაშენებელი მეფე რომ გახდა, თავის მასწავლებელს გიორგი ჭყონდიდელს ჰკითხა: რა გავაკეთო ისეთი, რომ ჩვენი ქვეყანა მდგომარეობიდან გამოვიყვანოო? — ღირსება დაუბრუნეო, — უთხრა ჭყონდიდელმა.

ღირსება აქვს დღეს დაკარგული ქართველ ხალხს.

დღეს საქართველოს გადარჩენა არის დიდი მოძრაობის დაწყება, უნდა დავიწყოთ დიდი მოძრაობა საქართველოს გადასარჩენად და ბიძინა ივანიშვილის გადასარჩენად. უნდა შეიკრიბოს ბრძენი, გამოცდილი ხალხი, მაგრამ დღეს ვხედავთ გიორგი მარგველაშვილს დასდევს ხალხი — ზოგი ჩოხით, ზოგი — უჩოხოდ.

ხალხო, საქართველო არ გეცოდებათ?

სოროსს აგინებდით აქამდე, „თავისუფლების ინსტიტუტს“ აგინებდით, და ვინც ეს შექმნა საქართველოში, ისაა მარგველაშვილი. „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ლევან რამიშვილი ამბობს: მარგველაშვილი ჩემი მეგობარიაო, ბოკერია ამბობს: მარგველაშვილი ჩემი მეგობარიაო, თუთბერიძეც მაგის მეგობარია, რურუაც იგივეს ამბობს და ვერ გავიგე, დარჩა ვინმე „ნაცმოძრაობიდან“ მარგველაშვილის მეგობარი რომ არ იყოს?

**— სააკაშვილი კიდევ რუსეთის ÊÃÁ-ს კაციაო.**

— ÊÃÁ-ს ყოფილი თანამშრომელი არ არსებობს. კაგებეშნიკებად არ იბადებიან, მაგრამ კვდებიან. სააკაშვილი ამერიკის კაციც არის და რუსეთისაც, ეს ორივე მხარემ იცის და აწყობს ამნაირი პერსონა ორივეს — რუსეთსაც და ამერიკასაც.

სააკაშვილის მეუღლემ, სანამ სააკაშვილს გაჰყვებოდა ცოლად, მოსკოვიდან, საელჩოდან დამირეკა და მითხრა: ქუთაისში უნდა ჩამოვიდე, მერიაში უნდა მქონდეს ოფისი და თქვენს კაბინეტთან ახლოს უნდა ვიყოო.

შემოუშვა ამერიკამ აგენტები არასამთავრობოების სახით.

ახლა რა სიტუაციაა?! წინასწარ განსაზღვრული აქვთ ყველაფერი. ძმას რომ ვენდობი, ისე ვენდობოდი კაცს, რომელიც ახლა ბიძინას გვერდითაა, ის კაცი, როგორც კი თანამდებობაზე აღმოჩნდა, არ გავხსენებივარ საერთოდ. ეს ხალხი, ბურჯანაძის გვერდით მდგომი და ჩემს მიერ მეგობრად აღიარებული დღეს გამოდის და ამბობს: ბურჯანაძე იქნება მესამე ადგილზე, პირველზე მარგველაშვილი, მეორეზე ბაქრაძეო.

სამწუხაროდ, რასაც ავალებდა იმ კაცს ჟვანია, — აკეთებდა, ავალებდა სააკაშვილი აკეთებდა, ავალებს ივანიშვილი და უსიტყვოდ ემორჩილება.

ასეთი ხალხი ღუპავს საქართველოს.

**— მოკლედ, როგორ ფიქრობთ, წინასწარ არის განსაზღვრული, რომ მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდება, ბაქრაძე კი მეორე ადგილს დაიკავებს?**

— მარგველაშვილი თუ გახდა პრეზიდენტი, ეს იქნება გაყალბებული შედეგების რეზულტატი.

უფრო მეტიც, შეკვეთაა — პირველ ადგილზე მარგველაშვილი, მეორეზე — ბაქრაძე. ჯერ დააკვირდებიან, გაქაჩავს თუ არა პრეზიდენტობას, მაგრამ არა მგონია, სამი-ოთხი თვე პრეზიდენტად გაძლოს. ისედაც ეტყობა, რისი გამკეთებელია. ისეთ რამეებს დაატრიალებს მარგველაშვილი, ბიძინა ივანიშვილს გასაქცევად ექნება საქმე.

მარგველაშვილის გაპრეზიდენტება ბიძინა ივანიშვილის დამთავრებას ნიშნავს, ამიტომაც ბიძინა ივანიშვილს მხარს უჭერს ის, ვინც მარგველაშვილს არ მისცემს ხმას.

**ირანდა კალანდაძე**
**ტელ.**: 593 56 11 18



იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა და წასვლაც ერთი დიდი ბიზნესოპერაციაა!

გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი **ლევან კალანდაძე:**

**— ლევან, ადრე საუბრისას ხშირად გიხსენებია რომ სააკაშვილის დროს ორი საქართველო — ვირტუალური და რეალური არსებობდა. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა დღეს?**

— სააკაშვილის ვირტუალურ საქართველოში ყველაფერი კარგად იყო, ხოლო რეალურ საქართველოში მოსახლეობა ათას პრობლემას, სირთულეს აწყდებოდა. დღესაც ასე ხდება, რაც ლოგიკურია იმიტომ, რომ არ შევცვალეთ მთავარი, რაც სააკაშვილისდროინდელ ორ საქართველოს განაპირობებდა. ანუ, არ შეიცვალა სისტემა, რაც სააკაშვილის ხელისუფლების დროს სწორედ საზოგადოების ორ ნაწილად გაყოფაზე იყო დაფუძნებული. ხელისუფლე-



ბაში მყოფი და მათთან დაახლოებული პირებისთვის სააკაშვილის რეჟიმი, სისტემა კეთილდღეობის წყარო იყო. შესაბამისად, ამ ადამიანებმა შექმნეს ვირტუალური სამყარო. ანუ გაორება ამ სისტემაზე იყო დაფუძნებული. ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებაში მყოფი და მასთან დაახლოებული პირები, რეალურად, ივანიშვილმა და მასთან დაახლოებულმა პირებმა ჩაანაცვლა. სხვა ცვლილება არ მომხდარა, სისტემა იგივე დარჩა. დღეს, უკვე ახალი ხელისუფლება იწყებს ვირტუალური საქართველოს პროპაგანდირებას და პრომოციას. რეალურად სისტემა კი არ დაინგრა, არამედ ტრანსფორმირდა, გვარი — სააკაშვილი ივანიშვილით შეიცვალა, ხოლო მიშას წრე ბიძინას წრემ ჩაანაცვლა. მოლოდინები, რაც საზოგადოებას ჰქონდა, რომ ქვეყანაში ადამიანებზე მორგებული პოლიტიკა განხორციელდებოდა, არ გამართლდა იმიტომ, რომ სისტემა უცვლელი დარჩა. მაგალითად, ბევრს ვსაუბრობთ, თუ რატომ არ გაიაფდა საწვავი. ხელისუფლებას აქვს არგუმენტი: გარკვეული თანხები 5-დან 10 თეთრამდე, თურმე ვიღაცების ჯიბეში მიდიოდა. სამწუხაროდ, ვერც ენერგეტიკის მინისტრი და ვერც სხვები, ვინც თუნდაც ნავთობბიზნესში კორუფციულ მონოპოლისტურ გაერთიანებებზე საუბრობენ, ვერ ასახელებენ, სად მიდიოდა ეს თანხები. ბუნებრივია, ეს თანხები გარკვეულ კრიმინალთანაა დაკავშირებული. პრაქტიკულად, ერთი წელია ხელისუფლება შეიცვალა, რაც სრულიად საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ აღნიშნული სამართალდარღვევა, კრიმინალი გამოძიებულიყო. რადგან ფასწარმოქმნის ძველი „ტრადიციული“ მიდგომებისადმი ბენზინის ფასი და ნავთობიმპორტიორებისადმი დამოკიდებულება არ შეიცვალა, გამოდის, რომ ეს 5-10 თეთრი, დღესაც სადღაც მიდის. შესაბამისად, საზოგადოებაში ჩნდება ეჭვი, რომ ეს თანხა ახალი ხელისუფლების ჯიბეებში ილექება. მაგალითად, კეზერაშვილმა გარკვეული მონოპოლისტური სისტემა შექმნა — სარკინიგზო, საკონტეინერო გადაზიდვები, ავტომობილების განბაჟება, რაც სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზებული იყო. გავიდა ერთი წელი და აბსოლუტურად არაფერი შეცვლილა. ბიზნესმენები, რომლებიც სააკაშვილის დროს შეწუხებულნი, დაჩაგრულნი იყვნენ, დღესაც იგივე პრობლემის წინაშე დგანან. ეჭვებს ამყარებს ისიც, რომ ხელისუფლება ძალიან მყიფე და არამყარია. ყველას კარგად გვახსოვს — ცვლილებების, ტრანსფორმაციის, განახლების გარანტი პრემიერი იყო.

**— ამ ფონზე მისი პოლიტიკიდან წასვლა რას უქადის ქვეყანას?**

— სიტუაცია აბსოლუტურად შეიცვალა — ივანიშვილმა განაცხადა, რომ ხელისუფლებიდან მიდის, ხელებს იბანს იმ ვალდებულებებისგან და დაპირებებისგან, რაც ხალხს მისცა. თუმცა, ივანიშვილი საზოგადოებას აიმედებს, რომ ხელისუფლებაზე გარკვეულ კონტროლს განახორციელებს და სტაბილურობის, გარანტი კვლავ თვითონ იქნება. ეს პარადოქსულია. იგი მიდის პოლიტიკიდან, აღარ იქნება პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი, პრემიერი, შესაბამისად, გავლენები აღმასრულებელ ხელისუფლებაზე არ ექნება. იგი არაა საკანონმდებლო ხელისუფლების წევრი, შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაზე მას ოფიციალური გავლენა ვერ ექნება. მაგრამ ამავდროულად, ამბობს, რომ გავლენას შეინარჩუნებს. ჩნდება კითხვა — როგორ? — იგი შეინარჩუნებს არაოფიციალურ, არალეგალურ გავლენებს. ეს გარკვეული მაფიოზურ-ოლიგარქიული დამოკიდებულება და მმართველობის რეჟიმია, როგორიც იყო ლიბიაში, როგორიც დღესაცაა რუსეთში.

**— ლევან, ბოლო დროს სააკაშვილისგან სინგაპურის შენებაზე აღარაფერი გვესმის. როგორ ფიქრობთ, ეს პროექტი ახლა ივანიშვილის ხელით ხომ არ სრულდება?**

— ივანიშვილს რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს: მას უზომოდ დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავსა და შესაძლებლობებზე, ჰგონია, რომ ყველაფერი კარგად იცის, ვერ იტანს კრიტიკას, საკუთარი თავი უალტერნატივო და შეუცდომელი ჰგონია, ვერ იტანს განსხვავებულ აზრს, ეს ხელისუფალისთვის ძალიან ცუდი თვისებებია. ხელისუფალის მთავარი ღირსება ისაა, რომ მას ყველანაირი აზრის მოსმენა და შემდგომ სწორი გადაწყვეტილების გამოტანა უნდა შეეძლოს. ივანიშვილს ამ მხრივ პრობლემები აქვს. სააკაშვილს ჰქონდა ილუზია, რომ სინგაპურს აშენებდა. ივანიშვილსაც აქვს ამბიცია, რომ დუბაის აშენებს, მაგრამ რეალურად საკითხისადმი დამოკიდებულება და შინაარსი არ იცვლება. თუ სააკაშვილი თვლიდა, რომ ბათუმი მეორე შვეიცარია იქნებოდა, ივანიშვილი თვლის, რომ ბათუმი შვეიცარია კი არა მონაკო იქნება. ამით იგი რეალურად უპირისპირდება და ებრძვის საკუთარ კომპლექსებს და კომპლექსების ბრძოლის არეალად სააკაშვილს მოიაზრებს. ყველაზე დიდი პრობლემა დადგება მაშინ, როცა სააკაშვილი ხელისუფლებაში აღარ იქნება — ბიძინა ივანიშვილი ველარავის ველარ შეებრძოლება საკუთარი თავის გარდა. ამ თვალსაზრისით, ივანიშვილი არანაირ სიახლეს არ გვთავაზობს. სააკაშვილი გვთავაზობდა ლაზიკას პროექტს, ივანიშვილი იგივეს გვთავაზობს, ოღონდ ტრანსფორმირებული სახით. პრაქტიკულად, ივანიშვილი და სააკაშვილი ერთმანეთისგან მხოლოდ გვარ-სახელებით განსხვავდებიან. ესაა ორი ერთი და იგივე ტიპის ადამიანი, რომელთაც უზომოდ დიდი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე, რომელთაც ჰგონიათ, რომ მათ გარდა არავინ არაფერი არ იცის, ვერ იტანენ განსხვავებულ აზრს და ასეთი აზრის მქონე ადამიანების მიჯირყვნას ახდენენ და ა.შ. აქედან დასკვნა — რაც მიიღო სააკაშვილმა, იგივეს მიიღებს ივანიშვილიც. მაგრამ ივანიშვილი, სააკაშვილისგან განსხვავებით, ამას უფრო მალე მიიღებს. მაინც მაქვს იმედი ქართველი ადამიანის, სამოქალაქო საზოგადოების გონიერების. იმედია, მახსოვრობა შენარჩუნებული გვაქვს და მივხვდებით, რომ ეს ერთხელ უკვე ნანახი გვაქვს და მალე დავინახავთ იმ საფრთხეებს, რის დანახვასაც 9 წელი მოვუნდით. დღეს ივანიშვილი ქართველი საზოგადოებისთვის იგივე საფრთხეების, რისკების მატარებელია.

**— ბოლო დროს ბევრს საუბრობენ — ზოგი ინვესტიციების კლებაზე, ზოგიც, პირიქით, ზრდაზე. როგორია რეალობა?**

— ამ კუთხით, სტატისტიკა მეთუნესავითაა — ქოთანს ყურს საიდანაც გინდა იქიდან მოაბამ. ინვესტიციები გაიზარდა, მაგრამ გააჩნია, რა, რასთან მიმართებით. აგვისტოში, წინა თვეებთან შედარებით გაიზარდა, მაგრამ მიმდინარე წელს წინა წელთან შედარებით, შემცირდა. საინტერესო სხვა რამაა, რაზეც ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროები დუმან, ინფორმაციას ჩქმალავენ. ეს გახლავთ ინვესტიციების არა შემოსავლის, არამედ გადინების საკითხი. 2013 წლის მეორე კვარტალში ქვეყნიდან ინვესტიციების გადინების უპრეცედენტოდ დიდი მაჩვენებელი დაფიქსირდა. ანუ ინვესტორებმა ინვესტიციები უკან გაიტანეს. 140 მილიონი ლარი მხოლოდ ერთ კვარტალში იქნა გატანილი. ასეთი დიდი მაჩვენებელი არასდროს დაფიქსირებულა, მათ შორის, 2008 წლის ომის დროსაც კი.




სამწუხაროდ, სააკაშვილის კამპანია ფასადური და ზედაპირული იყო, იგივეა ივანიშვილისაც — ფასადური და ილუზორული. სინამდვილეში ამ ყველაფრის მიღმა ორივე შემთხვევაში პირადი, მერკანტილური ინტერესები დგას. სააკაშვილს ძალაუფლების მოპოვება და მისით ტრფობა უნდოდა, ივანიშვილს კი საქართველოს ყიდვა და ამ ნაყიდი საქართველოთი ტრფობა უნდა. ივანიშვილისთვის საქართველო ერთი შპს-ა, მისი პოლიტიკაში მოსვლა და წასვლა არის ერთი დიდი ბიზნესოპერაცია, მეტი არაფერი.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მარტივად ვიტყვი, ივანიშვილს, პირდაპირი მნიშვნელობით, საქართველოს ყიდვა უნდა. არ ვამბობ, რომ მას საწარმოების ყიდვა უნდა ან ყველაფრის წილში ჩაჯდომა სურს. არა! — მას უნდა, რომ საქართველოში მსხვილი ბიზნესი მთლიანად აკონტროლოს, ანუ ის ბიზნესი, რაც რეალურად მთლიანი შიდა პროდუქტის შემქმნელია. პრემიერის თანამდებობა, ამ თვალსაზრისით, მისთვის პრობლემაა. მაგრამ ამავდროულად, პრემიერობა და ხელისუფლებაში მოსვლა ამ მიზნის მიღწევისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. მან გარკვეული პოლიტიკური საფუძველი შექმნა იმისა, რომ მისი მომავალი გარანტირებული და ხელშეუხებელი ყოფილიყო — იგი ტოვებს თავის ერთგულ პოლიტიკურ გუნდს, რომელიც მისი მხრიდან კონტროლირებადი იქნება, რითაც გარკვეული ლეგიტიმაცია შექმნა, რომ მისი ჩრდილში გადასვლით და ბიზნეს-ინტერესების რეალიზაციის პროცესში ხელი არ შეეშლება. ამიტომაც ვამბობ, ეს მისი მხრიდან ძალიან პრაგმატული გათვლაა. მან გააკეთა გარკვეული ინვესტიცია — ფული ჩადო იმაში, რომ ხელისუფლებაში მოსულიყო, პარლამენტში გარკვეული პოლიტიკური ძალა შექმნა, აღმასრულებელ ხელისუფლებაში საკუთარ გუნდს ტოვებს, რომელიც მისგან მართული იქნება, თვითონ თავის შუშის სასახლეში გადაინაცვლებს და იქედან გააგრძელებს იმ აქტივების შეძენას, რაც მის ინტერესებში შევა. რაც მთავარია, ამაში ხელისშემშლელი არავინ ეყოლება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# კახა კუპავა:

## ხომ გინახავთ სიცილიურ მაფიაზე გადაღებული ფილმები? ჩვენ დღეს სიცილიური მაფიის კანონებით ვცხოვრობთ — ერთ დონს გადავაგდებთ, მეორე დონს ვირჩევთ, მერე მესამე დონს ჩავუვარდებით ფეხებში... აი, ასეთი დონის საზოგადოება ვართ...



**„საერთო გაზეთის“ სტუმარია პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე კახა კუპავა.**

— საქართველოში კორუფცია ყვავის, რამდენიმე ოჯახი განაგებს ქვეყნის მმართველობის სხვადასხვა სფეროს, ხოლო მოსახლეობის დიდი უმრავლესობა პლებეებია, რომელთაც თუ დასჭირდათ კონკრეტულ საქმეში იყენებენ, თუ არადა მოისვრიან, მათ ხმის უფლებაც კი არ გააჩნიათ. ამ წყობას კორუფცია ეწოდება, როცა პროცესებს არა უმრავლესობა, არამედ მისი სახელით უმცირესობა მართავს. ეს ოლიგარქიაც არაა, არც ავტორიტარიზმია. ოლიგარქიის და ავტორიტარიზმის დროს შეიძლება ერთ სოციალურ ჯგუფს მეორესთან შედარებით უპირატესობა ჰქონდეს, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს ემსახურება ერის, სახელმწიფოს ინტერესებს. ჩვენს შემთხვევაში, კიდევ უფრო უკან ვართ, ესაა კორუფცია, რომელიც მოგებას აძლევს საქართველოს გარე, სხვადასხვა ფინანსური ჯგუფის სპეც.სამსახურებს, ვიდრე ქვეყნის შიგნით არსებულ რომელიმე ფენას. ქვეყნის შიგნით მმართველი ფენა უფრო მომსახურე ფუნქციას ასრულებს, ეს მარიონეტული რეჟიმია. მაგალითად, ჩვენი ეროვნული სიმდიდრეები უკანასკნელი 20 წლის მანძილზე სხვადასხვა კერძო კომპანიებს ჩალის ფასად გადაეცა. ეს კერძო კომპანიები ქართული რომ ყოფილიყო, ჩვეულებრივ კორუფციასთან გვექნებოდა საქმე, ჩვენ შემთხვევაში კი ამას კოლონიალური ნიშნებიც ახლავს თან იმიტომ, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა, ამ ყველაფერს არაქართული კომპანიები ითვისებენ. ასე რომ, ჩვენთვის ნამდვილი ნაციონალური კორუფციაც კი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

**— 1 ოქტომბრის მერე შეიცვალა თუ არა სისტემა?**

— რა თქმა უნდა, სისტემა არ შეიცვალა, ორი აზრი არაა, რომ სისტემა იგივე დარჩა, რაც აქამდე იყო. რიგ შემთხვევაში, დამძიმდა კიდეც. ესაა იგივე კორუმპირებული სისტემა, მარიონეტული რეჟიმი. 1 ოქტომბერს ამის შეცვლის შესაძლებლობა არც არსებობდა იმიტომ, რომ პოლიტიკურ ავანსცენაზე მყოფი ძირითადი პოლიტიკური ძალები, ყველა ერთი და იგივე ცენტრიდან იმართება. ეს უფრო მარიონეტების თეატრს ჰგავს, ვიდრე რეალურ პოლიტიკურ ბრძოლას. აქედან გამომდინარე, მხოლოდ საარჩევნო მარათონებით პოლიტიკური ვითარების გამოსწორება შეუძლებელი იქნება.

**— კახა, როგორ ფიქრობ, ივანიშვილი ამ სისტემით კმაყოფილია? მან ამ სისტემის ერთ-ერთ მთავარ შემოქმედს — ადეიშვილს ნიჭიერიც კი უწოდა.**

— ქართველი ხალხი ახლა იმკის იმას, რასაც ხმა მისცა. თავად ქართველმა ხალხმა უნდა დასვას ის შეკითხვა, რასაც შენ მეკითხები. მთავარია, ჩვენ რა გვინდა? გავა 2-3 წელი და ივანიშვილი ისეთივე არაპოპულარული გახდება, როგორიც ახლა სააკაშვილია. დღის წესრიგში ივანიშვილის დამხობა დადგება. რას მოვიმოქმედებთ ჩვენ — ისევ მოვძებნით ახალ ოლიგარქს ან ნარკოდილერს, თუ გავაკეთებთ იმას, რაც ევროპელმა ერებმა გააკეთეს? — მათ მე-18 საუკუნის 40-იან წლებში დემოკრატიული რევოლუციები მოახდინეს, ჩამოაყალიბეს პოლიტიკური სისტემა, სადაც არაკორუმპირებული პოლიტიკური ძალები ერთმანეთს არჩევნებით ცვლიან. ჩვენ სიცილიური პოლიტიკა გვაქვს. სიცილიაში ერთი მაფიოზი სიცილიელს რომ დაჩაგრავდა, მეორესთან მიდიოდა, რათა მას შური ეძია. ჩვენც სწორედ ასე ვიქცევით. შევარდნაძეზე გამწარებულმა ხალხმა მფარველობა დონ მიხეილ სააკაშვილს სთხოვა, მერე სააკაშვილისგან გამწარებულმა, იგივე დონ ივანიშვილს სთხოვეს, მაგრამ თავად ქვეყნის მართვის სისტემა არ იცვლება.

**— კახა, ჩემთან ერთ-ერთ ინტერვიუში ახსენე, ვისაც ბანკის ვალი ჰქონდა, ის უნდა აგვერჩიაო...**

— რა თქმა უნდა, ასეა. კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან — წინა მთავრობას განაგებდა პრემიერ-მინისტრი ბანკირი გილაური, მანამდე გურგენიძე. როდესაც ბანკირი გილაური ბანკირმა ივანიშვილმა შეცვალა, ამით მოვალისთვის არაფერი შეცვლილა. ბანკირი ყველა ერთი მაფიაა. როცა პრემიერ-მინისტრი „მოვალის“ სოციალური ჯგუფიდან იქნება, ქვეყანაში მაშინ შეიცვლება რამე. ბანკირი ბანკირის ტყავს არ დახევს.





**— მაგრამ სისტემა თუ იგივე დარჩა, ეს მოვალეც ხომ შეიძლება ბანკირი გახდეს?**

— კი, ამაში შემდეგს ვგულისხმობ — უნდა მოვიდეს პოლიტიკური ძალა, რომელიც ვალდებულებებით დატვირთული არ იქნება. რთულია ეს მასობრივ ფსიქოლოგიამდე იქნეს დაყვანილი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, პირველ ეტაპზე, თუნდაც პოლიტიკური ელიტა რომ იქნეს ფორმირებული, რომელსაც ეს ესმის, კარგია. თავის დროზე საქართველოში განმანათლებლობა მე-19 საუკუნეში როგორ დაიწყო? — ხომ არ გგონიათ, მილიონმა ქართველმა იცოდა, ილია და აკაკი ვინ იყო? — შეიქმნა გარკვეული ფენა, რომელმაც ეს პრობლემატიკა წამოსწია და უკვე 50 წლის შემდგომ საქართველოს დამოუკიდებლობა რეალური გახდა. აუცილებელია ისეთი პოლიტიკური ძალების, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, რომელიც კორუმპირებული არ იქნება. დღეს ხომ ვიცით — პრაქტიკულად, ყველა პარტიის და არასამთავრობო ორგანიზაციის ყიდვა აქვე, 100 დოლარად ნებისმიერ მოსახვევში შეგიძლია.

**— კახა, გარკვეული ბატონყმური სიტუაცია ხომ არ ყალიბდება. ივანიშვილი მაფიის ხელმძღვანელივით იცავს ხოლმე თავისი გუნდის „უდანაშაულო“ წევრებს, რაც დემოკრატიას წყალს უყენებს. სხვათა შორის, იგივეს აკეთებდა სააკაშვილიც, თუნდაც გავიხსენოთ, როგორ დაიცვა მან ვანო „გალეტილი“.**

— კი, რა თქმა უნდა, კარგი შედარებაა. ვანოზე გალეტილიაო, რომ ითქვა, ეს სააკაშვილის მხრიდან საზოგადოებრივი აზრის გამოწვევა იყო. ანუ, მან თქვა — ვანოზე რაც არ უნდა ილაპარაკოთ, ფეხებზე მკიდია, მის წესიერებაში ეჭვი არ მეპარებაო. იგივეა, განცხადება ნაცვლიშვილზე. მთელმა თბილისმა იცის, რას წარმოადგენს ნაცვლიშვილი. ამ დროს გვეუბნებიან, რომ იგი უწესიერესია. თუ ნაცვლიშვილი წესიერია, მაშინ ამქვეყნად ყველა ფრთიანი ანგელოზები ვყოფილვართ. ანუ პრემიერიც იგივეს გვეუბნება — ფეხებზე მკიდია, რაც უნდა აკეთოს ნაცვლიშვილმა, ბოლომდე დავიცავო, ასეთი მიდგომა აქვს ახალ ხელისუფლებას და პრემიერს.

**— პრემიერი პოლიტიკიდან მიდის. როგორ ფიქრობ, ხომ არ აჯობებდა წასვლამდე ეს მოყოლილი მუქთახორები გაეკულაკებინა?**

— ივანიშვილი არსად არ მიდის და ვერც ვერავის გააკულაკებს. იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ უფრო უკან ვართ, აქ ავტორიტარიზმი, დიქტატურაც კი არ არის. დიქტატურა რომ იყოს, უკეთესი ვარიანტი და პროგრესი იქნებოდა. ჩვენ გვაქვს მარიონეტული რეჟიმი. სიცილიურ მაფიაზე ფილმები ხომ გაქვთ ნანახი?! იქ წინა პლანზე ჩანს ვთქვათ, ადვოკატი ტერაზინი, მაგრამ რეალურადაა დონ-ები, ვინც საქმეებს განაგებენ, სხვაგან სხედან. საქართველოშიც ის ფიგურები, ვისაც ჩვენ ვუყურებთ — სააკაშვილი და ივანიშვილი, სინამდვილეში ტერაზინები არიან.

ივანიშვილს რიჩარდმა უთხრა დღე და რიცხვი, როდის უნდა გადამდგარიყო პრემიერის პოსტიდან. თავის დროზე რიჩარდმა უთხრა, როდის უნდა შემოსულიყო პოლიტიკაში და მანვე უთხრა, როდის უნდა დატოვოს პოსტი. აქედან გამომდინარე, ივანიშვილი გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ვერ მიიღებს. ვფიქრობ, თავის დროზე ჩათვალეს, რომ ხელისუფლების ტრანსფორმაციისთვის, ცვლილებებისთვის ივანიშვილის ჩართვა აუცილებელი იყო და ახლა ეუბნებიან, რომ იგი ზედმეტია. ესაა ლოგიკა.

**— კახა, საიდან იდგამს ფესვებს ეს სისტემა „ნაცმოძრაობიდან“ თუ უფრო შორეული წარსულიდან?**

—„ნაცმოძრაობას“ ჰქონდა თავისებურებები, რაც ამ სისტემას მისცა, მაგრამ ეს არც „ნაცების“ მოგონილია და ზოგადად, არც ქართველების, ამას ნეოკოლონიალიზმი ჰქვია, რომელიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში ფართოდაა გავრცელებული, როცა ქვეყანა ნომინალურია, მაგრამ სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები და სპეც.სამსახურები აკონტროლებენ. თუ დაკვირვებული თვალი გაქვთ, ეს შეიძ-

16 gv.

15 gv.

ლება ყოველდღე ნახოთ. მაგალითად, ერთი საათის წინ გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ნოდარ ხადურმა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ვაშინგტონში ჩაიტანა და აღფრთოვანებული იყო, ძალიან მომიწონესო. რა შუაშია ვაშინგტონი?! აშშ-ს მთავრობას ამერიკის ბიუჯეტი ჩამოაქვს ჩვენთან განსახილველად? ამ სისტემას ეწოდება ნეოკოლონიალიზმი. ნეო იმიტომ, რომ ადრე კოლონიალიზმი ნიშნავდა იმას, რომ ყურში რკინის საყურეს გაგვიყრიდნენ და ზურგზე დაგვაწერდნენ — მონა ხარო და ქვეყანას თავის დროშა და საზღვრები არ ჰქონდა. ახლა, ნომინალურად, ეს ყველაფერი გვაქვს — დამოუკიდებელი ქვეყნის პასპორტი, საზღვრები, რუკა, დროშა, მაგრამ რეალურად ძირითადი და შინაარსობრივი ატრიბუტები, რაც სუვერენიტეტისთვისაა დამახასიათებელი, ეს ყველაფერი საქართველოს არ ეკუთვნის. საქართველოს ბიუჯეტს სხვა ქვეყანაში ამტკიცებენ, სამხედრო მეთაურებს სხვა ქვეყანაში ნიშნავენ და ჩვენს პრემიერს რიჩარდი ეუბნება, როდის უნდა გადადგეს. დღესავით ნათელია, რომელ ქვეყანას ეკუთვნის სუვერენიტეტი.

აი, ამას ეწოდება ნამდვილი კოლონიალიზმი, როგორიც ადრე კუბაში იყო — ადგილობრივ მოსახლეობას პლანტაციებში ამუშავებდნენ, მფლობელები კი უცხოელები იყვნენ. განსხვავება, უბრალოდ, ისაა, რომ ჯერჯერობით ყურის გახვრეტაზე არ გადასულან. თუმცა, ხომ ნახეთ, 17 მაისს რაც მოხდა, შეიძლება მალე ყურის გახვრეტაც მოგვთხოვონ და საკუთარ ქვეყანაში რკინის რგოლებიც დაგვკიდონ. ნეოკოლონიალიზმის სათავედ ითვლება მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი, 60-იანი წლები. ბევრი ქვეყანა ბოლო 20-30 წლის მანძილზე ნეოკოლონიალიზმს დაუპირისპირდა. ჩვენ როცა ევროკავშირიდან და სხვა ქვეყნებიდან ანალოგიებს ვიღებთ, ეს აბსოლუტურად არარელევალენტურია. ჩვენთვის რელევანტური მაგალითებია, ის, თუ რა მოხდა ვენესუელაში, ჩილეში, ირანში, ჩინეთში, ანუ ქვეყნებში, რომლებიც სხვა ქვეყნების მიერ დამოკიდებულნი და დასაკუთრებულნი იყვნენ. რევოლუცია მოხდა და ადგილობრივმა მოსახლეობამ სხვა ქვეყნების მიერ მიტაცებული კაპიტალი დაიბრუნა. ჩვენი განვითარების შემდეგი ეტაპი, ჩემი აზრით, ისაა, რომ ახალი ტიპის კოლონია ეროვნულ სახელმწიფოდ უნდა გარდავქმნათ — მიტაცებული ტყეები, მიწები საქართველოს საკუთრებაში უნდა დაუბრუნდეს, ასევე ეროვნული სიმდიდრეებიც, პოლიტიკური ძალაუფლების ის ელემენტები, რასაც სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები ახორციელებენ, საქართველოს ხელისუფლების გამგეობაში უნდა დაბრუნდნენ და ჩვენი პრემიერ-მინისტრი როდის იქნება არჩეული ან გადარჩეული, რიჩარდმა კი არ უნდა გა-

# ხომ გინახავთ სიცილიურ მაფიაზე გადაღებული ფილმები? ჩვენ დღეს სიცილიური მაფიის კანონებით ვცხოვრობთ — ერთ დონს გადავაგდებთ, მეორე დონს ვირჩევთ, მერე მესამე დონს ჩავუვარდებით ფეხებში... აი, ასეთი დონის საზოგადოება ვართ...

დაწყვიტოს, არამედ ქართველმა ხალხმა.

**— ამ დროს, ჩვენ მმართველებად „ბატონები“ გვყავს, რომლებიც ცალკე კასტად ჩამოყალიბდნენ და საზოგადოებას გაემიჯნენ.**

— ესეც იმ პრობლემიდან გამომდინარეობს, რომ ეს არაა ჩვენი ბიუჯეტი და ჩვენი სახელმწიფო. ამ საკითხზე პრემიერს ჟურნალისტებმა შეკითხვა დაუსვეს, რამაც იგი ძალიან გააღიზიანა. რა თქმა უნდა, არანორმალურია, როდესაც სახელმწიფო 80-ათასდოლარიან მანქანებს ყიდულობს. არანორმალურად ვრცელია იმ პირთა ნუსხა, რომელთაც ეს მანქანები ემსახურებათ. მაგალითად, რა მოხდება ნოდარ ხადურმა მეორადი მოხმარების მანქანით რომ იაროს, რომელსაც 7 ათას დოლარად ბაზარზე იყიდის. თუ უნდა, მე მივყიდი ჩემს მანქანას, რომელიც მშვენივრად დადის. ძვირადღირებული მანქანები შეიძლება ჰყავდეთ პირველ პირებს, რომლებიც პროტოკოლურ ღონისძიებებში მონაწილეობენ — პრეზიდენტი, პრემიერი, საგარეო სსაქმეთა მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე. ამაზე არაა საუბარი, მაგრამ გარწმუნებთ, მინისტრი სუბარი 120-ათასდოლარიანი ჯიპით ივლის (რომე-



ლიც შეუკვეთა), თუ 1995 წელს გამოშვებული „ოპელით“, ამით სახელმწიფოს არაფერი დააკლდება.

**— პარლამენტარების ხელფასი რიგითი პენსიონერისას 40-ჯერ აღემატება, ეს ხომ ანომალიაა?**

— ჩვენ ადამიანის უფლებათა კომიტეტში დავიწყეთ კანონპროექტის მომზადება, რომელიც სახელფასო პროპორციებს და პარიტეტს დაადგენს. უნდა განისაზღვროს, რამდენია საჯარო მოხელის მინიმალური ხელფასი და ყველა სხვა სახელმწიფო მოხელის ხელფასი უნდა განისაზღვროს არა ლარებში, არამედ კოეფიციენტი ასე უნდა დადგინდეს — ვთქვათ, მინისტრის ხელფასი სახელმწიფო სექტორში მომუშავის მინიმალური ხელფასის შვიდმაგ ოდენობას შეადგენს. თუ მინიმალური ხელფასი 300 ლარით განისაზღვრება, მინისტრის ხელფასის შვიდმაგი ოდენობა 2100 ლარი იქნება. მინისტრის ხელფასი შემდგომში ვერანაირად ვერ გაიზრდება, თუ მინიმალური ხელფასი არ გაიზარდა. ცალკე აღებული რაც ხდება, ეს ცინიზმია, მაშინ, როცა გვყავს პედაგოგები, რომელთა უმრავლესობის ხელფასი 100-დან 200-ლარამდეა. ასევე, ექიმები, უმაღლესი სკოლის პროფესორები იგივე ანაზღაურებას იღე-



ბენ. სახელფასო პარიტეტის შესახებ კანონს იმიტომ ვითხოვთ, რომ მომატება პროპორციულად უნდა მოხდეს. არ შეიძლება ჩვენი მინისტრის ხელფასი იმდენი იყოს, რამდენიც ფრანგ მინისტრებს აქვთ, ხოლო ჩვენი პროფესორის ხელფასი ფრანგი პროფესორის 3% იყოს. საფრანგეთში ერთ სულ მოსახლეზე წლიური შემოსავალი დაახლოებით, 45 ათასი დოლარია, საქართველოში - 4 ათასი დოლარი. ანუ 10-ჯერ უფრო ნაკლები. ეს პროპორცია, რაც ჩვენსა და განვითარებულ ქვეყნებს შორისაა, თანაბრად უნდა შეეხოს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს. არ შეიძლება მინისტრები, პოლიციელები, მებაჟეები ევროპულ გარემოში ცხოვრობდნენ, მათთვის საქართველოში უკვე ევროპა იყოს, ხოლო პროფესორები, ექიმები პედაგოგები ისევ საბჭოთა კავშირში იყვნენ.

**— „ნაციონალების“ პერიოდში 900 მილიონი გაურკვეველი მიმართულებით გაედინებოდა. იგივე პრობლემა ახლაც გვაქვს, თუნდაც ბენზინის ფასი ავიღოთ, რომელიც ძალიან ძვირია.**

— ბენზინს 5-5 ლიტრობით ვასხამ. მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა თქვა, ბენზინი გაიაფდებაო, არ მინდა ძვირი ბენზინით ავავსო ბაკი, ველოდები, როდის გაიაფდება, ჯერჯერობით მხოლოდ მატებას ვამჩნევ. რეალურად, ყველას კარგად გვესმის, წილი, რომელიც ადრე კეზერაშვილის საშუალებით მაშინდელ მთავრობას მისდიოდა, ახლა ხუხაშვილის საშუალებით მისდის დღევანდელ მთავრობას. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ მომპარავს იმ ლარს, ფაქტია, რომ ბენზინი ღირს იგივე, რას სააკაშვილის დროს ღირდა. ზუსტად იგივე ღირს მედიკამენტები, ელექტროენერგია, გაზი, პირველადი მოხმარების პროდუქტები.

**— ნორმალურ ქვეყნებში, ძირითადად, მთავრობები ემსახურება ხალხს, ჩვენთან კი პირიქითაა — ხალხი ვემსახურებით მთავრობას...**

— ეს ხალხის ბრალიცაა. როცა ბანკის მოვალეებმა ბანკირი აირჩიეს პრემიერად, აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ბანკირი ბანკირის მხარესაა და არა მოვალეების. ქვეყანას მემარცხენე სოციალისტური ტიპის მთავრობა სჭირდება, რათა რეფორმები ჩაატაროს.

**— კახა, ივანიშვილის მთავრობა ხელისუფლებაში მეორე სახელმწიფოს — მშიერმა, გაძვალტყავებულმა ხალხმა მოიყვანა. თუმცა, ეს პრივილეგირებული კასტა მოსახლეობის ხარჯზე გამდიდრდა და მათ გაემიჯნა.**

— კი, და სწორად დავრჩით ასე გაღიმებულები, მეტს არც ვიმსახურებთ. ამიტომ, უნდა ჩამოვყალიბდეთ, რა გვინდა — თუ ევროპული დემოკრატია გვინდა, ეს მესიებზე აგებული არ უნდა იყოს. ჩვენთან ასეთი სიტუაციაა — ხალხი ყველაფერში ბურჯანაძეს ეთანხმება, მაგრამ ხმას მაინც მარგველაშვილს მისცემენ. როცა მარგველაშვილი იმის კეთებას დაიწყებს, რაზეც საუბრობს, მერე იტყვიან — ამას რატომ აკეთებსო. მთლად მარგველაშვილიც ხომ არ არის ამ ყველაფერში დამნაშავე? ცოტა ხალხმაც ხომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა? საქართველოს მოსახლეობის 99% მიწების უცხოელებზე გაყიდვის წინააღმდეგია, მარგველაშვილი — მომხრეა. როცა მარგველაშვილი ხმების 60%-ს აიღებს, ვინ იქნება მერე დამნაშავე იმაში, მიწები უცხოელებზე რომ გაიყიდება — მარგველაშვილი თუ ხალხის უმრავლესობა?!

**— დღეს რეალურად დემოკრატობანას ვთამაშობთ. ევროპულ დემოკრატიამდე შორი გზაა...**

— თავისუფალი არჩევნები არც 1 ოქტომბერს ყოფილა და არც ახლა იქნება. თავისუფალი არჩევნები არაა მხოლოდ ბიულეტენების მიხედვით ხმების დათვლა. ასე ძველ ათენში იყო, სადაც არჩევნებში 500 ადამიანი მონაწილეობდა და ყველა პირადად იცნობდა ერთმანეთს. მრავალმილიონიან საზოგადოებაში მნიშვნელოვანი კომპონენტია მედია. თუ მედია თავისუფალი არაა, არჩევნების თავისუფლებაზე საუბარი ზედმეტია. ხომ ხედავთ, როგორ ხდება — ზოგს აძლევენ უფასო რეკლამას, ზოგს — არა. შეიძლება ამ არჩევნებზე ძალადობა არ იყოს, როგორც ეს 1 ოქტომბრამდე ხდებოდა, მაგრამ იმდენი ხმა გაყალბდება, რამდენიც საჭირო იქნება.

**— რადგან ამ პარაზიტების ჩამოშორებას თავად მათი „პატრონი“ არ ცდილობს, ხომ არ არის საფრთხე, „მშიერი მონები“ აღსდგნენ და რევოლუცია მოაწყონ?**

— კი, რა თქმა უნდა, სიტუაცია აქეთკენ მიდის. ბევრ შემთხვევაში, საზოგადოებასა და არსებულ სისტემას შორის ძალიან დიდი უსამართლობა და კონფლიქტია. რევოლუციის წინა პირობა სწორედ ესაა. ნელნელა ასეთი ხალხის რაოდენობა მატულობს, სახელმწიფოს პასუხი 90%-ის შემთხვევაში არის ის, რომ ესა თუ ის საკითხი მათ კომპეტენციაში არ შედის. ეს აღწევს კრიტიკულ ზღვარს, რის შემდეგაც, ალბათ, ღია კონფლიქტი იქნება. ეს ღია კონფლიქტი უკვე დაწყებულია, უბრალოდ, ჯერჯერობით ტყვია არ გავარდნილა. მაგალითად, 1 ოქტომბრის შემდეგ რამდენიმე ათეულ შენობაში უსახლკაროები შეიჭრნენ. ესაა სცენა მე-18 საუკუნის ლონდონის ცხოვრებიდან. ეს ხომ ნორმალური სახელმწიფოსთვის წარმოუდგენელი ამბავია. სავარაუდოდ, მომავალში ამის რეციდივები მოსალოდნელია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# ავთო ჭნაიძე

## გარდაცვალება

გაქვავდა ბაგე... დადუმდა პრესა! —
აღარაფერი შეცვლილა... დილით
გარდავიცვალე, ოღონდაც დღესაც
მე ისევ ჩუმად... ქალაქში ვივლი.
და წუხდა შვილი (მუსიკა ჟღერდა),
იყო კუბო და არ იყო ხალხი.
გვერდით, რადგანაც ძმაკაცი მდევდა,
იმისი მზერის მამშვიდებს თალხი!..
გაქვავდა ბაგე... დადუმდა პრესა! —
დღის სამ საათზე — მორჩილი მათე,
დანიშნულია რაც რომ ღვთის წესად,
მე ამიბოლებს პატარა სანთელს!

## ჭადრაკი

მძიმე პარტიას ვთამაშობთ ქვეყნად,
წიკწიკით წამებს ითვლის საათი.
უნდა ერიდო, რომ საკუთარ თავს
არ გაუკეთო უცბად... შამათი.
და პაიკებიც გასწირო უნდა,
მეფის ამალას შეუტევ რაკი
და მოპოვებულ გვირგვინს ერქმევა: —
უკანასკნელი და... საარაკო!

* * *

ცოტაც და ქარი ჩადგება, ავთო,
ქარი — ცოდვილი, თვალებსოველი
ცოტაც და ნახავ, რარიგად ათოვს
სამყაროს, რასაც ჰქვია სოფელი!
დღეს თემში ჩემი გროვდება გვარი,
დღეს თემში ბევრი გროვდება გერიც
და ვიცი, ურცხვად, სადღაც გულს გარეთ,
გამძღარი კაცის ქირქილი მღერის.
რად მწყევლის ასე ბზერი წყავი
თუ ტრაგედია ისედაც მესმის?
როგორც თითებში გამძვრალი წყალი,
დიდიხანია გამირბის ლექსი...
ტკბილ-მწარე მხარევ! — მე ამ მხარეში
ერთადერთს ვიცნობ — ძაღლს
ფერდჩაცვენილს
და მოხარხარე ნიაღვარებში
ამოვუდგები გვერდში დარცხვენილს.
იელვებს შოლტი და მე მგონია
იწივლა ცაზე ღამე-ღამურამ!..
არცერთხელ ისე არ მიომია,
რომ არ მეგემოს სუნი ცხაურის.
რა თავში ვიხლი მშვენიერ მაისს,
როდესაც სიცხედ მქცევია ჩეროც...
ხანდახან მაინც, ხანდახან მაინც —
ამოიყეფე, ბავშვობავ ჩემო!

* * *

რამდენჯერ უნდა დახარო თავი,
რამდენჯერ უნდა დამარცხდე ბედთან?..
შენ ხომ გასწავლეს ცხოვრება დიდი,
წმინდანთა ესე — გარეჯელ ბერთა!..
გარდაიხვეწე, ამრთელე სული —
ნათელმოსილი, დაღლილი სახით...
სად საქართველო მთავრდება მიწყივ,
უდაბნოისად აიგე სახლი!

## უნიღბო სიმღერა

ვარ ისეთი მიმზიდველი,
როგორც დოქში ღვინო! —
ცეკვავს, ცეკვავს სველი წვიმა —
ქუჩის არლეკინო.
მაქვს შარვალი — დახეული,
პალტო — აჩეჩილი!
მაქვს მკლავები — ჭუჭყიანი,
ცხვირი — დაჩეჩქვილი!
ვიღაც მწარედ შემაგინებს ლაქარდიან ენით...
თვალს ჩამიკრავს ვიტრინიდან კოცნა...
მანეკენი!
ნუთუ, მართლა თამაშია ეს გართობა ჩემი,
ნუთუ მოვა ჯალათი და ველარ გადავრჩები?
არა, ჩემი მფარველია: ქრისტე... წმინდა ნინო!..
არა, ჩემი ძმობილია ცოდვა... არლეკინო!
მერე რა, რომ მესმის სტვენა ქვეყნის
ოთხი მხრიდან,
მერე რა, რომ მაძევებენ ცემით...
სამოთხიდან, —
ვითვლი ჩუმად: — არჩევანი ანუ არადანი! —
და ტაშს მიკრავს მხიარულად ჭრელი
ბალაგანი...
თუკი ერთხელ წარმოდგენა მაინც გათავდება
და თუ ერთხელ დაბზარული მიწაც
თავთავდება,
თუ ბედს სწყურის: — საშინელი ნიღბით
დამერკინოს, —
მაშინ ერთად გაიცინებს... ყველა არლეკინო!

* * *

ჩვენ ბევრნი ვართ, ჩვენ ბევრნი ვართ,
ჩვენ — პატარა ბელურები.
ჩვენ — არავის არ ვმორჩილებთ,
ჩვენ — უბრალოდ... ვიბღვირებით.
ქვეყანაა, სადაც არვის
არაფერი ეყურება...
ჩვენ ვიცოცხლებთ... ხეებისთვის,
ჩვენ — პატარა ბელურებად!

## წიგნები ქუჩაში

**(ავთო-ბიოგრაფიული მონოლოგი)**

არავის ჭირდება პოეტი ქუჩაში! —
პოეტი კარგია დილეგში... მიწაში.
მოდი და უგორე ცხოვრებას — დუშაში,
მოდი და ეძებე მირაჟი — მირაჟში!
არავის ჭირდება წიგნები ქუჩაში —
მე ვარ საბოლოო და უკანასკნელი,
რომელიც ვიქექები სანაგვე ურნაში,
რომელსაც მეცოდება — უკანა... სველი!
ფუჰ, გადმომხედავს ამაყი მიმოზა
და აუტყდება ერთ ადგილს ქავილი: —
არავის ქირდება ცხოვრება — გოროზი,
ცხოვრება კარგია ნაზი და... ქალივით.
არავის ჭირდება პოეტი — დებოში! —
პოეტი ნაღდია საფლავში... კუბოში.
შევდივართ... შევდივართ დაბინდულ დეპოში,
გაგვცვალეს ჯერ ცელში და მერე... უროში!
და მაინც, ის სხვაა — პაწია ბელურა,
ბოროტმა ბავშვმა რომ გაჭყლიტა ხარხარით.
იმას ხომ საქართველო სუსტ მხრებზე
ეხურა,
მას ხომ აღმერთებდა მგოსანი — ახვარი!..
არავის ჭირდება ლექსები ქუჩაში
და რითმა — საკუთარ სინდის და ულვაშით.
ღვივდება სტრიქონი კუპრსა და ქურაში,
არავის ჭირდება წიგნები ქუჩაში.
...
და მაინც კარგია... პოეტი ქუჩაში!

* * *

გამოცდილების ჩემის მიხედვით,
ჭეშმარიტება ერთი ვიცი მე:
აი, ეს კაცი წეღან მიბღვერდა,
აი, ეს კაცი ახლა მიცინის.
როდი ჰქონია ზღვარი, სამანი
ქართულ ხასიათს (რას ვამბობ ახალს!) —
კაცი, რომელიც დამასამარებს,
ის კაცი, მერე... მიხედავს საფლავს!

* * *

ალგეთის უბეს ვუსინჯავ მაჯას,
შემკრთალი ვუცქერ ხეობის ფანჯრებს.
ჩემი ფანჯარა... აქედან, ცისკენ
სულის ცეცხლივით აფრენას ვამჩნევ!..
ტყვია, რომელიც მესროლეს — მომხვდა!
გული, რომელიც დამიჭრეს... მოკვდა!
მუდამჟამ ასე: უხსოვარ დროიდან, —
ალგეთის უბეს ვუსინჯავ მაჯას!
გაიგიავდა ფიქრი და განსჯა, —
რადგან უიღბლო შენი მეხრე ვარ!
აქ ტკივილია კვლავაც სხვაგვარი,
როგორც დაღლილი ციხის შეხება...
ტყვია, რომელიც მესროლეს... ამცდა!
გული, რომელიც დამიჭრეს... მოკვდა.
დროშა, რომელიც შენთვის მომქონდა,
ლომის ბოკვერთა ბუხუნს ელოდა.
ისევ იკივლებს სპა-ზარიანი
და ბასტიონზეც იფეთქებს ალი...
ისევ გაბასრავს აგარიანებს
ცივი ლექსი და ფრანგულის კვალი!
ხმაჩაქუფრული ლაშქრულიც მესმის —
ჯვარს დაჯარულთა დალოცვა დარჩა!..
ხოლო, იქამდე ხელისკანკალით
ალგეთის უბეს ვუსინჯავ მაჯას!







# თავსატეხი

შვეულად: ძიკო, დუმია, ელიბო, ეპაკა, ვარდი, ილორი, იმაბა, კასტა, ლერწი, მიორა, პეტია, სტელა, ქალბა, ღერწი, შაირი, წვიმა, ჯელაბა.

თარაზულად: ამაგი, ანდეგი, არეზა, ბრეინ, გაიძე, ზუაგი, თაირი, ივაკი, მალდი, ნესტორ, ოპერა, ორიავე, პლინი, ჩლანი, რისკი, ფეტრი, ქარვა, ღერმა, ჩეჩნი, ძუნი, წვერი, ჯაჩი.

# სამიდან ერთი

შვეულად: 1. მესერი, პასატი, კორალი. 2. მურენა, ნერიკა, ჯაშური. 3. გუნული, საბული, კარაჭი. 4. ჯილეზი, ლაზური, ღალატი. 5. ქლიბი, ალეხსოლინდა. 6. იმედი, იარდი, ილიკი. 11. გარედნი, ვიტრაჟი, გესტელი. 12. ნაკლები, საკლები, მაკლები. 13. სამური, ქილერი, მაგალი. 14. ზარატი, ზუმარა, ზაზამი. 15. კასელი, კოლოფი, კოსულა. 18. გემი, გორი, გური.

თარაზულად: 3. საკასარი, პატიმარი, კალამოტი. 7. ბელუგა, ლამურა, ტესხი. 8. რეზინა, რიშანი, რეკეტი. 9. ნატაშა, ნათელა, ნიღარი. 10. პარაზიტი, ზულიგანი, ქარავანი. 13. მულელი, მისკი, მანორი. 16. ასაკი, ალეკი, ალიბი 17. ტომარა, ბუსუსი, ფერანი. 19. მესიკი, მაწონი, მოსულე. 20. ლოტონი, ლაგუნა, ლომბარდი. 20. პოზიცია, პეტიცია, მილიცია.

# შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 24 | | 1 | | 29 | 6 | 16 | 32 | 3 | 9 | 6 |
| 33 | 3 | 8 | 3 | 2 | 6 | | 19 | | | 6 | |
| | 30 | | 5 | | 17 | 19 | 9 | 2 | 19 | 4 | 6 |
| 21 | 26 | 7 | 19 | 15 | 6 | | 20 | | | 1 | |
| | 9 | | 22 | | | 9 | 6 | 3 | 9 | 6 | 3 |
| 16 | 6 | 25 | 6 | 8 | 6 | | | 6 | | | 23 |
| 3 | | 6 | | 3 | | 14 | 3 | 12 | 9 | 5 | 3 |
| 11 | 12 | 8 | 3 | 21 | 6 | | | 9 | | | 8 |
| 26 | | 6 | | 3 | | 10 | 25 | 6 | 4 | 8 | 6 |
| 21 | | 4 | | | 26 | | | | | 19 | |
| 3 | 13 | 6 | 5 | 12 | 7 | 6 | | 22 | | 14 | |
| | 3 | | 3 | | 8 | | 31 | 6 | 31 | 3 | |
| 4 | 5 | 26 | 9 | 20 | 6 | | | 3 | | | 27 |
| | 27 | | 8 | | | 4 | 3 | 4 | 12 | 10 | 6 |
| 18 | 6 | 7 | 3 | 20 | 6 | | | 6 | | | 19 |

ა-3
ბ-
გ-
დ-
ე-26
ვ-
ზ-
თ-
ი-6
კ-1
ლ-8
მ-
ნ-
ო-19
პ-
ჟ-
რ-9
ს-4
ტ-
უ-12
ფ-
ქ-
ღ-
ყ-
შ-14
ჩ-
ც-
ძ-31
წ-
ჭ-
ხ
ჯ-
ჰ-

# 17 ოქტომბერს გურამ შარაძეს 73 წელი შეუსრულდებოდა



ბედნიერია ადამიანი, რომელიც ღვთის რწმენით გაივლის მიწიერ ცხოვრებას, რამეთუ „განათლებას მაშინ მოაქვს საზოგადოებისთვის კეთილი ნაყოფი, როდესაც მას საფუძვლად უდევს რწმენა! (ფილარეტ მოსკოველი). სიმართლისთვის, რწმენისთვის აცვეს ჯვარს უფალი ვაიმწიგნობრებმა, სიმართლისთვის გამოასალმეს სიცოცხლეს დიდი ილია, სიმართლისთვის და სარწმუნოების დაცვისთვის დახვრიტეს ბატონი გურამ შარაძე.

ბატონო გურამ, თქვენ იყავით უზადოდ გულწრფელი და საქმის ერთგული. წარმატება ბავშვივით გახარებდათ. თქვენი სიტყვა და საქმე ურთიერთს განუშორებელი იყო. თქვენნაირნი მართლაც იშვიათად იბადებიან, იქედან გამომდინარე, რომ საყვარელი შვილი მოგიკლეს, თქვენ თვით იცოდით, რა გელოდებოდათ, მიუხედავად ამისა, სამშობლო, სარწმუნოება ოჯახზე მაღლა დააყენეთ და ბოლომდე დაიხარჯეთ მის სამსახურში.

მართლაც ყოველივე სახარებისეულად აღასრულეთ.

თქვენ ყოველგვარი პირობა გქონდათ იმისათვის, რომ კეთილსინდისიერად, უზრუნველად, თქვენი მეცნიერული შრომით გაგეტარებინათ ამქვეყნიური ცხოვრება, მაგრამ აირჩიეთ ქრისტეს ეკლიანი, იწრო ბილიკი მიმავალი გოლგოთისკენ, სადაც მუხანათურად ჩასაფრებული იყო ჯალათი, რომელმაც დაადუმა თქვენი კალამი და კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ბერკეტი გამოაცალა საქართველოს ბედნიერების მაძიებელთა არცთუ ისე მრავალრიცხოვან „კოლონას“, რამეთუ მოღალატენი ძალიან მომრავლდნენ.

ბატონო გურამ, დღეს ძალიან უჭირს საქართველოს. შავი ყორნებივით შემოგვსევიან გადამთიელები და იმ ვაი-ქართველთა მეშვეობით, ვინაც თქვენზე ბინძური ხელი აღმართა, დაინაწილეს ღვთივბოძებული მიწა, ბუნებრივი რესურსები, წიაღისეული სიმდიდრეები. ქართველთ აღარაფერი დაგვრჩა. ბოლოს აულებელ ციხესიმაგრეს – მართლმადიდებლობას მიადგნენ. აი, აქ იტყოდით თქვენ მამულიშვილურ სიტყვას, მტკიცედ და მყარად დადგებოდით ერის ინტერესების სადარაჯოზე. თქვენ გაიზიარებდით მამულიშვილთა ბედს 7 ნოემბერს, 26 მაისს, 17 სექტემბერს. სწორედ ის არ გაპატიეს, რომ ერის ტკივილი გტკიოდათ.

რამდენი რამ გავიხსენოთ, ბატონო გურამ. უდიდესი ტკივილი დაგვრჩა თქვენი დაკარგვის გამო და უდიდესი მოგონება და მონატრება დაგვეუფლა. ღვაწლმოსილნი, ე.წ. „ჩარეცხილნი“ არ დაივიწყებენ თქვენს ჯაფასა და გარჯას. თანამედროვენი გულში ჩავიდებთ თქვენ მოგონებას, გაბრწყინებულ თვალებს, განსაცდელის ჟამს დაფიქრებულ სახეს, მაგრამ იმედით აღსავსეს.

რაც შეეხება მომავალ თაობას, წაიკითხავენ იმ წინაპართა ისტორიას, მათ შორის თქვენს მოღვაწეობას, რომელიც სისხლით იწერებოდა და ედუღაბებოდა ჩვენი ბედკრული საქართველოს ყოფადობას. იწერებოდა ჭეშმარიტად ჟამთა აღმწერლის მიერ და ასევე ერთვებოდა ზეციურ იერარქიას, რომელთა გვერდით დაიმკვიდრეთ თქვენ სამუდამო განსასვენებელი. ილოცეთ საქართველოსთვის, ბატონო გურამ, ჩვენ კი, თქვენთვის ვილოცებთ.

გვენატრებით.

**ტკბილი, ქრისტესმიერი მონატრებით –**
**გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარი მამა ბასილ მკალავიშვილი, მოძღვარი მამა ვახტანგი და მრავალრიცხოვანი მრევლი**


# სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63**


# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**– განვქორწინდი მეუღლესთან. გვყავს არასრულწლოვანი შვილები. როგორ მოხდება მათი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა?**

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201 -ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს.



* * *

**– ჩემი მეუღლე პატიმარია. მას მისჯილი აქვს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსურს მასთან განქორწინება. არის თუ არა ეს შესაძლებელი, მისი პატიმრობის გათვალისწინებით და, თუ შესაძლებელია, როგორ მოხდება ეს სამართლებრივად?**

– ეს შესაძლებელია. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1125-ე მუხლის მიხედვით, სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინება ხდება იმ პირთან, რომელიც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა.

ამავე კოდექსის 1139-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მეუღლე, რომელსაც სურს განქორწინება ხსენებული საფუძვლით, ვალდებულია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი ან განაჩენის ამონაწერი იმის შესახებ, რომ მეორე მეუღლეს შეფადებული აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ სამი წლისა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შეტანილი განცხადების შესახებ სააგენტოს ტერიტორიული სამსახური აუწყებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მეუღლეს. უწყებაში უნდა განისაზღვროს იმის თაობაზე პასუხის შეტყობინების ვადა, არის თუ არა დავა ბავშვების შესახებ, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე ან იმ შრომისუუნარო მეუღლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინებაზე, რომელიც დახმარებას საჭიროებს. პასუხის შეტყობინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ დავა არ არსებობს, ან მითითებულ ვადაში პასუხი არ იქნა მიღებული, სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ახდენს განქორწინების რეგისტრაციას.

დავის არსებობის შემთქვევში განქორწინების საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს პრეროგატივაა.

* * *

**– რა შემთხვევაში იხილავს სამოქალაქო საქმეებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა?**

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის $391^1$-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ:

ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;

ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას);

გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას(ნორმის განმარტებას);

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვთ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმე საკასაციო წესით განიხილება ამ კოდექსისა და საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

* * *

**– წარმოშობს თუ არა ჯვრისწერა მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს?**

– არა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება.

## მომავლის ტექნიკა — ბატინკოფონი!

ბიოინფორმატიკის ავსტრალიელმა სპეციალისტმა ფლინდერსის უნივერსიტეტიდან ბატინკოფონი გამოიგონა. მოწყობილობა, როგორც მისი სახელწოდებიდანვე ჩანს, ფეხსაცმელშია განთავსებული და სიარულისას იტენება. ეს მას საშუალებას აძლევს აკუმულატორზე გაცილებით მეტ ხანს იმუშაოს, ვიდრე ჩვეულებრივი მობილური ფუნქციონირებს. თავიდან მოწყობილობა თეატრალური რეკვიზიტის ნაწილი იყო, თუმცა მალე გამომგონებელმა მას პრაქტიკული გამოყენება მოუძებნა. ავსტრალიელ სწავლულს მიაჩნია, რომ ხმის გადაცემა ფეხსაცმელის გავლით პაციენტის სამედიცინო მონაცემების მიღებას ჰგავს — პულსის, სისხლში ჟანგბადის შემცველობისა და სხვა. ბატინკოფონი, პირველ რიგში, გათვალისწინებულია ხანდაზმული ადამიანებისა და ინვალიდებისთვის, რაც მათ ახლობლებისგან ცალკე ცხოვრებას გაუადვილებს. მოწყობი-



ლობა აღჭურვილია დარტყმების დეტექტორითა და სივრცეში ორიენტაციის გადამცემით. ამის წყალობით ბატინკოფონს შეუძლია გააკონტროლოს პატრონი და მისი დაცემის შემთხვევაში დახმარება, მითითებული ნომრის გაშვებით გამოიძახოს.

## ძარცვაში ბრალდებული თხა დააკავეს

ნიგერიის პოლიციის წარმომადგენლებმა „მაზდას“ მარკის ავტომობილის შეიარაღებული ძარცვის მცდელობაში ეჭვმიტანილი... თხა დააკავეს. ქვეყნის სიფხიზლის კომიტეტის თანამშრომლებმა ცხოველი პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს და განაცხადეს: ეს შეიარაღებული დამნაშავეა, იგი მანქანის გაძარცვას აპირებდა და შავი მაგიის წყალობით, თხად გადაიქცა სასჯელს თავი რომ აარიდოსო. როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, შემთხვევის ადგილზე მომუშავე პატრულმა რამდენიმე ხულიგანი შენიშნა, რომლებიც მანქანის გაძარცვას ცდილობდნენ. ისინი დაედევნენ ბოროტმოქმედებს, მაგრამ როგორც სიფხიზლის კომიტე-



ტის წევრები აცხადებენ, ისინი მიიმალნენ, ერთ-ერთი მათგანი კი თხად გადაიქცაო. ამჟამად ცხოველი განყოფილებაში ჰყავთ ჩაკეტილი, თუმცა, პოლიციაში აცხადებენ, რომ ბრალდებას მისტიკაზე ვერ ააგებენ და მტკიცებულებები სჭირდებათ.

## არჩევნებზე ჭკვიანები უფრო დადიან

მეცნიერთა ჯგუფმა ედინბურგის უნივერსიტეტიდან საინტერესო გამოკვლევა ჩაატარა — ერთმანეთს შეადარა ადამიანების ინტელექტი და მათი პოლიტიკური ქცევები. ექსპერიმენტის შედეგები ერთმნიშვნელოვანი აღმოჩნდა: რაც უფრო მაღალი **IQ** აქვს ბავშვს, მით უფრო მეტი შანსია, რომ მომავალში ის აქტიურ მონაწილეობას მიიღებს პოლიტიკურ ცხოვრებაში და არჩევნებზეც აუცილებლად წავა. შოტლანდიელი სწავ-



ლულების გამოკვლევა სოლიდურ ბაზას ეფუძნება. უნივერსიტეტში სამი ათეული წლის განმავლობაში აგროვებდნენ ბრიტანეთის 17 200 მოქალაქის მონაცემებს, რომლებიც 1970 წელს არიან დაბადებულნი. რამდენიმე წელიწადში ერთხელ მათ ტესტებს უტარებდნენ ინტელექტის დონის გასარკვევად, შემდეგ კი მონაცემებს მათ ელექტორალურ საქციელს ადარებდნენ. შედეგად აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მაღალი იყო ამომრჩევლის **IQ** ბავშვობაში, მით უფრო ხშირად იღებდა ის მონაწილეობას სხვადასხვა სახის პოლიტიკურ საქმიანობაში — დადიოდა მიტინგებზე, ხელს აწერდა პეტიციებს, მონაწილეობდა დისკუსიებში და სხვა.




## ლუდი კრიზისულ ფასად

ბრიტანული პაბების ქსელმა თავის დაწესებულებებში უპრეცედენტო აქცია წამოიწყო, რომლის მიზანიც გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს ნისლიანი ალბიონის მაცხოვრებლების მხარდაჭერაა. აქციის ფარგლებში, ნებისმიერ მსურველს შეეძლება ერთი კათხა ლუდი სულ რაღაც ერთ პენსად მიირთვას. ეს „ლუდის შეთავაზება“ უახლოეს პერიოდში „**The Dukedom Group**“-ის ქსელში ამოქმედდება, რომელიც დიდ ბრიტანეთში 32 პაბის მფლობელია. ერთპენსიან კათხა ქარვისფერ სასმელს მიიღებს ყველა, ვინც პაბის მენიუდან თუნდაც ერთ ალკოჰოლურ სასმელს შეიძენს. ამასთან, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ მი-



ღებული „ჩასატკბარუნებლის“ ალკოჰოლურ ეფექტში: ლუდის მიყოლება აქციის მონაწილეებს არაყზე, ტეკილაზე, რომზე, ვისკიზე, ბრენდისა და ჯინზე შეეძლებათ. მიუხედავად კრიტიკისა, რომ მსგავსი აქციები ქვეყანაში ლოთობას წაახალისებს, მისი ორგანიზატორები მაინც დადებითად არიან განწყობილი — ყველასთვის რთული პერიოდი დადგა და ბევრ ადამიანს არ აქვს საშუალება, საღამო სახლის გარეთ სასიამოვნოდ გაატაროს. ერთპენსიანი ლუდი კი მათ კრიზისის დაძლევაში დაეხმარება, - იმედოვნებენ აქციის ავტორები.

## მოსწავლეებს მარიხუანას მოწევას ასწავლიან

ბრიტანეთის სკოლების უფროსკლასელებს 20-გვერდიანი ბროშურები დაურიგეს, სადაც მათ მარიხუანას სწორად მოხმარებას ასწავლიან — რა არის მისი მოწევისთვის საჭირო, როგორ გამოიყენონ და როგორ აიცილონ თავიდან ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები. ბუკლეტი, რომელსაც „შეიცანი მარიხუანა“ ჰქვია, ასევე იძლევა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მისი მოწევა ადამიანს მოდუნე-



ბის საშუალებას აძლევს და მაგალითად, მუსიკის მოსმენას უფრო სასიამოვნის ხდის. გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ ნარკოტიკების მოხმარება მავნეა და კანონით ისჯება, ბროშურის ავტორებს ეს მხოლოდ მე-14 გვერდზე გაახსენდათ. მოსწავლეთა მშობლები აღშფოთებულნი არიან და ამ „სახელმძღვანელოს“ ამოღებას ითხოვენ. თუმცა ერთ-ერთი ოლქის საბჭოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ბროშურა განათლების ნაციონალური პროგრამის ნაწილია და მას ვერ გააუქმებენ.

## ახალი თავსატეხი რუბიკისგან

გასული საუკუნის 80-იან წლებში სუპერპოპულარული რუბიკის კუბიკის გამომგონებელმა, 64 წლის უნგრელმა პროფესორმა რუბიკმა გადაწყვიტა, ახალი თავსატეხით საზოგადოება კიდევ ერთხელ გააოცოს. ექსპერტების მოსაზრებით, პროფესორის ახალ ქმნილებასაც, შესაძლოა, ისეთივე დიდი წარმატება ხვდეს წილად, როგორც მისი წინამორბედ კუბიკს. მისი მილიონობით ფანატი წლების განმავლობაში წვალობდა ამ სახელგანთქმული თავსატეხის ამოხსნაზე. მისი აწყობის ბოლო მსოფლიო რეკორდი — 7,08 წამი ჰოლანდიელ მოზარდს ერიკ აკერსდიიკს ეკუთვნის. რუბიკის სტანდარტული კუბიკი აწყობისას 43 მილიარდი კომბი-



ნაციის გამოყენების საშუალებას იძლევა. მთელი ეს წლები პროფესორი ჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა და ალბათ, ისიც თავს იმტვრევდა იმაზე, კუბიკზე უფრო ორიგინალური, რთული და მიმზიდველი თავსატეხი რომ შეექმნა. ამჯერად მისი ახალი გამოგონება გამჭვირვალე სფეროა, რომელშიც კიდევ ორი, მცირე დიამეტრის მქონე სფერო მოძრაობს. რუბიკის სფერო გაყიდვაში ჯერ დიდ ბრიტანეთში გამოვა.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**

ISSN 2233-3983
9 772233 398001